

დალიქტური

ვალდებულებათი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე**

2019, №7

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)**

2019, №7

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)**

2019, №7

**Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)**

2019, №7

**გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
კეთევან გენერალი**

**ტექნიკური რედაქტორი
გარიკა გალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

**უზენალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

საქითხები

1. ზიანის ანაზღაურება

დელიქტური ვალდებულების არსებობის წინაპირობები 4
ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლები 11;23

2. გაზრდილი სარჩოს დაკისრების მართლზომიერება

გაზრდილი სარჩოს დაკისრების მართლზომიერება 44

3. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი
ზიანის ანაზღაურება 54; 63; 71

4. პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის

პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული
საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის 81; 91

5. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 122; 138

1. ზიანის ანაზღაურება

დელიქტური ვალიერულების არსეპობის წინაპირობები

განხილვა საქართველოს სახელით

№ას-915-881-2016

12 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. პაქაქური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქალაქ ბ-ში, აას ქუჩის №2-ში მდებარე კორპუსში №130 ბინა (შემდგომში: პირველი უძრავი ქონება) ეკუთვნის დ. ბ-ს (შემდეგში: მოსარჩევე). იმავე კორპუსში მდებარე №134 ბინა (შემდგომში: მეორე უძრავი ქონება) კი – შეს „დ. კომპანიას“ (შემდეგში: მოპასუხე).
2. პირველი უძრავი ქონება დაზიანებულია ზემოთა სართული-დან ჩამომავალი წყლით.
3. მოსარჩევემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ 2435 ლარის გადახდის მოთხოვნით.
4. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები: საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 992-ე მუხლი.
5. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩევემ 2014 წელს მოპასუხისაგან შეიძინა პირველი უძრავი ქონება, რომელიც 2015 წლის ოქტომბრიდან ზედა სართულიდან, კერძოდ, მეორე უძრავი ქონებიდან ჩამოდინებული წყალით დაზიანდა. დაზიანების აღმოფხვრას სჭირდება 2435 ლარის ღირებულების სამუშაოების ჩატარება.
6. მოპასუხებ წარმოადგინა მოთხოვნის განხორციელების შემწყეტი შედავება, რომლითაც სადაც გახადა პირველ უძრავ ქონებაში წყლის კონკრეტულად მეორე უძრავი ქონებიდან ჩადინების ფაქტობრივი გარემოება. მოპასუხის შედავება იმ მიმართულებით განხორციელდა, რომ ზედა სართულზე მისი უძრავი ქონების გარდა მდებარეობს სხვა უძრავი ქონებაც, რომელთაც ჰყავთ სხვა მესაკუთრეები.
7. ბ-ის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგი-

ის 2016 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 2435 ლარის გადახდა.

8. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხებ.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ივნისს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარის დაკმაყოფილების შედეგად სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

10. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განწინებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები პპ: 1-2. იმავ-დროულად, მიუთითა სსკ-ით განსაზღვრული დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების – 992-ე მუხლის შემადგენლობის ნიშნებსა და მხარეთა შორის მტკიცების განაწილების ზოგად წეს-ზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 102-ე მუხლი)) და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ პირველი უძრავი ქონების დაზიანება განპირობებულია კონკრეტულად მეორე უძრავი ქონებიდან ჩა-მოდინებული წყლით, ახსნა-განმარტების გარდა, სხვა მტკიცებულება ვერ წარმოადგინა.

11. ექსპერტიზის დასკვნა, ასევე – ექსპერტის ახსნა-განმარტებითი წერილი კი, სადავო ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებებად არ იქნა შეფასებული, გამომდინარე იქიდან, რომ ალნიშნულ დოკუმენტებში საუბარი იყო მხოლოდ ზიანის შეფასებაზე და არა მის გამომწვევ მიზეზებზე, ხოლო წერილით კი, დაზუსტებული იყო, რომ წყალი ჩამოსულია „ზემოთა მეზობლის გადახურვის ფილიდან“, ისე, რომ არ არის მითითებული „ზემოთა მეზობლის“ ვინაობა.

12. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელებ.

საკასაციო პრეტენზია აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და დარღვევებზე:

13. კასატორის ძირითადი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ საქმის სააპელაციო ინსტანციით განმხილველი სასამართლოს შემადგენლობამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ პირველი უძრავი ქონების დაზიანებები არ იყო გა-მოწვეული კონკრეტულად მეორე უძრავი ქონებიდან ჩამოდინებული წყლით. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ამ ფაქტობრივი

გარემოების დადგენისას სასამართლო მხოლოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა შეიცავდა დასკვნას მხოლოდ ზიანის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯებზე, ხოლო ექსპერტის განმარტებით კი, არ ირკვეოდა თუ ვინ იყო პირველი უძრავი ქონების ზედა სართულზე განლაგებული უძრავი ქონების მესაკუთრე. შესაბამისად, არ დგინდებოდა წყლის ნამდვილად მეორე უძრავი ქონებიდან ჩამოსვლის ფაქტი და იყო თუ არა ვალდებული მოპასუხე აენაზღაურებინა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს ამგვარი დასაბუთება ყოველგვარ ლოგიკურ დასაბუთებასა მოკლებული, იმ ვითარებაში, როდესაც სადავო არ არის, რომ პირველი უძრავი ქონების ზემოთ განლაგებულია მეორე უძრავი ქონება (მესაკუთრე მოპასუხე). ამ მიმართებით, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ მოპასუხის შედავებაზე მითითებით შემოიფარგლა და სარჩელის ფაქტობრივი გარემოება იმით გააქარწყლა, რომ პირველი უძრავი ქონების ზემოთა სართულზე მეორე უძრავი ქონების გარდა განლაგებულია სხვა უძრავი ქონებაც, რომელთაც ჰყავთ სხვა მესაკუთრები.

14. კასატორი არ ეთანხმება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებასაც და აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ მოპასუხის დელიქტური ვალდებულების არსებობის ფაქტის დასადასტურებლად წარმოადგინა საქმარისი მტკიცებულება (იხ: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 30 სექტემბრის №005829215 დასკვნა; იმავე ბიუროს აქარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2015 წლის 12 ოქტომბრის №5005227715 ნერილი), რომლის საწინააღმდეგო გარემოების მტკიცების ტვირთი მოპასუხისათვის უნდა დაეკისრებინა.

15. იმავდროულად, როდესაც უტყუარდაა დადგენილი ზიანის მიყენების ფაქტი, წარმოდგენილია მტკიცებულებები (იხ, წინამდებარე განჩინების პ: 14) იმის თაობაზე, რომ წყალი ზემოთა სართულიდან ჩამოდის და დაზიანება წყლის ჩამოდინების შედეგია, ხოლო სასამართლო იმ მოსაზრებას ეყრდნობა, რომ გარდა პირველი უძრავი ქონებისა, ზედა სართულზე განლაგებულია სხვა უძრავი ქონებაც, ხოლო ექსპერტის განმარტებაში არ არის დაკონკრეტებული მოპასუხის საკუთრებაშია თუ არა იგი, სასამართლომ უნდა გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული პროცესუალური უფლება ადგილზე დათვალიერების ან ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2016 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსკ-ის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინებით კი, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

17. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივარის საფუძვლები და მიზნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

18. მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნა 2435 ლარის მოპასუხის მიერ ანაზღაურების შესახებ სარჩელის იმ ფაქტობრივ გარემოებას ეფუძნება, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ბინა დაზიანდა ზემოთა სართულზე განლაგებული, მოპასუხის კუთვნილი, უძრავი ქონებიდან ჩამოდინებული წყლის ზემოქმედების შედეგად.

19. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის წარმატებულობა უნდა შემოწმდეს სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა წანამდლვართან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის მოთხოვნისა და მისივე ფაქტობრივ გარემოებათა ურთიერთშეჯრებით ირკვევა, რომ მხარეები დაოპნ ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების არსებობაზე. აღნიშნული კი, თავისი შინაარსით მიეკუთვნება არასახელშეკრულებო ვალდებულებათა კატეგორიას, უფრო კონკრეტულად კი, დელიქტურ სამართალურთითობას (სსკ-ის 992-ე მუხლი).

20. სსკ-ის 992-ე მუხლის მიზნებისათვის ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი სწორედ მაშინაა, როდესაც იგი სხვა პირს მართლსანიალმდევო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს. ამგვარი ვალდებულების არსებობის დადგენისათვის კი, უნინარესად, უნდა დასტურდებოდეს: ა) მოპასუხის მართლსანიალმდევო მოქმედება; ბ) დამდგარი ზიანი; გ) მიზეზშედეგობრივი კავშირი „ა“ და „ბ“ პუნქტებს შორის და დ) ბრალი.

21. მოცემულ საქმეზე დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება დაზიანებულია ზემოთა სართულიდან ჩამომავალი წყლით. იმავდროულად, დადგენილია, რომ პირველი უძრავი ქონების ზემოთა სართულზე განლაგებულია მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (წინამდებარე განჩინების პპ: 1-2). მოსარჩელემ მისი მტკიცების ტვირთის რეალიზების ფარგლებში წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა, რა დროსაც, ექსპერტიზის წინაშე დასმული იყო შემდეგი კითხვა: „დაადგინეთ წყლის ჩამოსვლის მიზეზი (ადგილი) და წყლის ჩამოსვლის შედეგად დაზიანებული მოპირკე-

თებითი სამუშაოების აღდგენის ღირებულება“. დასკვნის თანახმად: „...ბინაში წყლის ჩამოსვლის გამო, ზიანის აღსაფენად შესასრულებელი სარემონტო სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება დღგ-ს და სხვა დანახარჯების გათვალისწინებით შეადგენს 2435,8 ლარს“. ექსპერტმა გამოიკვლია მხოლოდ პირველ უძრავ ქონებაში არსებული ობიექტები იმგვარად, რომ ზემოთა სართულზე მდებარე უძრავი ქონება საიდანაც შესაძლოა ჩამოედინებოდეს წყალი ვერ იქნა შესწავლილი და დათვალიერებული, რადგან ამისათვის საჭირო იყო უზრუნველყოფილი დაშვება ზემოთა მეზობლის საცხოვრებელ სახლში და მოშხდარიყო წყლის მიღების გაშიშვლება და ზუსტი მიზეზების დადგენა. სარჩელის ფაქტობრივი გარემოების მიხედვითაც (ფაქტობრივი გარემოება 3) ირკვევა, რომ ექსპერტი ვერ შევიდა ზემოთა სართულზე განლაგებულ ბინაში იმ მიზეზით, რომ მეორე უძრავ ქონებაში მცხოვრებმა დამქირავებლებმა ექსპერტი ბინაში არ შეუშვეს.

22. მოპასუხებ მოთხოვნის განხორციელების შემწყვეტი შედავება იმ კუთხით წარმოადგინა, რომ ექსპერტიზის დასკვნაში არ არის დაკონკრეტებული დაზიანება განპირობებულია მეორე უძრავი ქონებიდან ჩამოდინებული წყლის ზემოქმედების შედეგად თუ არა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთა სართულზე განლაგებულია სხვა მესაკუთრეთა უძრავი ქონებაც, მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს (იხ., მოპასუხის შესაგებელი).

23. ამ მოცემულობის პირობებში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება-სა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, როგორც დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობა სახეზეა მასინ, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი. იმავდროულად, გასათვალისწინებულია მხარეთა შორის როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საპროცესო სამართლებრივი შედეგი.

24. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი (სსსკ-ის 102-ე მუხლი) იმგვარად იქნა განაწილებული, რომ მოსარჩელეს დაეკისრა 992-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა წანამძღვრების არსებობის დადასტურების ტვირთი, რაც მართებულიცაა, თუმცა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მხარეთა პროცესუალური სტატუსის გათვალისწინებით მათთვის მტკიცების გადაულახავი სტანდარტის დაწესება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმატიული ნებით ნაკარნახევი არ არის.

25. იმ ვითარებაში, როდესაც დადგენილია, რომ მოსარჩელის

კუთვნილი უძრავი ქონება დაზიანებულია ზემოთა სართულიდან ჩამოდინებული წყლის ნაკადის შედეგად (ექსპერტიზის დასკვნა), თუმცა პასუხს იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა წყლის ნაკადი მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონებიდან ჩამოდინებული, ექსპერტიზის დასკვნა არ შეიცავს, რადგან, როგორც ექსპერტი აღნიშნავს ამისათვის საჭიროა უზრუნველყოფილი იქნეს დაშვება ზემოთა მეზობლის საცხოვრებელ სახლში (წინამდებარე განჩინების პ: 21), სააპელაციო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მიზეზშედეგობრივი კავშირისა და მაშასადამე, სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი წარმატებულობის არსებობის მტკიცების ვალდებულება მოსარჩევემ ვერ შეასრულა, მიზანშეუწონელია.

26. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეს სწორედ, ის შემთხვევაა, როდესაც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სადავო საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია საექსპერტო კვლევის არსებობა და მხოლოდ ამის შემდეგ, სარჩელის წარმატებულობისა თუ, პირიქით, წარუმატებლობის შესახებ საკითხის გადაწყვეტა (სსკ-ის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

27. აქვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ექსპერტის ახ-სნა-განმარტებაში მითითებული პოზიცია მოპასუხის უძრავი ქონების დათვალიერების აუცილებლობის შესახებ, რომლის შესაძლო შედეგების რეგულირება მოცემულია სსსკ-ის 169-ე მუხლის ნორმატიულ დანაწესში და რომელიც საბოლოოდ, აისახება მტკიცების ტვირთის ტრასფორმირებაში (სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

28. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილებულად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა, თავის მხრივ, სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით კანონმდებელი განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

29. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ მოცემული საქმე ხელახლა განსახილებულად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სა-

სამართლოს. საქმის განხილვის დროს სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების დაზიანება, მართლაც გამოწეულია თუ არა მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან ჩამოდინებული წყლის ნაკადის შედეგად და მხოლოდ ამის შემდეგ, იმსჯელოს მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

30. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ბ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლები

გადაცევატილება საქართველოს სახელით

№ას-506-480-2015

29 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. კ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი) და მ. კ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, პირველი კასატორი) 1978 წლის 29 სექტემბრიდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. მათ შეეძინათ ორი შვილი: 1979 წლის 15 აგვისტოს დაბადებული ე. კ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე, მეორე კასატორი) და 1981 წლის 8 სექტემბერს დაბადებული კ. კ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესამე მოპასუხე, მესამე კასატორი).

2. 1999 წლის 20 მაისს პირველმა მოპასუხემ მცხეთის რაიონის სოფელ ... შეიძინა 5800 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 1/3 ნაწილი, რომელიც საჯარო რეესტრში მის საკუთრებად ირიცხება.

3. პირველმა მოპასუხემ მის საკუთრებაში რიცხული ხარაგაულის რაიონის სოფელ ... მდებარე 2042 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით და მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე 3000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით 2010 წლის 11 მარტისა და 14 მაისს ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე საკუთრებაში გადასცა მეორე მოპასუხეს, რომელიც საჯარო რეესტრში მათ მესაკუთრედ დარეგისტრიდა.

4. 2010 წლის 6 მარტს პირველმა მოპასუხემ მის საკუთრებაში რიცხული შპს „ს-ას“ (შემდეგში: შპს) საწესდებო კაპიტალის 50%-

იანი წილი, წილის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრებაში გადასცა მესამე მოპასუხეს, რომელიც მენარმეთა რეესტრში წილის მესაკუთრედ დარეგისტრირდა.

5. 2012 წლის 3 აპრილს პირველმა მოპასუხემ დააარსა შპს „ო.“, რომლის 100%-იანი წილის მესაკუთრე თვითონ არის (შემდეგში: პირველი მოპასუხის სახელზე რიცხული შპს).

6. 2013 წლის 10 აპრილს პირველმა მოპასუხემ მის საკუთრებაში რიცხული ქალაქ ხაშურში, ... ქუჩაზე მდებარე 304 კვ.მ. არასა-სოფლო – სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით აჩუქა მესამე მოპასუხეს, რომელიც საჯარო რეესტრში მესაკუთრედ დარეგისტრირდა.

7. პირველი მოპასუხის სახელზე ირიცხება მექანიკური სატრანსპორტო საშუალება „ნისან პესფაინდერი 3.5“, სახ. ნომერი ..., გა-მოშვების წელი 2001, რომლის ღირებულება 3500 აშშ დოლარია.

8. 2013 წლის 27 ნოემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მო-ჰასუხეთა წინააღმდეგ და მოთხოვა:

8.1. 2010 წლის 11 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ½ ნაწილში ბათილად ცნობა და სადაცო უძრავი ქონების ½ წილის მესაკუთრედ ცნობა;

8.2. 2010 წლის 14 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ½ ნაწილში ბათილად ცნობა და სადაცო უძრავი ქონების ½ წილის მესაკუთრედ ცნობა;

8.3. 2013 წლის 10 აპრილს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ½ ნაწილში ბათილად ცნობა და სადაცო უძრავი ქონების ½ წილის მესაკუთრედ ცნობა;

8.4. წილის დათმობის შესახებ 2010 წლის 6 მარტის ხელშეკრულების ½ ნაწილში ბათილად ცნობა და 25%-იანი წილის მესაკუთრედ ცნობა;

8.5. მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე მიწის ნაკვეთის პირველი მოპასუხის სახელზე რიცხული წილის ½ წილის მესაკუთრედ ცნობა;

8.6. პირველი მოპასუხის სახელზე რიცხული შპს-ის ½ წილის მესაკუთრედ ცნობა;

8.7. ავტომანქანის ღირებულების ნახევრის – 1750 აშშ დოლარის პირველი მოპასუხისათვის დაკისრება.

9. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სადაცო ქონება შეძენილი იყო პირველ მოპასუხესთან თანაცხოვრების პერიოდში. შემდეგ მეუღლებ მიატოვა, ბოლნისიდან თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და მისი თანხმობის გარეშე, მალულად ქონება შვილების სახელზე გადააფორმა. მისი მოსაზრებით, გარიგებები მოჩვენებითი ხასიათის იყო და ქონების გაყიდვისათვის ხელის შეშლას ისახავდა მიზ-

ნად. პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებული შპს-ს წილის ნახევარსა და ავტომანქანის ლირებულების ნახევარს მოსარჩევე მოითხოვდა, რათა პირველ მოპასუხეს ისინიც თვითნებურად არ განეკარგა.

10. პირველმა მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო, კერძოდ, მის საკუთრებაში არსებულ ქონებათა გაყოფის ნაწილში (9.5. 9.6. და 9.7. სასარჩელო მოთხოვნები), ხოლო დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნები მოპასუხებმა მათი გამომრიცხველი შესაგებლით არ ცნეს და მიუთითეს, რომ მოსარჩევე და პირველი მოპასუხე დღემდე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. მოპასუხეთა მტკიცებით, ქონება არც მაღლად და არც მოსარჩელესთან შეუთანხმებლად არ გასხვისებულა, პირიქით, – მოსარჩელის ნებითა და ურთიერთშეთანხმებით. ამასთან, მათ მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებულ გარემოებაზეც მიუთითეს, კერძოდ, მოპასუხები მიიჩნევდნენ, რომ, ვინაიდან ქონებათა ნაწილი 2010 წელს გასხვისადა, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა გასული იყო.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

11.1. 2010 წლის 11 მარტს დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულების $\frac{1}{2}$ ნაწილში ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა;

11.2. 2010 წლის 14 მაისს დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულების $\frac{1}{2}$ ნაწილში ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა;

11.3. 2013 წლის 10 აპრილს დადგებული ჩუქების ხელშეკრულების $\frac{1}{2}$ ნაწილში ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრედ ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა;

11.4. სასარჩელო მოთხოვნა წილის დათმობის შესახებ 2010 წლის 6 მარტის ხელშეკრულების $\frac{1}{2}$ ნაწილში ბათილად ცნობისა და შპს-ის 25%-იანი წილის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა;

11.5 მოსარჩელე ცნობილ იქნა მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე მინის ნაკვეთის პირველი მოპასუხის სახელზე რიცხული წილის $\frac{1}{2}$ -ის მესაკუთრედ;

11.6. მოსარჩელე ცნობილ იქნა პირველი მოპასუხის საკუთრებაში რიცხული შპს-ის 100%-იანი წილის $\frac{1}{2}$ -ის მესაკუთრედ;

11.7. პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლიდ ავტომანქანის ლირებულების ნახევრის ასანაზღაურებლად დაეკისრა 1750 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

12. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქარ-

თველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 1158-ე, 1160.1, 1165-ე, 102-ე მუხლები და დასკვნა:

12.1. პირველმა მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნა მის სახელზე რიცხული ქონების – მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე მინის ნაკვეთის, შპს-ის 100%-იანი წილისა და ავტომანქანის ღირებულების (3500 აშშ დოლარის) ნახევრის გაყოფის ნაწილში ცნო, შესაბამისად, სასამართლომ სარჩელი ამ ნაწილში დააკმაყოფილა.

12.2. სასამართლომ დაადგინა, რომ მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ პირველი მოპასუხის მიერ მეუღლეთა თანასაკუთრების შვალების სახელზე გადაფორმების შესახებ შეიტყო, განაწყენდა, შეხვდა მეუღლესა და შვილებს, რის შემდეგაც შეეგუა ამ ფაქტს და გასხვისებულ ქონებაზე რაიმე პრეტენზიის გაცხადებას არც აპირებდა. წინამდებარე სარჩელის აღძვრა განაპირობა პირველი მოპასუხის მიერ მეუღლის სახელზე რიცხული ქონების გაყოფის მოთხოვნით სარჩელის აღძვრამ, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა.

12.3. სასამართლომ მოსარჩელის ამგვარი განმარტება მისი მხრიდან პირველი მოპასუხის მიერ დადებული გარიგებების მოწონებად შეაფასა და განმარტა, რომ განკარგვა ნამდვილია, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს. შესაბამისად, ამ მომენტიდან თანასაკუთრების განკარგვის შესახებ გარიგებები იქცა ნამდვილ გარიგებებად, რის გამოც არ არსებობდა მათი ბათილად ცნობისა და გასხვისებული ქონებიდან მოსარჩელისათვის კუთვნილი წილის მიკუთვნების მატერიალურსამართლებრივი საფუძველი.

13. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით. აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ მოსარჩელემ სადაც გარიგებები მოიწონა. ამას ადასტურებდა მის მიერ სარჩელის აღძვრა და საქმეზე მოწმის სახით დაკითხულ პირთა ჩვენებები.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აპელანტის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილდა:

14.1. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

14.2. მოსარჩელის სარჩელი დააკმაყოფილდა;

14.3. ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 11 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ½ ნაწილში და მოსარჩელე ცნობილი იქნა ხარაგაულის რაიონის სოფელ მდებარე უძრავი ნივთის ½

ნილის მესაკუთრედ;

14.4. ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 14 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ½ ნაწილში და მოსარჩელე ცნობილ იქნა მცხეთის რაიონის სოფელ მდებარე უძრავი ნივთის ½ ნაწილის მესაკუთრედ;

14.5. ბათილად იქნა ცნობილი 2013 წლის 10 აპრილს დადებული ჩუქების ხელშეკრულება ½ ნაწილში და მოსარჩელე ცნობილ იქნა ქალაქ ხაშურში მდებარე უძრავი ნივთის ½ ნილის მესაკუთრედ;

14.6. ბათილად იქნა ცნობილი შპს-ის 50%-იანი ნილის დათმობის შესახებ 2010 წლის 6 მარტის ხელშეკრულება ½ ნაწილში და მოსარჩელე ცნობილ იქნა შპს-ის 25%-იანი ნილის მესაკუთრედ.

15. პალატის განმარტებით, როდესაც გარიგების ნამდვილობისათვის კანონით დაწესებულია ფორმა, ის ამ ფორმითვე უნდა მოიწონონ. მოსარჩელეს კი, კანონით განსაზღვრული წესით (სსკ-ის 183-ე, 323-ე მუხლებისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 43.2 მუხლის საფუძველზე) სადაცო გარიგებები არ მოუწონებია. სასამართლომ მიუთითა, რომ მეუღლემ, მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, განკარგა თანასაკუთრებაში არსებული ქონება, რაც სსკ-ის 1160.1 მუხლს ეწინააღმდეგებოდა. გარდა ამისა, პალატის მოსაზრებით, თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე საკუთრების განკარგვა, არღვევდა კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, რის გამოც, სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, დადების-თანავე ბათილ გარიგებას წარმოადგენდა.

16. სასამართლომ მეორე და მესამე მოპასუხე ქონების კეთილ-სინდისიერ შემძენებად არ მიიჩნია და განმარტა, რომ, რადგან ისინი მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის შვილები იყვნენ, მათთვის ცნობილი იქნებოდა, რომ უძრავი ნივთები და ნილი საზოგადოებაში მეუღლეთა თანაცხოვრების დროს იყო შექნილი. მათთვის ცნობილი იქნებოდა ისიც, რომ მშობლებს შორის დაძაბული ურთიერთობა არსებობდა. პირი კი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ქონების გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, კეთილსინდისიერ შემძენად ვერ მიიჩნევა (სსკ-ის 185-ე მუხლი). პალატამ მიუთითა, რომ ამავე დასაბუთებით სსკ-ის 312.2 მუხლით გათვალისწინებული საჯარო რეესტრის ჩანაწერების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია, მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდებოდა.

17. პალატამ, სსკ-ის 1160-ე მუხლის შესაბამისად, ამავე კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებთან მიმართებით პრიორიტეტი თანამე-საკუთრე მეუღლის ინტერესების დაცვას მიანიჭა, სადაცო გარიგებები 1/2 ნაწილში ბათილად ცნო და ამ ნაწილში სადაცო ქონება-თა მესაკუთრედ მოსარჩელე აღიარა.

18. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეთა მიერ შესაგებელში

მითითებულ მოთხოვნათა ხანდაზმულობაზეც იმსჯელა და დაასკვნა, რომ არ არსებობდა ამ საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობა. სსკ-ის 129.1 მუხლით უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო მოთხოვნების მიმართ 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადაა დაწესებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელეს სადაც ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელით სასამართლოსათვის უნდა მიემართა მათი დადებიდან 6 წლის განმავლობაში – 2016 წლის 11 მარტს, 2016 წლის 14 მაისსა და 2019 წლის 10 აპრილს, ხოლო წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით – 2015 წლის 6 მარტის ჩათვლით, მოცემულ შემთხვევაში კი, სარჩელი აღძრულია 2013 წლის 8 ნოემბერს, ანუ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა დაცულია.

19. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხებმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

20. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 1160-ე მუხლი, ვინაიდან ერთ-ერთი მეუღლის მიერ მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ნივთის გასხვისებისათვის მეორე მეუღლის წერილობითი თახმობის აუცილებლობაზე, სსკ-ის 323-ე მუხლზე დაყრდნობით მიუთითა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მეორე და მესამე მოპასუხე არაკეთილსინდისიერ შემძებად იქნებ მიჩნეული, რადგან მათ იცოდნენ მეუღლეთა თანასაკუთრების შესახებ. აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა შემძენი, რომელმაც იცის, რომ ნივთი მეუღლებმა რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში შეიძინეს, არაკეთილსინდისიერია, თუ იგი არ გამოითხოვს მეორე მეუღლის წერილობით თანხმობას ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით.

21. სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია მოწმეთა ჩვენები, რომელთა თანახმადაც, სადაც გარიგებები თავად მოსარჩელის სურვილით დაიდონ და შესაბამისი იურიდიული შედეგიც მოჰყვა. ამ გარემოებათა საანინააღმდეგო მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვება, გარდა თავად მოსარჩელის ურთიერთსანინააღმდეგო ახსნა-განმარტებისა, კერძოდ, მან პირველი ინსტანციის სასამართლოში არაერთხელ აღიარა, რომ სადაც გარიგებათა შესახებ 2010 წლის ივნისში გაიგო. სააპელაციო სასამართლოში კი განმარტა, რომ 2012 წლის თებერვლამდე არაფერი იცოდა ქონებათა გასხვისების თაობაზე და მონანილეობა მიიღო მცხეთაში მდებარე სადაც სახლის მშენებლობაში. ამდენად, მოსარჩელის განმარტებას თუ დავეყრდნობით, მან ქონებათა გასხვისებიდან ორი წლის შემ-

დეგ სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობით მოიწონა სადაც გარიგება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ საფუძვლია-ნად მიიჩნია უფლებამოსილი პირის შემდგომ მოწონებად.

22. რაც შეეხება ხანდაზმულობას, ნილის გასხვისების შესახებ შპს-ის პარტნიორთა გადაწყვეტილება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროს გასცდა, ამიტომ მოსარჩელის მოთხოვნის უფლებაზე არა ამ კანონით დადგენილი ხუთწლიანი, არამედ, სსკ-ის 129-ე მუხლით განსაზღვრული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა უნდა გავრცელდეს. დგინდება, რომ მოსარჩელემ გარიგებათა შესახებ 2010 წლის ივნისში შეიტყო, სარჩელი კი, 2013 წლის ნოემბერში აღდრა. შესაბამისად, მან გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის კანონით დადგენილი ვადა გაუშვა.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 21 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უარყოფილ უნდა იქნეს.

24. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატიკორების პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორადვე განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყევა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, გასაზიარებელია.

25. პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მოიძია სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები, არასწორად განსაზღვრა მათი აბსტრაქტული ელემენტები და იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო, რაც სსკ-ის 393-394-ე მუხლებით განსაზღვრულ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს ქმნის.

26. მოსარჩელე მოითხოვს იმ ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობას, რომელიც მისი და პირველი მოპასუხის თანასაკუთრებას ნარმოადგენდა და, რომელიც ამ უკანასკნელმა, მისი თანხმობის გარეშე, მეორე და მესამე მოპასუხეზე გაასხვისა. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხები შეთანხმებულად მოქმედებ-

დნენ, რათა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების კანონიერად გაყოფისათვის ხელი შეეშალათ და მოსარჩელისათვის ზიანი მიეყენებინათ. მისივე განმარტებით, მოპასუხეთა შორის და-დებული გარიგებები მოჩვენებითა და, შესაბამისად, ბათილია სსკ-ის 56.1 მუხლის საფუძველზე (ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ გაზრდახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

27. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მესამე პირებზე (მეორე და მესამე კასატორზე) გასხვისებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნება, სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 998-ე (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები). ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისათვის მიყენებული ზიანით) და 408.1 (იმ პირშა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლების დანაწესიდან გამომდინარეობს.

28. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის აანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი). „გენერალური დელიქტის“ ერთ-ერთი მთავარი პირობა მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. თუკი ასეთი ქმედება არ არსებობს, მაშინ დელიქტის შემადგენლობის სხვა წინაპირობების შემონმება ზედმეტია. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. არის თუ არა მოთხოვნა მართლსაწინააღმდეგო, ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეამოწმოს სასამართლომ. მოქმედება შეიძლება, ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ: ა. იგი ობიექტურად მიმართულია რომელიმე კანონისმიერი ამკრძა-

ლავი ნორმის ნინაალმდეგ; ბ. თუ მოქმედება არღვევს სხვა ვალ-დებულებებს, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს; გ. თუ მოქმედება არღვევს საგანგებოდ დაცულ უფლებებს (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების, პირად უფლებებს) (შდრ: იხ. №ას-332-317-2016; 09.12.2016).

29. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხეთა მართლსანინაალმდეგო ქმედება მოსარჩელის საკუთრების უფლების ხელყოფით გამოიხატა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სარჩელი წარმატებული იქნებოდა, თუ მოსარჩელე სსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული წესით დაამტკიცებდა, რომ: ა. სადავო ქონება მეუღლეთა თანასაკუთრება იყო; ბ. პირველმა მოპასუხემ თანასაკუთრებაში არსებული ქონება მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე გაასხვისა, რამაც მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვა განაპირობა; გ. სადავო გარიგებები დაიდო მოსარჩენებლად, ანუ იმ მიზნით, რომ მოსარჩელეს დაეკარგა თანასაკუთრების უფლება (შდრ: იხ. სუსგ, №ას-876-834-2013, 25.02.2016).

30. მეუღლეთა საერთო საკუთრების წარმოშობის საფუძვლებს სსკ-ის 1158-ე მუხლი (მეუღლეთა მიერ ქორნინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორნინო ხელშეკრულებით სხვა რაზ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან, სხვა საპატიო მიზეზის გამო, არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი) განსაზღვრავს და მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრე შემდეგია: მეუღლები რეგისტრირებულ ქორნინებაში უნდა იმყოფებოდნენ ერთმანეთთან; უნდა არსებობდეს მეუღლეთა საერთო ქონება. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე და პირველი მოპასუხე 1978 წლიდან რეგისტრირებულ ქორნინებაში იმყოფებოდნენ. სადავო ქონება მეუღლეთა რეგისტრირებულ ქორნინებაში ყოფნის პერიოდშია შეძენილი, რის გამოც მოსარჩელეს სადავო ქონების 1/2 ნაწილზე კანონისმიერი საკუთრების უფლება გააჩნია.

31. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ქონება რომ ქორნინების პერიოდში შეძენილი და მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენდა, მხარეთა შორის სადავო არ არის. სადავოა პირველი მოპასუხის მიერ ქონების განკარგვის უფლებამოსილება. სსკ-ის 1160.1 მუხლის მიხედვით, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა მხოლოდ მეუღლეთა შეთანხმებითაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქო-

ნებას. ამდენად, მეულლეთა თანასაკუთრების განკარგვა თანხმობასავალდებულო გარიგებაა, რადგან მეორე მეულლის თანხმობა გარიგების ნამდვილობის წინაპირობაა. მოპასუხეთა შესაგებლის მიხედვით, სადაცო ქონება გასხვისდა მოსარჩელის ნებითა და ურთიერთშეთანხმებით, გარდა ამისა, მან შემდგომი მოქმედებითაც მოიწონა გარიგები. აქედან გამომდინარე, მოპასუხეთა მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა არ არსებობს (არ წარმოშობილა), რამდენადაც ამ უკანასკნელის თანხმობამ, პირველი მოპასუნის ქმედება – მეულლეთა საერთო საკუთრების განკარგვა მართლზომიერი, კანონშესაბამისი გახადა.

32. ამდენად, მოპასუხებმა სარჩელის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინეს, კერძოდ, სსკ-ის 102-ე მუხლის (საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ წარადგილია, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით. განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს) მიხედვით, არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული საგნის განკარგვა წარადგილია, თუკი ეს განკარგვა უფლებამოსილი პირის წებართვით ხდება, ანდა – ეს უკანასკნელი მოიწონებს მას. მოსარჩელე უარყოფს როგორც თანხმობის გაცემის, ისე სადაცო გარიგებების შემდგომში მოწონების ფაქტს, შესაბამისად, ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, სსსკ-ის 102.1 მუხლის შესაბამისად, მოპასუხებს აწევთ.

33. მოცემულ შემთხვევაში, როგორც მხარეთა ახსნა-განმარტებებით, ისე მოწმეთა ჩევენებებით დგინდება, რომ სადაცო გარიგებები მოსარჩელის თანხმობით დაიდო. მოსარჩელის განმარტების მიხედვით, მან მეულლეს განქორწინება სთხოვა, რომელმაც ამის სანაცვლოდ მოითხოვა, რომ მოსარჩელს ქონებაზე პრეტენზია არ განეცხადებინა და ეს ნოტარიუსთან დაემოწმებინა. მოსარჩელის განმარტებით, იგი ასეც მოიკცა („მეც დავამოწმე ნოტარიუსთან, რომ ქონებას არ შევეხებოდი და მივუტანე. აღარ ვაპირებდი ქონებაზე პრეტენზის გაცხადებას, მაგრამ შემდეგ, როცა ქონება დამიყადალდა გავპრაზდი და ამის შემდეგ მოდის ეს ყველა-ფერი“). გარდა ამისა, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე დაკითხული მოწმე მ. გ-ის (მოსარჩელის დისტვილი) ჩევენების მიხედვით, „მეულლეებს შორის საუბარი იყო, რომ დედას შვილებისთვის ქონება დაეთმო“ (05.06.2014 წლის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი 15:35:19). ასევე, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე დაკითხული მოწმე ნ. გ-ის (მოსარჩელის და) განმარტებით: „მოსარჩელე თანახმა იყო, რომ ქონება შვილებისთვის გადაეფორმებინათ. მან ყველაფერი იცოდა“ (05.06.2014 წლის სხდომის ოქმი). მოწმე ს. ხ-მაც (პირველი მოპასუხის ძმა) და-

ადასტურა, რომ სადავო ქონება განიკარგა მოსარჩელის ნებართვით: „მოსარჩელე თანახმა იყო, აბა რა, ისე ვინ გაბედავდა ამის გაკეთებას“ (05.06.2014 წლის სხდომის ოქმი 15:52:34), „ა-ო, შენ რა თქმა უნდა დაეთანხმე ქონების გადაფორმებას, ჩვენ სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ შევიტობეთ. შენ ერთი წინააღმდეგობაც არ გაგიწევია“ (05.06.2014 წლის სხდომის ოქმი 15:57:59). მოწმე ლ.გ. (მეორე მოპასუხის ქმარი): „ქონების გადანაწილებაზე იყო საუბარი, მოსარჩელე მეუღლეს ეუბნებოდა, რომ ქონება შვილებზე გადაფორმებინა“ (01.07.2014 წლის სხდომის ოქმი). მოწმე ვ.ქ. (მესამე მოპასუხის ცოლის ძმა) „მე ვესწრებოდი ოჯახის წევრების საუბარს, ა-ს სურდა, რომ ქონება შვილებზე გადაეფორმებინა“ (01.07.2014 წლის სხდომის ოქმი).

34. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა ახსნა-განმარტებები და პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაკითხულ პირთა ჩვენებები სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა, ვინაიდან მათი ერთობლივად შეფასებით ცხადად ირკვევა, რომ სადავო გარიგებების დასაღებად მოსარჩელემ თავის მეუღლეს წინასწარ მისცა თანხმობა. ასეც რომ არ იყოს, პირველმა ინსტანციის სასამართლომ დაადგინა და სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა, რომ მოსარჩელემ სადავო გარიგებები შემდეგში მოიწონა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ სადავო გარიგებები ნამდვილად არ მიიჩნია, ვინაიდან, მისი მოსაზრებით, როგორც წინასწარ თანხმობას, ასევე გარიგების შემდგომში მოწონებას წერილობითი ფორმა სჭირდებოდა. ამ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და განმარტავს, რომ განმკარგავს ნებართვას ანიჭებს უფლებამოსილი პირი. ნებართვა არის უფლებამოსილი პირის მიერ გამოთქმული წინასწარი თანხმობა თანხმობასაგალდებულო გარიგებასთან დაკავშირებით. კონკრეტულ შემთხვევაში, ნებართვას საფუძვლად უდევს მეუღლეთა საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობა. თანხმობა, სსკ-ის 99.2 (თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა) მუხლის შესაბამისად, არ საჭიროებს თანხმობასავალდებულო გარიგების ფორმას. შესაბამისად, არც უძრავი ნივთის გასხვისებასთან დაკავშირებული თანხმობის ნამდვილობისათვის არაა საჭირო სსკ-ის 323-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმა. იგივე უნდა ითქვას უფლებამოსილი პირის შემდგომ თანხმობაზეც (მოწონებაზე).

35. რაც შეეხება შესაგებელს მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის განხორციელებადობა (ხანდაზმულობა), მოთხოვნის წარმოშობისა და მისი გამომრიცხველი გარემოებების შემოწმების შემდეგ უნდა იქნეს განხილული. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოთხოვნის წარმოშობის კანონით

დადგენილი სამართლებრივი წანამძღვრები არ არსებობს, პალატა მისი განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებებს, მოთხოვნის შემაფერხებელი წორმების საფუძველზე, აღარ შეამონმებს.

36. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

37. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადაწყვეტილი ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განანილებას, რომლებიც განიერ მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განანილებასაც.

38. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 6 000 ლარი. ამდენად, მოსარჩელეს უნდა დაკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 6 000 ლარის, გადახდა მოპასუხეთა სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

39. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ 3 ი ტ ა :

- მ. კ-ძის, ე. კ-ძისა და კ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყო-

ფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. კ-ძის სარჩელი არ დაემაყოფილდეს;

4. ნაზილობრივ გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ნოემბრის განჩინე-ბით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას:

– ე. კ-ძის (პ/ნ) საკუთრებაში რიცხულ ხარაგაულის რაიონის სოფელ მდებარე უძრავი ქონებისა (ს/კ) და მცხეთაში, სო-ფელ მდებარე უძრავი ქონების (ს/კ №....) 1/2 ნაწილს;

– კ. კ-ძის (პ/ნ) საკუთრებაში რიცხულ ქ.ხაშურში, ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონებისა (ს/კ) და შპს „ს-ის“ (ს/კ №....) საწეს-დებო კაპიტალის 50%-იანი ნილის 1/2 ნაწილს;

5. ა. კ-ძეს, მ. კ-ძის, ე. კ-ძისა და კ. კ-ძის სასარგებლოდ, დაეკის-როს 6000.00 ლარის გადახდა მოპასუხეთა მიერ გაღებული საპრო-ცესო ხარჯის ასანაზღაურებლად;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლები

განებისა საქართველოს სახელით

№ას-155-145-2017

26 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

1. ა. ნ-ის (შემდეგში: მოსარჩელე) სახელზე საკუთრების უფლე-ბით ირიცხება ქ. თბილისში, მ-ის ქუჩა №21-ში (შემდეგში: მოსარ-ჩელის კუთვნილი უძრავი ქონება) მდებარე უძრავი ქონება.

2. მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის მიმდებარე ქუჩაზე მოპირისპირე მხარეს, მ-ის ქუჩა №18-ში მდებარეობს მიწის ნაკვე-თი (შემდეგში: სადავო მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთი) თან-საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ა. უ-ის (შემდეგში: პირ-ველი მოპასუხე), თ. უ-ისა და ნ. უ-ის სახელზე.

3. ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მ-ის-18“-მა (შემდეგში: მოპასუხე ამხანაგობა), რომლის წევრებსაც აგრეთვე წარმოადგე-ნენ პირველი, მეორე და მესამე მოპასუხები, დაიწყო სადავო მი-სამართზე მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებე-ლი სახლის მშენებლობა.

4. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა პირველი მოპასუხის, ქ. ღ-ის, ე. ხ-ის, ე. ღ-იდის, მ. ხ-ის, ლ. მ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა: მო-პასუხებისათვის სოლიდარულად 100 000 აშშ დოლარის ეკვივა-ლენტი ლარის დაკისრება და მოთხოვნილი თანხის წლიური 10%-ის დაკისრება სარჩელის შეტანიდან გადაწყვეტილების აღსრულებამ-დე.

5. მოსარჩელემ აგრეთვე იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველ-ყოფის ონლაინი დადება) გამოყენების შესახებ [სა-ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 191-ე მუხლის და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი].

6. მოსარჩელის განმარტებით სადავო მისამართზე მდებარე ში-ნის ნაკვეთზე განხორციელებულმა მშენებლობამ პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა მოახდინა მოსარჩელის საკუთრებაში არსე-ბული უძრავი ქონების ლირებულებაზე. გაუფასურებული ლირე-ბულება, რომელიც გამოწვეულია მოსარჩელის საკუთრებაში არ-სებულ უძრავ ქონებაზე გარე გამაუარესებელი ფაქტორების ზე-მოქმედებით შეადგენს 100 000 აშშ დოლარს (იხ., ქონების გაუფა-სურებული ლირებულების შეფასების აქტი).

7. მოპასუხებმა მოთხოვნის გამომრიცხველი შედავება და-ფუძნეს ქონების გაუფასურების ფაქტობრივი გარემოების არარ-სებობაზე და აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოადგინეს დასკვნა, რომლითაც მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრა-ვი ქონების ლირებულება 2014 წლის იანვრის მდგომარეობით არის 222 000 აშშ დოლარი, ხოლო 2015 წლის თებერვლის მდგომარეო-ბით – 230 000 აშშ დოლარი. ამდენად, დასკვნის მიხედვით, ქონე-ბის ლირებულება არ შემცირებულა, პირიქით შეიმჩნევა უმნიშვნე-ლო მატება რაც შეადგენს 8000 აშშ დოლარს (იხ., ქონების შეფასე-ბის შესახებ დასკვნა).

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2015 წლის 14 იანვრის განჩინებით სარჩელის უზრუნველ-ყოფის შესახებ განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ამხანა-

გობას და პირველ მოპასუხეს აეკრძალათ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. ამავე სასამართლოს 2015 წლის 10 თებერვლის განჩინებით მოპასუხეთა მოთხოვნა საპირისპირო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

9. მოგვიანებით, მოპასუხებმა შეგებებული სარჩელი წარადგინეს მოსარჩელის მიმართ, რომლითაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მათთვის მიყენებული ზიანის (განგრძობადი) ანაზღაურების სახით მოთხოვეს მოსარჩელისათვის ყოველთვიურად 7108 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დღიდან მის გაუქმებამდე პერიოდში [სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 189-ე მუხლი].

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2015 წლის 20 მარტის განჩინებით შეგებებული სარჩელი არ იქნა წარმოებაში მიღებული, რამეთუ სასამართლოს მოსაზრებით სახეზე არ იყო სსსკ-ის 189-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე წანამდგრარი, სახელდობრ სარჩელი აღძრული იყო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ხოლო შეგებებული სარჩელის მოთხოვნას პირვანდელ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც გამორიცხავდა კავშირს აღნიშნულ ორ მოთხოვნას შორის.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. იმავდროულად გაუქმდა სარჩელთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

12. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკავშირების მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკავშირებით და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც უარყოფილი იქნა სარჩელი მოპასუხეებისათვის 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და მოთხოვნილი თანხის წლიური 10%-ის დაკისრების შესახებ სარჩელის შეტანიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

14. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 1,3-ში მითითებული გარემოებები. იმავდროულად დადგენილად მიიჩნია შემდეგი:

15. ამხანაგობამ, რომლის წევრებიც არიან პირველი მოპასუხე, ქ. ლ-ი, ე. ხ-ი, ე. ლ-იძე, მ. ხ-ი და ლ. მ-ი, ზემოაღნიშნულ მისამართზე დაიწყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა სა- თანადო ნებართვის საფუძველზე, კერძოდ, 27.11.2013 წელს ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილი- სის არქიტექტურის სამსახურის №1074138 ბრძანებით, ქ. თბილის- ში, მ-ის ქუჩა №18-ის მიმდებარედ, თანასაკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმე- ბული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებ- ლობის ნებართვა, რაც მოსარჩელეს გასაჩივრებული ჰქონდა სასა- მართლოში.

16. მოსარჩელეს სასამართლოში ასევე გასაჩივრებული ჰქონდა თბილისის საკურებულოს 2012 წლის 27 ივლისის №8-29 გადაწყვე- ტილება იმ მინის ნაკვეთისთვის საცხოვრებელი ზონა 6-ის სტატუ- სის მინიჭების შესახებ, რომელზეც ამხანაგობამ დაიწყო ხუთსარ- თულიანი სახლის მშენებლობა (იხ. სარჩელი). მოსარჩელის (აპელან- ტის) მითითებით, ეს დავები მის სასარგებლოდ არ გადაწყვეტილა.

17. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივად შესაფასებლად სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სა- ქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 992-ე მუხ- ლით (დამტუქმებელი ნორმა) განსაზღვრული შემადგენლობა.

18. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით 992-ე მუხლი გან- საზღვრავს იმ აუცილებელ ნინაპირობებს, რომლებიც უნდა არსე- ბოდეს დელიქტური ურთიერთობის წარმოშობისათვის, კერძოდ, უნდა დადგინდეს ზიანი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმე- დება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის ანუ, მოვალის ქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო, არამედ ზიანი უნდა იყოს ამ ქმედებით გამოწვეული უშუალო შედეგი.

19. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 102-ე მუხლზე, რომ- ლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოე- ბანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესა- გებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტე- ბის კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკი- ცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სა- ხის მტკიცებულებებით.

20. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პრინციპიდან გა-

მომდინარე, ამ ტიპის დავებში მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე, მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოპასუხებ უნდა ამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა.

21. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობს ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები. კერძოდ, მოსარჩელე ვერ ადასტურებს ზიანის არსებობას. უნინარესად, პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნით ერთმნიშვნელოვნად უარყოფილია სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი – სადაცო მშენებლობის განხორციელებით მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ნივთის საპაზრო ლირებულების შემცირება.

22. რაც შეეხება სარჩელზე დართულ აუდიტორულ დასკვნას, როგორც ზემოთაც აღინიშნა, დასკვნა მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ნივთის საპაზრო ლირებულების გამაუფასურებელ გარე ფაქტორად მიუთითებს მის პირდაპირ მიმდებარე მინის ნაკვეთზე არსებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოებას და ფაქტობრივად დაუმთავრებელ მრავალსართულიან შენობა-ნაგებობას, გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელის მინის ნაკვეთის 90%-მდე მოყოლილია მზის ბუნებრივი განათების ჩრდილში, მოხდა ამ მინის ნაკვეთის ხილვადობის ხელყოფა, მიმოსვლის გზის სიმცირისა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მობინადრეთა სამომავლო სატრანსპორტო საშუალებათა რიცხოვნობის ზრდის შემთხვევაში, ფაქტობრივად, შესაძლო მუდმივ საცობთან იქნება ასოცირებული არსებული მინის ნაკვეთი.

23. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ამჟამად, მშენებლობა დამთავრებულია (მხარეთა განმარტება).

24. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გაუგებარია რა მეთოდით დაადგინა აუდიტორმა მოსარჩელის მინის ნაკვეთის 90%-ის მზის ბუნებრივი განათების ჩრდილში მოყოლა, წელიწადის რა პერიოდს (ზამთარი, ზაფხული...) და დღის რა მონაკვეთს (დღილა, შუადღე, საღამო) ეხება ეს გაანგარიშება. რაც შეეხება სამომავლოდ, მრავალსართულიან სახლში მობინადრეთა ჩასახლების კვალობაზე, მათი ავტომანქანებით გამოწვეულ შესაძლო საცობებს, აღნიშნული წარმოადგენს ვარაუდს და ისინი (საცობები) შეიძლება სადაცო კორპუსს აშენების გარეშეც წარმოქმნილიყო ამჟამად ქ. თბილისში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ბუნდოვანია აუდიტორის დასკვნა ხილვადობის ხელყოფის თვალსაზრისითაც.

25. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში არ დადგინდა დელიქტუ-

რი პასუხისმგებლობის წარმოშობის ისეთი წინაპირობა, როგორიცაა მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება.

26. პალატამ განმარტა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზოგადად, ნიშნავს დადგენილი წესების, პირობების დარღვევას. ეს წესები და პირობები შეიძლება განსაზღვრული იყოს როგორც კანონით, ისე, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით. რაც შეეხება ბრალს, თუ პირმა განახორციელა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ივარაუდება, რომ ეს ქმედება არის ბრალეული და მოპასუხებ უნდა ამტკიცოს, რომ ქმედება არ იყო მისი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შედეგი.

27. განსახილველ საქმეში მოსარჩელე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული სათანადო ნებართვის საფუძველზე.

28. მოპასუხეების ქმედების მართლწინააღმდეგობის კუთხით, მოსარჩელე (აპელანტი) აპელირებს სსკ-ის 115-ე და 170-ე მუხლებზე. 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლებები უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

29. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც სადავო მშენებლობა მოპასუხეებმა აწარმოვეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აღმტურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, მითითება მათი მხრიდან უფლების არამართლზომიერ განხორციელებაზე მოკლებულია დამაჯერებლობას.

30. სსკ-ის 170-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია

31. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდება მოპასუხეთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენება, რადგან გამოკვეთილია მათი ინტერესი და მიზანი – მინის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება, რომლის მისალწევად განხორციელებული მოქმედებები არ ემსახურება მოსარჩელის-თვის ზიანის მიყენებას.

32. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოპასუხეებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვის მიღების შემდეგ, სამშენებლო ნორმების დაცვით აქვთ ნაწარმოები სამუშაოები, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მათ მიერ ამ უფლების გამოყენებისას მოსარჩელის საკუთრების უფლების ხელყოფას ადგილი არა აქვს.

33. რაც შეეხება დამატებით გადაწყვეტილებას, რომლითაც მოსარჩელეს მოპასუხეთა სასარგებლოდ დაეკისრა 6107.50 ლარის გადახდა, პალატა აღნიშნავს, რომ ეს თანხა წარმოადგენს ორი კომპონენტის ჯამს: წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯი (5000 ლარი) და აუდიტის დასკვნის მომზადებაში მოპასუხეების მიერ განეული ხარჯი (1107.50 ლარი) [სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი]. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მითითება მოპასუხეების მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის – 5000 ლარის მათთვის სრულად დაკისრების არამართებულობის შესახებ, განსახილებით საქმის სიმარტივიდან გამომდინარე, ამ ოდენობის ხარჯის არაგონიგურულობის გამო და აღნიშნა, რომ მოპასუხეების მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯი – 5000 ლარი არ აღემატება დავის საგნის ლირებულების 4%-ს (4 000 აშშ დოლარი), რაც დღეს არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით შეადგენს – 10 600 ლარს.

34. ამასთან, ამ თანხის ოდენობისა და საპროცესო კოდექსის ზემოთ მითითებული დანაწესის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოში არ დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარეების (მოპასუხების) შუამდგომლობა სააპელაციო ინსტანციაში წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის 2500 ლარის აპელანტისთვის (მოსარჩელე) დამატებით დაკისრების შესახებ.

35. რაც შეეხება აუდიტის დასკვნის მომზადებაში მოპასუხეების მიერ განეული ხარჯის (1107.50 ლარი) დაკისრებას, ამ ნაწილში, აპელანტის პრეტენზია იმაში მდგომარეობდა, რომ ეს თანხა მოსარჩელეს საერთოდ არ უნდა დაკისრებოდა, რადგან ხსენებული მტკიცებულება (აუდიტის დასკვნა) გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საერთოდ არ იყო შეფასებული.

36. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ეს გარემოება არ წარმოადგენდა ამ ხარჯის მოსარჩელეზე დაკისრებაზე უარის თქმის საფუძველს, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სარჩელის აღმდერელი პირის მიერ მითითებული ფაქტებიდან გამომდინარე შეუძლებელია კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევა და ამდენად, შესაგებლისა და მასში სარჩელის წინააღმდეგ მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების შე-

მოწმების აუცილებლობა აღარ არსებობს, ამ მტკიცებულებების მოსაპოვებლად მოპასუხის მიერ გაღებული ხარჯები უნდა დაეკისროს მოსარჩელეს.

37. სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაქმუშებლივი მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარადგინა აპელანტმა (მოსარჩელე).

38. საკასაციო საჩივარი ეფუძნება სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას (სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა). კასატორი მიუთითებს სსკ-ის 992-ე მუხლის დისპოზიციაზე და აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია მთავარი განმაპირობებელი გარემოება სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის დადგომისათვის, რაც ზიანის ფაქტის არსებობაში მდგომარეობს. კასატორი აღნიშნავს, რომ მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სავსებით საკმარისი და უტყუარი იყო ზიანის ფაქტის არსებობის დასადასტურებლად.

39. იმავდროულად, კასატორი აღნიშნავს, რომ სარჩელის მოთხოვნის საფუძვლად მოსარჩელემ განსაზღვრა სსკ-ის 170-ე მუხლი, რომელიც კრძალავს საკუთრების უფლების იმგვარ სარგებლობას, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი და არის გამოკვეთილი მესაკუთრის უპირატესი ინტერესი. სააპელაციო სასამართლომ კი, ყურადღება მხოლოდ უფლების ბოროტად გამოყენების არარსებობაზე [სსსკ-ის 115-ე მუხლი] გაამახვილა.

40. კასატორი მიუთითებს საკუთრების უფლების მაღალი სტანდარტით დაცულობაზე [საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი] და აღნიშნავს, რომ ქონების ღირებულების შემცირება წარმოადგენს საკუთრების ხელყოფას.

41. კასატორის დაუსაბუთებლად მიაჩინა მშენებლობის წებართვის შესახებ სამართლებრივი აქტების არსებობა და მიიჩნევს, რომ აღნიშნულით დასაბუთებული ვერ იქნება მოსარჩელის უფლების ხელყოფის მართლზომიერება, დასაშვებობა. მით უმეტეს, რომ მოცემული დავა მიმდინარეობს კერძო სამართლის ფარგლებში და აღნიშნული არგუმენტის გამოყენება არ ამართლებს სასამართლოს არგუმენტს.

42. კასატორი მიუთითებს საპროცესოსამართლებრივი ნორმების დარღვევაზე და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო-სათვის გაუგებარი დარჩა მოსარჩელის მიერ წარდგენილი აუდიტის დასკვნაში გამოყენებული მეთოდები.

43. კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია ორი საპირისპირო დასკვნა, რომლითაც ქონების ღირებულება სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული. სსსკ-ის 105-ე მუხლის მიხედვით

კი, სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა ერთ დასკვნას და რატომ უარყო მეორე. კასატორს მიაჩნია, რომ თუ სასამართლოს მიაჩნდა, რომ არ ირკვეოდა თუ რა მეთოდით ისარგებლა აუდიტმა ქონების ღირებულების შემცირების ფაქტის დადგენისას, მას უნდა ეხელმძღვანელა სსსკ-ის 173-ე მუხლით და თავისი ინიციატივით დაეზიშნა ექსპერტიზა ანდა მიეღო დამატებითი განმარტება ექსპერტისაგან [სსსკ-ის 171-ე მუხლი].

44. იმავდროულად, კასატორს დაუსაბუთებლად მიაჩნია მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა და აღნიშნავს, რომ სრულიად მოკლებულია დასაბუთებას დასკვნაში მითითება მოსარჩელის ქონების ღირებულების გაზრდის შესახებ, რადგან არის მითითებული, კონკრეტულად რამ გამოიწვია ღირებულების მატება.

სამოტივაციო ნაწილი:

45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2017 წლის 29 დეკემბერს საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე.

46. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივარის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

47. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

48. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

49. მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება ქ.თბილისში, მ-ის ქუჩა №21-ში მდებარე უძრავი ქონება.

50. მოსარჩელის კუთვნილი მინის ნაკვეთის მიმდებარე ქუჩაზე მოპირისპირ მხარეს, მ-ის ქუჩა №18-ში მდებარეობს მინის ნაკვეთი, თანასაკუთრების უფლებით რეგისტრირებულია პირველი მობასუხის, თ. უ-ისა და ნ. უ-ის სახელზე.

51. ინდ.ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მ-ის-18“-მა, რომლის

წევრებსაც აგრეთვე, წარმოადგენენ პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეები, დაინტერესის სადაც მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

52. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეებისათვის თანხის დაკისრების შესახებ იმ გარემოებას ეფუძნება, რომ მოპასუხეების მიერ მეზობელ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობის შედეგად, შემცირდა მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების ლირებულება, რითაც ზიანი მიადგა მოსარჩელეს. ამავე თვალსაზრისითაც წარმოდგენილი საკასაციო შედავებაც, სახელდობრ, კასატორი სადაც ხდის საპელაციო სასამართლოს მიერ უარყოფილ ფაქტობრივ გარემოებას ზიანის ფაქტის არსებობის შესახებ და მიაჩნია, რომ ზიანის ფაქტის უარყოფა არ შეესაბამება საქმეში წარდგენილ მტკიცებულებებს.

53. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო შედავება, რის გამოც, ვარგისი მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებულ კასატორის პრეტენზიას და მოსარჩელის საკუთრების უფლების იმგვარი ხელყოფის შესახებ მითითებას, რაც დასაბუთებულს გახდიდა მოპასუხეებისათვის ამ ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გადახდის დაკისრებას.

54. პირველ რიგში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო ხასიათის ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პროცესში კონკრეტული სამართლის ნორმების საფუძველზე ამ ურთიერთობის მოხაზილეების აღჭურვა განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით, განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. სამართლის ნორმა (ნორმები) პირს უნდა ანიჭებდეს უფლებას, მოსთხოვოს ვალდებულ პირს შეასრულოს სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი მოქმედება ან თავი შეიკავოს შისგან. შესაბამისად, სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების უწინარეს საფუძველს წარმოადგენს იმ საკითხის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა]. მხოლოდ ამის შემდევ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შეამოწმოს გან-

ხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასა-მართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამონმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთი-თებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წანამდგრარს. ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია თუ არა სარჩელი, კერძოდ, მო-სარჩელე მიუთითებს თუ არა დამფუძნებელი ნორმის შემადგენე-ლი ყველა ელემენტის არსებობაზე, რომელთა დადასტურებულად მიჩნევა სასარჩელო მოთხოვნას იურიდიული თვალსაზრისით გაა-მართლებს (ე.წ მოსარჩელის სტადია).

55. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარ-ნყლებს წარმოშობილ წანამდლვრებს (პროცესუალური და მატერი-ალური თვალსაზრისით).

56. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოთხოვნის სამართლებრივი სა-ფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა მიუხედავად იმისა, სარჩელსა და შესაგებელში მხარეები მატერიალური სამარ-თლის რომელ ნორმაზე მიუთითებენ, ანუ მხარეთა სამართლებრი-ვი პოზიცია დავის გადაწყვეტისას შემზღუდავი არაა (იხ. სუსგ №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი).

57. აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სა-სამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა (იხ., ამ განჩინების პ-4) შეა-მოწმა სსკ-ის 992-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით (იხ., ამ განჩინების პპ: 18-22). შესაბამისად, უარსაყოფია კასატორის ერთ-ერთი შედავება, რომელიც სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 წანილის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას (სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რო-მელიც უნდა გამოეყენებინა) ეფუძნება (იხ., ამ განჩინების პ-39).

58. განსახილველ შემთხვევაში ირკვევა, რომ სააპელაციო სა-სამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებისას გამოიკვლია სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირო-ბების არსებობა და დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არ-სებობდა ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლები. სააპე-ლაციო პალატმა დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნით ერთმნიშვნელოვნად უარყოფილია სარ-ჩელის ფაქტობრივი საფუძველი – სადაც მშენებლობის განხორ-ციელებით მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ნივთის საბაზო ღი-რებულების შემცირების ფაქტობრივი გარემოება (იხ., ამ განჩინე-ბის პპ: 18-22).

59. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გა-რემოებას სადაცოდ ხდის კასატორი და ამ ნანილში, საკასაციო შე-დავება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში წარმოდგენილი

მტკიცებულებების არაწორ შეფასებას ეფუძნება, სახელდობრ, კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია ორი საპირისპირო დასკვნა, რომლითაც ქონების ღირებულება სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული. იმავდროულად, კასატორს დაუსაბუთებლად მიაჩინა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა და აღნიშნავს, რომ სრულიად მოკლებულია დასაბუთებას დასკვნაში მითითება მოსარჩელის ქონების ღირებულების გაზრდის შესახებ და რადგან არის მითითებული კონკრეტულად რამ გამოიწვია ღირებულების მატება (იხ, ამ განჩინების პპ: 44, 45).

60. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

61. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

62. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას

სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალნარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებელი, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

63. მტკიცების ტვირთზე მიუთითებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

64. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალნარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ცერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

65. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

66. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლის შეფასების საგანია.

67. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას (კვალიფიციური შედავების მნიშვნელობა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნებისათვის).

68. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დაგასთან. იმავდროულად, ახსნა-განმარტება უნდა დასტურდებოდეს რელევანტური მტკიცებულებებით [სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი].

69. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ მას ზიანი ადგება სადაც მისამართზე მდებარე მინის ნაკეთობები განხორციელებული მშენებლობით, რაც კონკრეტულად გამოიხატება მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულების შემცირებით, ქონების გაუფასურებით (ამ განჩინების პ-6).

70. ვინაიდან, სახეზე არა მხარეთა სახელშექრულებო ურთიერთობა, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელის მოთხოვნის დელიქტური სამართლით რეგულირებული სამართლებრივი საფუძვლებით განხილვა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, დასაბუთებულია, ვინაიდნ განსახილველი დავის საგნის გათვალისწინებით, მხარე მოთხოვნას დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ურთიერთობაზე ამყარებს. შესაბამისად, მოცემული დავის მარეგულირებელ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი წარმოადგენს.

71. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დელიქტური ვალდებულება წარმოადგენს არასახელშექრულებო (კანონისმიერ) ვალდებულებათა სახეს. იგი წარმოიშობა კანონის ძალით, მხარეთა ნება-სურვილისგან დამოუკიდებლად, რა დროსაც, მხარეთა წინასწარი შეთანხმება ზიანის ანაზღაურების თაობაზე საჭირო არ არის. დელიქტური ვალდებულება მონოდებულია უზრუნველყოს დარღვეული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების აღდგენა სამართალდამრღვევის ხარჯზე. სწორედ ამ ვალდებულების ძალით, პირი, რომელმაც მიაყენა ზიანი სხვა პირის პირად ან ქონებრივ ინტერესებს, ვალდებულია სრული მოცულობით აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, ხოლო დაზარალებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს განცდილი ზიანის ანაზღაურება.

72. შესაბამისად დელიქტი, როგორც სამოქალაქო სამართალ-დარღვევა, წარმოშობს გარკვეული სახის სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, დელიქტურ პასუხისმგებლობას. დელიქტური პასუხისმგებლობა წარმოადგენს კანონით განსაზღვრული ქონებრივი ხასიათის ზომების იძულებით გამოყენებას იმ პირის მიმართ, რომელმაც მიაყენა ზიანი სხვა პირის მატერიალურ ან არამატერიალურ სიკეთეს. აღნიშნული პასუხისმგებლობის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ არსობრივად იგი წარმოადგენს შეფარდებით სამართალურთიერთობას, ანუ ადგენს ერთი პირის ვალდებულებას მეორეს წინაშე და იმავდროულად მიმართულია აბსოლუტური სამართალურთიერთობის დაცვისაკენ, სადაც განსაზღვრულია მხოლოდ ერთი მხარე – სუბიექტური უფლების მატარებელი, მაგალითად, ნივთის მესაკუთრე.

73. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად სამოქალაქო უფლების დარღვევა მიიჩნევა. ქონებრივი პასუხისმგებლობის ვალდებულ პირზე დასაკირდებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა. შემადგენლობის ორგანიზმს ჰქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ამ შემადგენლობის ელემენტებია: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდარღვევის ბრალი.

74. სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი შედეგი (ზიანის ანაზღაურების ვალდებულება) ქმედების აბსტრაქტული შემადგენლობიდან (სხვა პირის მიმართ განხორციელებული ქმედება) გამომდინარეობს. იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება – ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), შედეგი – ზიანი და მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ნორმის შემადგენელ აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია (შდრ: სუსგ №ას-507-481-2011, 30 იანვარი, 2012 წელი).

75. დასახელებული ნორმის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ქონებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი აუცილებელი ელე-

მენტია ზიანის არსებობა. სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს.

76. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებაუნარიანი ზიანი. ასეთია სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი. ზიანი, რომლის ანაზღაურებაც შეუძლებელია, ვერ ჩაითვლება ასეთად. ქონებრივი ზიანის დადგენა ხდება ქონებრივი მდგომარეობის შეფასებით, კერძოდ, რა ქონებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდა პირი, სანამ მის მიმართ განხორციელდებოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მას მიადგებოდა ქონებრივი ზიანი და რა მდგომარეობაში იმყოფებოდა პირი, ქონებრივი ზიანის გამოწვევი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემდგომ. ზიანის მოცულობა განისაზღვრება ამ ორ მდგომარეობის შორის სხვაობით.

77. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ აცნობიერებდა თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მთავარია, რომ მოვალის ქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. სამოქალაქო სამართალში მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა. მართლინიააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას. მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების უშუალო შედეგს. თუ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, არსებული ზიანი ანაზღაურდება სრულად, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა ეს ზიანი ან რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობა დამდგარ შედეგში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მა-

შინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამ-დგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილე-ბელი, პირდაპირი შედეგია.

78. ზიანის არსებობის ფაქტისა და ამ ზიანის სწორედ მოპასუ-ხის ბრალეული ქმედებით გამოწვევის მტკიცების ტვირთი პროცე-სუალურად ეკისრება მოსარჩელეს. ამავე კოდექსის 326-ე და 412-ე მუხლებით დადგენილია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარა-უდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

79. ზიანის ფაქტის არსებობისა და ამ ზიანის მოპასუხის მიერ მიყენების ფაქტის მტკიცების თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირ-ველსა და მე-3 ნაწილებზე. მითითებული ნორმების თანახმად, თი-თოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოე-ბები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეუ-ლი სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სა-ხის მტკიცებულებებით. ამდენად, მოსარჩელე ვალდებულია, სათა-ნადოდ დასაბუთოს მისი მოთხოვნის მართებულობა, რაც მან ამ მოთ-ხოვნის დამადასტურებელი, კანონშესაბამისი და უტყუარი მტკი-ცებულების სასამართლოში წარდგენის გზით უნდა განახორციელოს. ფაქტიობრივი გარემოებების მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავისი სამართლებრივ მოთხოვნას აფუნქ-ბენ აღნიშნულ გარემოებებს და შესაბამისად, ისინი მიუთითებენ მათზე (შდრ სუსგ №ას-129-122-2014, 30.04. 2014 წ.).

80. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე იმ გარემოების და-სადასტურებლად, რომ მისი უძრავი ქონების საბაზრო ღირებუ-ლება 100 000 აშშ დოლარით შემცირდა, მიუთითებს შპს აუდიტო-რული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანიის“ 12.11.2014 წლის №2/31-2014 დასკვნაზე, რომლის მიხედვით, მოსარჩელის უძრავი წივთის გაუფასურებული ღირებულება, რაც გამოწვეულია მასზე გარე გა-მაუარესებელი ფაქტორების ზემოქმედებით, შეადგენს 100 000 აშშ დოლარს.

81. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის შე-ფასებასა და მის გაუზიარებლობასთან დაკავშირებითაც კასატო-რი მიუთითებს, რომ დაუსაბუთებელია, თუ რატომ მიანიჭა სასა-მართლომ უპირატესობა მოპასუხის დასკვნას ან რატომ უარყო მო-სარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულება.

82. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 105-ე მუხლის

მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მტკიცებულებათა შეფასება უალტერნატივოდ მოიაზრებს მის ყოველმხრივად და სრულად გამოკვლევა-განხილვას, რაც გულისხმობს მტკიცებულების მთლიანობაში შემონმებას და მის შეჯერებას სხვა მტკიცებულებებთან. მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასების შედეგად მათ შორის წინააღმდეგობის არსებობისას, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს მოსაზრება, რის გამოც მტკიცებულებათა ნაწილი უტყუარად იქნა მიჩნეული, ხოლო ნაწილი არასარწმუნოდ.

83. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების (აუდიტორის დასკვნა) შეფასების თაობაზე და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მითითებულ მტკიცებულებაზე, საქმეში არსებული მტკიცებულების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი არ დასტურდებოდა.

84. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აუდიტის დასკვნა წარმოადგენს სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგს და სასამართლოს მიერ მისი შეფასებისას ყურადღება ექცევა სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა კვლევის ნაწილი, კვლევის მეთოდი, საკვლევი ნიმუში და ა.შ. შპს აუდიტორული ფირმა „ბაკარშილი და კომპანიის“ 12.11.2014 წლის №2/31-2014 დასკრინის შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასკვნის კვლევითი ნაწილის მიხედვით, უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების გამაუფასურებელ გარე ფაქტორს წარმოადგენს მის პირდაპირ მიმდებარე მინის ნაკვეთზე არსებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოება და ფაქტობრივად დაუმთავრებელი მრავალსართულიანი შენობა-ნაგებობა, გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელის მინის ნაკვეთის 90%-მდე მოყოლილია მზის ბუნებრივი განათების ჩრდილში, მოხდა ამ მინის ნაკვეთის ხილვადობის ხელყოფა, მიმოსვლის გზის სიმცირისა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მობინადრეთა სამომავლო სატრანსპორტო საშუალებათა რიცხოვნობის ზრდის შემთხვევაში, ფაქტობრივად, შესაძლო მუდმივ საცობთან იქნება ასოცირებული არსებული მინის ნაკვეთი.

85. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა განმარ-

ტების მიხედვით, მშენებლობა დამთავრებულია. ასევე გაუკვეველი იყო, თუ რა მეთოდით დაადგინა აუდიტორმა მოსარჩელის მინის ნაკვეთის 90%-ის მზის ბუნებრივი განათების ჩრდილში მოყოლა, წელიწადის რა პერიოდს (ზამთარი, ზაფხული...) და დღის რა მონაკვეთს (დღილა, შუადღე, საღამო) ეხებოდა ეს გაანგარიშება. რაც შეეხება სამომავლოდ, მრავალსართულიან სახლში მობინადრეთა ჩასახლების კვალობაზე, მათი აუტომანქანებით გამოწვეულ შესაძლო საცობებს, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული წარმოადგენს ვარაუდს და ისინი (საცობები) შეიძლება სადაც კორპუსის აშენების გარეშეც წარმოქმნილიყო ამჟამად ქ. თბილისში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ასევე ბუნდოვანია აუდიტორის დასკვნა ხილვაღობის ხელყოფის თვალსაზრისითაც. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ აუდიტის დასკვნაზე დაყრდნობით, ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოება დაუდასტურებელი იყო.

86. ხოლო რაც შეეხება კასატორის მითითებას იმ გარემოებაზე, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება [სსკ-ის 102-ე და სსკ-ის 992-ე მუხლები]. შესაბამისად, სწორედ მოსარჩელე იყო ვალდებული სარწმუნო მტკიცებულებებით დაედასტურებინა დელიქტური ზიანის არსებობის ფაქტობრივი გარემოების არსებობა, ხოლო მოპასუხის ვალდებულება მოთხოვნის განმაპირობებელი გარემოებების არარსებობით (გაქარწყლებით) შემოიფარგლება. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორს, რომ მოთხოვნის უარყოფა მხოლოდ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნით არის განპირობებული. განსახილველ შემთხვევაში, თავად მოსარჩელემ ვერ მოახდინა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის ჯეროვნად რეალიზება.

87. კასატორის არც იმ პრეტენზიას გააჩინა ვარგისი საპროცესო სამართლებრივი საფუძველი, რომლის მიხედვითაც საპირისპირო შინაარსის აუდიტის დასკვნის არსებობის კვალობაზე, სააპელაციო სასამართლოს თავად უნდა დაენიშნა დამატებითი ექსპერტიზა. საექსპერტო დასკვნების არსებობისა და მათ შორის წინააღმდეგობათა ან დაუსაბუთებლობის (გაურკვევლობის) არსებობის შემთხვევაში, დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნა არის მოსამართლის უფლებამოსილება და არა ვალდებულება სსკ-ის 173-ე მუხლის რელატიური შინაარსიდან გამომდინარე.

88. საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დადგინდა ზიანის არსებობის ფაქტობრივი გარემოება. ასევე

დაუდასტურებელია მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების არსებობაც, მაშინ როდესაც, აღნიშნული თითოეული კომპონენტი ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის [სსკ-ის 992-ე მუხლი].

89. საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც სადაც მშენებლობა მოპასუხებმა დაიწყეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვის მიღების შემდეგ, მოპასუხებს სამშენებლო ნორმების დაცვით აქვთ ნაწარმოები სამუშაოები, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოპასუხეთა მიერ ამ უფლების გამყენებისას მოსარჩელის საკუთრების უფლების ხელყოფას ადგილი არა აქვს (იხ., ამ განჩინების პპ: 28-33).

90. რაც შეეხება კასასტორის პრეტენზიასთან მიმართებით, რომ „სარჩელის მოთხოვნის საფუძვლად მოსარჩელემ განსაზღვრა სსკ-ის 170-ე მუხლი, რომელიც კრძალავს საკუთრების უფლების იმგვარ სარგებლობას, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი და არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის უპირატესი ინტერესი. საპელაციო სასამართლომ კი, ყურადღება მხოლოდ უფლების ბოროტად გამოყენების არარსებობაზე [სსკ-ის 115-ე მუხლი] გაამახვილა (პ.39)“, საკასაციო პალატა აღნიშნავს, სსკ-ის 170-ე მუხლი განსახილველ შემთხვევაში არ ნარმოადგენს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, ამიტომაც ამ ნანილშიც საკასაციო პრეტენზია დაუსაბუთებელია.

91. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, არ შეიცავს დელიქტის სპეციალურ შემადგენლობას, რომელიც უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მიუხედავად ამისა, თუ უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად, მესამე პირს მიადგა ზიანი, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 992-ე და სხვა დელიქტის მომწესრიგებელი სპეციალური მუხლების შესაბამისად. უფლების ბოროტად გამოყენების შეფასება დელიქტის შემადგენლობაში მართლწინააღმდეგობის ელემენტების შემოწმების ფარგლებში იქნება აუცილებელი. კერძოდ, თუ დადგინდა, რომ პირი მისთვის კანონით ან ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების საფუძველზე საკმარისი მოტივაციისა და ინტერესის გარეშე საკუთარი ქმედებით ზიანს აყენებს სხვას, ასევე, სახეზეა მიზეზობრივი კავშირი და ბრალი, პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგეს სსკ-ის 992-ე მუხლის შესა-

ბამისად. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეფასდეს, პირის ზიანის გამომწვევი ქმედება იყო ობიექტური ინტერესით ნაკარნახევი, რაც უფლების გამოყენებას ამართლებს, თუ ის უპირატესად მხოლოდ სხვა პირისათვის ზიანის მიყენებას ისახავდა მიზნად და ამიტომ მართლსაწინააღმდეგოდ უნდა შეფასდეს.

92. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს მოპასუხეთა ქმედებით დელიქტური ზიანი არ მისდგომია და ამდენად, არ არსებობს მოპასუხებისათვის სოლიდარულად 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და მოთხოვნილი თანხის წლიური 10%-ის დაკისრების საფუძვლები. შესაბამისად, საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

93. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინების საკასაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ საქმის განმხილველ სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობას კანონი არ დაურღვევია, ხოლო კასატორს კი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

94. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან (იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 თებერვლის განჩინება).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის 3-ე ნაწილით, 410-ე მუხლის „ა“ პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინება;
3. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. გაზრდილი სარჩოს დაკისრების მართლზომიერება

გაზრდილი სარჩოს დაკისრების მართლზომიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-52-48-2017

26 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სარჩოს გადაანგარიშება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს 2006 წლის 25 ნოემბერს თ. გ-მა (შემდეგში: მოსარჩევე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიიღო სანარმოო ტრავმა, რის შედეგადაც მან დაკარგა პროფესიული შრომის უნარი 50%-ით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლო 2009 წლის 14 აპრილის №2/694-09 გადაწყვეტილებით სს „ს-ას“ (შემდეგში: მოპასუხე ან კასატორი) დაეკისრა მოსარჩელეს სასარგებლოდ სარჩოს ანაზღაურება თვეში 79,75 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა შეადგენდა იმ დროს მოქმედი გამცილებლის ხელფასის 50%-ის ნახევარს.

3. მოპასუხე ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მატარებლის გამყოლის თანამდებობრივი სარგო 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის 01 აპრილამდე შეადგენდა 565 ლარს, 2013 წლის 01 აპრილიდან დღემდე შეადგენს 750 ლარს.

4. მოსარჩელე სარჩელი აღმრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა სარჩოს გადაანგარიშება, კერძოდ, მოპასუხისათვის 2012 წლის მარტიდან 2015 წლის მარტამდე პერიოდის მიუღებელი სარჩოს ერთობლივი თანხის 3,277 ლარისა და 2015 წლის მარტიდან ყოველთვიურად 187.50 ლარის დაკისრება.

5. მოთხოვნა შესაძლოა გამომდინარეობდეს საქართველოს სამქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 992-ე, 408-ე, 411-ე მუხლებიდან. აგრეთვე, საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სშკ-ი) 44-ე მუხლიდან.

6. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მოსარჩელემ მიუთითა ამ განჩინების პპ: 1-3 დაფგენილი ფაქტობრივი გარემოებები. იმავ-დო დოკუმენტი, აღნიშნა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესუ-ლი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული სარჩოს ოდენობა საჭიროებდა გადაანგარიშებას, რამეთუ თანამდებობრი-ვი სარგოს ოდენობა 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის 1 აპრილიამდე შეადგენდა 565 ლარს, 2013 წლის 1 აპრილიდან დღემდე კი, შეად-გენს 750 ლარს.

7. მოპასუხებ წარმოადგინა, როგორც მოთხოვნის შემწყვეტი ისე, მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომელშიც აღნიშ-ნა, რომ სარჩოს გაანგარიშების შესახებ მოთხოვნას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებ-და სარჩელის ნარჩუმატებლობაზე. იმავდროულად, მოპასუხებ მი-უთითა, რომ მოსარჩელე 65 წლის ასაკის შემდეგ ვეღარ იმუშავებ-და მოპასუხე საზოგადოებაში, რადგან მოსარჩელის მიერ, თავის დროზე, დაკავებულ თანამდებობაზე სამსახურებრივი მოვალეო-ბის შესრულება უდიდეს ძალისხმევას საჭიროებდა.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 მარტის გა-დაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2012 წლის 1 მარტიდან 2015 წლის 5 მარტამდე მიუღებელი სარჩოს ერთობლივი თანხა 3277 ლარის ოდე-ნობით. მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2015 წლის მარტიდან ყოველთვიურად გაზრდილი სარჩოს სახით 187.5 ლარის ანაზღაურება.

9. თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფი-ლებას სამართლებრივ საფუძვლად დაუდო ზიანის ანაზღაურების მიზანი და სამართალურთიერთობაში მისი არსი. სასამართლოს მო-საზრებით, დაზარალებულის მაკომპენსირებელ საშუალებას ნარ-მოადგენს ზიანის ანაზღაურება, რომლის ოდენობის დასადგენად რელევანტური იქნებოდა სსკ-ის 411-ე მუხლის დანაწესი. გარდა ამისა, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით განსახილველი და-ვის გადასაწყვეტად რელევანტურ სასამართლო პრაქტიკას წარ-მოადგენდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება (იხ., საქმე №ას-789-746-2015), რომელ-შიც ჩამოყალიბებული იყო ერთიანი მიდგომა ზიანის ოდენობის გან-სასაზღვრად. სასამართლოს მიხედულებით, ამ კრიტერიუმს სწო-რედ ის შემოსავალი წარმოადგენდა, რომელსაც ორგანიზაციაში მუ-შაობის პერიოდში დებულობდა დაზარალებული და მიიღებდა ზია-ნის მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე [სსკ-ის 992-ე და 408-ე მუხლები].

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 მარტის

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინებით უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

12. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 1-3-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო დავის სამართლებრივი მოწესრიგებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ-ის) 992-ე, 408-ე და 411-ე მუხლებით.

13. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით მოპასუხე წარმოადგენდა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს სსკ-ის 992-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით, ხოლო ზიანის სახით ასანაზღაურებელი თანხის (სსკ-ის 408-ე მუხლი) განსაზღვრის მიზნით, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით, ხოლო სპეციალური მოწესრიგებისათვის კანონქვემდებარე წორმატიული აქტით, როგორიცაა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №53 ბრძანებულება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი“ და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით განისაზღვრა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის მიხედვით, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული „ზიანის ანაზღაურების სარჩო“ ექვემდებარება ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ.

14. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ყოველთვიური სარჩოს სახით ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმს სწორედ ხელფასის ის ოდენობა წარმოადგენდა, რასაც დაზარალებული დანესებულებიდან ჯანმრთელობის დაზიანებამდე იღებდა და რასაც იგი მიიღებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება [სსკ-ის 44-ე მუხლი].

15. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის აპელირება ს-ის 2001 წლის №6-2369 განკარგულებაზე, რომელიც ავა-

ლებს რკინიგზის სტრუქტურულ ერთეულებს მოსარჩელის სამსახურებრივი სტატუსის მქონე პირების საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ სხვა თანამდებობებზე გადაყვანის აუცილებლობაზე და განმარტა, რომ საპენსიო ასაკის მიღწევამ არ შეიძლება გავლენა მოახდინოს სარჩოს ანაზღაურების ვალდებულებაზე. სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომა პირს ართმევს შესაძლებლობას ჰქონდეს სამუშაო და ღებულობდეს შესაბამის ანაზღაურებას. შესაბამისად, აღნიშნული ვითარება უნდა კომპენსირდეს დაზარალებული მუშავის სასარგებლოდ შესაბამისი პირობების დადგომისას სამართლიანი კომპენსირების თანაბარზომიერების გამო გაზრდილი მოთხოვნილების (408.2გ) თანახმად.

16. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც სახეზეა პრეიუდიციული ძალის მქონე სასამართლო გადაწყვეტილება სარჩოს სიცოცხლის ბოლომდე დანიშვნის თაობაზე, რომლის საფუძველზე მოსარჩელე დღესაც (მიუხედავად საპენსიო ასაკისა) ღებულობს სარჩოს, გადაანგარიშების წესის არარსებობის მიუხედავად, საკანონმდებლო აქტების (საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი) სწორი და მიზნობრივი განმარტების შედეგად უკვე დადგენილი სარჩოს გადაანგარიშების შესაძლებლობა სამართალწარმოების წესით დასაშვებია, რაც მართებულად განხორციელდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და არ არსებობს ამ გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხებ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

18. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ, მართალია, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, სსკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 992-ე მუხლი. გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი და სშკ-ის 44-ე მუხლი. ამასთან, გამოიყენა ძალადაკარგული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი – საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება, რომელიც გაუქმებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად გამოიყენა საქართველოს შრომის კოდექსის 44-ე მუხლი. აღნიშნული ნორმატიული აქტის 53-ე მუხლის თანახმად კი „ეს კოდექსი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა“. მოსარჩე-

ლესთან შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილია 2006 წლიდან და მო-
სარჩელე ს-იდან იღებს ყოველთვიურ სარჩოს.

19. კასატორის მოსაზრებთ, საპატიო სასამართლომ გამო-
იყენა სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც არ უნდა
გამოიყენებინა. ამასთან, მართალია, გამოიყენა სსკ-ის 408-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილი, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. სამოქალაქო
კოდექსში სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების
მიყენების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას არეგუ-
ლირებს 408-ე მუხლის მე-2 ნაწილი და არა იმავე მუხლის პირველი
ნაწილი, რამდენადაც ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის
მეორე წინადადების თანახმად, „ამ კოდექსით გათვალისწინებულ
ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზისას გა-
მოიყენება სპეციალური ნორმები“. სსკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნა-
წილის თანახმად კი „თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობი-
სათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრო-
მის უნარი ან შეუძლირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებე-
ბი, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური
სარჩოს გადახდით“.

20. რაც შეეხება, თავად სარჩოს ოდენობას და მისი გაანგარიშე-
ბის წესს, კასატორის მოსაზრებით, მოქმედი ქართული კანონმდებ-
ლობით აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული და შესა-
ბამისად, შეუძლებელია მის მტკიცება, რომ სარჩო გადაანგარი-
შებულ უნდა იქნას ხელფასიდან. სარჩოს შრომის ანაზღაურები-
დან (ხელფასი) დაანგარიშება (გარდა იმისა, რომ არ აქვს არანაირი
სამართლებრივი საფუძველი), წარმოქმნის კიდევ ერთ უმნიშვნე-
ლოვანეს და არა მარტო სამართლებრივ (ვინრო გაგებით) პრობლე-
მას, რომელიც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შე-
იძლება მნიშვნელოვან ხელშემშეღწევა ფაქტორად მოგვევლინოს.
თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა კი, მოგეხსენებათ, თავის თავში
გულისხმობს კანონმდებლობისა და ეკონომიკის ლიბერალიზაცი-
ას. ქართველი კანონმდებლის ამ გეზის დასტურია მოქმედი „სა-
ქართველოს შრომის კოდექსი“. ამავე კურსის გაგრძელებას წარ-
მოადგენს 2007 წელს სარჩოს გადაანგარიშების არსებული წესის
გაუქმებაც და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45
დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულე-
ბისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მი-
ყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა
და გაცემის წესი“, რომელიც ასევე არ ითვალისწინებს დანიშნული
დახმარების გადაანგარიშებას. კასატორმა აღნიშნა, რომ გინიადან
მოქმედი კანონმდებლობა სარჩოს გადაანგარიშებას არ ითვალის-
ნინებს, შესაბამისად, უსაფუძვლოა მოთხოვნა დანიშნული სარჩოს

ხელფასის ცვლილების მიხედვით გადაანგარიშებისა. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 2009 წლის 14 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაშიც (საქმე №2/694-09) ასევე არაფერია აღნიშნული სარჩოს გადაანგარიშების შესახებ.

21. კასატორი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ნამდვილად მოახდენდა გავლენას მოსარჩელის შემდგომ ქონებრივ მდგომარეობაზე არის ის, რომ ს-ის 2001 წლის №6-2369 განკარგულების თანახმად, მატარებლის მოძრაობასთან დაკავშირებულ მუშაკთა მაქსიმალური ასაკია 65 წელი, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ აღნიშნული სამუშაო თავისი შინაარსით მეტად სარისკოა და უდიდეს ძალისხმევასა და ყურადღებას მოითხოვს. შესაბამისად, მოსარჩელე 65 წლის მიღწევის შემდგომ ველარ იმუშავებდა სამგზავრო ვაგონის გამყოლად და ის ელემენტარულად ველარ მიიღებდა იმ ხელფასს, რასაც მოითხოვს, მით უმეტეს გაზრდილი ოდენობით. ამ პოზიციის მართებულობას ასევე ირიბად ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკაც (იხ. სუსგ №ას-789-746-2015, №ას-1220-1145-2015, №ას-637-608-2016).

სამოტივაციო ნაწილი:

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე წლის 29 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

23. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

24. სსსე-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კასატორს სადაცოდ არ გაუხდია (იხ., ამ განჩინების პპ: 1-3). საკასაციო საჩივრით სადაცოა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, კონკრეტულად კი, საკასაციო საჩივრის პერსპექტივა მოთხოვის

სამართლებრივი საფუძვლის არარსებობას ემყარება, რაც იმავ-დროულად, სარჩელის დაკმაყოფილების განმაპირობებელ საფუძ-ვლად გვევლინება.

25. საკასაციო სასამართლო განსახილველი დავის სამართლებ-რივი შეფასებისას ყურადღებას მიაქცევს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოსარჩელემ სანარმოო ტრაგმა მიიღო 2006 წლის 25 ნოემბერს, რის გამოც, დაკარგა პროფესიული მრომის უნარი 50%-ით. მრომის უნარის დაკარგვის გამო, მას დაენიშნა სარჩო თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 აპრილის გადაწყვე-ტილებით და მის სასარგებლოდ ყოველთვიურად ხორციელდებო-და მიყენებული ზიანის ანაზღაურება სარჩოს გადახდით. უკანას-კელ პერიოდში, მოსარჩელეს ზიანი უნაზღაურდებოდა ყოველ-თვიურად 79.75 ლარის გადახდით.

26. განსახილველი დავის საგანს კი, სარჩოს იმგვარად გადაან-გარიშება წარმოადგენს, რომ მოსარჩელეს აუნაზღაურდეს მიუ-ლებელი სარჩო 2012 წლის მარტიდან 2015 წლის მარტამდე პერი-ოდზე ერთობლივი თანხის 3,277 ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის მარტიდან ყოველთვიურად 187.50 ლარის ოდენობით (გან-გრძობადი ვალდებულება).

27. სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასა-მართლო მიუთითებს ზოგადად დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნებსა და ზიანის ანაზღაურების არსს, რაც მისი მიხედვულებით მიყენებული ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს. ასეთ დროს კი, მხედველობაშია მისაღები ის მიუ-ლებელი შემოსავალი რომელიც დაზარალებულის მიმართ არ დად-გებოდა, რომ არა განხორციელებული დელიქტი [სსკ-ის 992-ე, 408-ე და 411-ე მუხლები].

28. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს კვლევისა და შეფა-სების საგანია სსკ-ის 992-ე, 408-ე და 411-ე მუხლების საფუძველ-ზე, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის გაზრდილი (გა-დაანგარიშებული) სარჩოს დაკისრების მართლზომიერება.

29. ვინაიდან, დელიქტი განხორციელებულია და ვალდებულე-ბა მოპასუხეს ალიარებული აქვს, რაც გამოიხატება განვლილ პე-რიოდზე სარჩოს გადახდით (იხ., ამ განჩინების პ-2), საკასაციო პა-ლატა იმსჯელებს მხოლოდ ვალდებულების მოცულობაზე – მოპა-სუხისათვის გაზრდილი (გადაანგარიშებული) სარჩოს დაკისრების მართლზომიერებაზე.

30. საკასაციო პალატა მოიხმობს სსკ-ის 408-ე მუხლის პირვე-ლი ნაწილის დისპოზიციას [„იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აა-ნაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც

იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება]” და აღნიშნავს, რომ ნორმა განცდილი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოუშობს ვალდებულ პირს. ნორმის ამგვარი ფორმულირების მიზანია დაზარალებულის მდგომარეობის აღდგენა იმგვარად, რომ მივიღოთ ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობა. თეორიულად, განხორციელდეს ე.წ რესტიტუცია, რაც პრაქტიკულად დაზარალებულის იმ პირობებში ჩაყენებას გულისხმობს, რომელიც ზიანის მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში იქნებოდა სახეზე.

31. სადავო შემთხვევაშიც, სარჩოს გადაანგარიშების მიზანსაც დაზარალებულისათვის იმ მატერიალური დანაკლისის შეგსება წარმოადგენს, რასაც დაზარალებული მიიღებდა, სარჩოს მიღების საფუძვლის – დაზიანების (უბედური შემთხვევის) ფაქტის არარსებობისას, რაც იმას ნიშნავს, რომ მხედველობაშია მისაღები ზოგადი კრიტერიუმი დაზარალებულის მხრიდან (დელიქტის წარმოუშობლობის პირობებში) აქტიური შრომისუნარიანობის შესახებ. სასკის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილიც იმაზე მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურების ოდენობის დასადგენად მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ როდემდე ვალდებული სანარმო გადაუხადოს დაზარალებულს კომპენსაცია [დისპოზიცია: „თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით“].

32. ამდენად, შეფასებას საჭიროებს გარემოება, რომელიც პირის დასაქმების პერიოდს უკავშირდება. დიდი ალბათობით პირი იმუშავებდა თავისი პროფესიით და მიიღებდა იმ შეღავათებს და უპირატესობას, რასაც ანალოგიურ, თანაბარ პირობებში მყოფი მუშაკი. სხვა სამოქალაქო საქმეშიც, რომელშიც აგრეთვე შესაფასებელი იყო სარჩოს გადაანგარიშების წინაპირობები, საკასაციო პალატამ გამოიკვლია წარმოშობილი იყო თუ არა დაზარალებული-სათვის მოქმედი ელმავლის მემანქანის თანაშემწის ხელფასის მიხედვით, ზიანის ასანაზღაურებლად თანხის გადაანგარიშების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები (იხ. სუსგ №ას-1220-1145-2015, 3 ივნისი, 2016 წელი). ამის შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული ზიანის მიმყენებელი გადაეხადა კომპენსაცია დაზარალებულისათვის (იხ. სუსგ №ას-789-746-2015, 22.01.2016წ.).

33. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ამჟამად, 69 ნლი-

საა (იხ., პირადობის მოწმობა, დაბ.თარიღი 22.04.1949წ.), პრეზუ-მირებულია, რომ იგი იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც იმხანად მოქმედი შრომის კოდექსის (1973 წლის 28 ივნისის რე-დაქტიით) მიხედვით, მამაკაცებისათვის 65 წელს შეადგენდა. მო-სარჩელის მიერ წარმოდგენილი 2009 წლის 14 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწ-ყვეტილებაშიც (საქმე №2/694-09) არაფერია აღნიშნული სარჩის გადაანგარიშების შესახებ. შესაბამისად, საკასაციო პალატას მი-აჩნია, რომ სარჩის გადაანგარიშების ნაწილში (მოპასუხისათვის განგრძობადი ვალდებულების დაკისრება), კასატორმა წარმოად-გინა ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედა-ვება).

34. ამდენად, მეორე სასარჩელო მოთხოვნით სადავოდ გამხდარ პერიოდში (მოპასუხისათვის განგრძობადი ვალდებულების დაკის-რება მოსარჩელის სასარგებლოდ, რაც გადაანგარიშებული სარჩის ყოველთვიურად გადახდაში მდგომარეობს) (იხ., სარჩელის მოთ-ხოვნა) მოსარჩელე ვერ შეასრულებდა საწარმოში შრომით მოვა-ლებას და მასზე ვერც დასახელებულ პერიოდში განხორციელე-ბული სახელფასო ცვლილებები გავრცელდებოდა.

35. საკასაციო პალატის მსჯელობა შესაბამისობაშია ამჟამინ-დელ სასამართლო პრატიკასთან. იხ., სუსგ №ას-424-397-2017, 29 სექტემბერი, 2017 წელი, სუსგ №ას-1180-1141-2016, 31.03.2017წ; №ას-637-608-2016, 23.09.2016წ.; №ას-1220-1145-2015, 03.06.2016წ.; №ას-1216-1141-2015 03.06.2016წ.; №ას-742-710-2016, 25.11.2016..

36. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 992-ე, 408-ე და 411-ე მუხლებზე მითითებით და საქართველოს უზენაში სასამართლოს პრატიკის არასწორი გამოყენებით საქმეზე ნაწი-ლობრივ უმართებულო გადაწყვეტილება მიიღო, რაც გასაჩივრე-ბული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების საფუძვლია.

37. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა გან-სახილველად დაბრუნების საფუძვლები.

38. საკასაციო სასამართლო, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკასაციო პრეტენზიას და მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც 2015 წლის მარტიდან ყო-ველთვიურად გადაანგარიშებული სარჩის სახით 187.50 ლარის მო-პასუხისათვის დაკისრებაში მდგომარეობს, არ უნდა დაკმაყოფილ-

დეს.

39. ხოლო საკასაციო პრეტენზიას, რომელიც შეეხება მოპასუ-
ხისათვის 2012 წლის მარტიდან 2015 წლის მარტამდე პერიოდის
მიუღებელი სარჩოს ერთობლივი თანხის 3,277 ლარის დაკისრების
არამართლზომიერებას (სარჩელის პირველი მოთხოვნა) არ იზია-
რებს დაუსაბუთებლობის გამო და მიაჩნია, რომ 2012 წლის მარტი-
დან 2015 წლის მარტამდე პერიოდის მიუღებელი სარჩოს ერთობ-
ლივი თანხის 3,277 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში,
უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

40. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნა-
წილობრივ კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სა-
ხელმწიფო ბაჟი (300 ლარი) უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-
ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინება
და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. გ-ის სარჩელი სს „ს-ისათვის“ 2015 წლის მარტიდან ყოველ-
თვიურად გადაანგარიშებული სარჩოს სახით 187.50 ლარის დაკის-
რების ნაწილში, არ დაკმაყოფილდეს;
4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელა-
ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16
ნოემბრის განჩინება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ
გასაჩივრდება.

**3. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის
შეღებად დამდგარი ზიანის ანაზღაურება**

**სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შეღებად
დამდგარი ზიანის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახალი**

№ას-1184-1129-2013

26 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სატრანსპორტო საშუალება („ვაზ 21063“, (სახ. №-ით ...), მარკის ავტომანქანა), რომელსაც გ. ტ-ე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე) მართავდა, 2010 წლის 02 ოქტომბერს შეეჯახა ფოთის საზღვაო ნავსადგურის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესაკუთრე, დაზარალებული ან დამზღვევი) კუთვნილ „ტოიოტას“ მარკის (სახ. № ...) ავტომანქანას. ავტოსაგზაო შემთხვევა მეორე მოპასუხის ბრალეულმა მოქმედებამ გამოიწვია.

2. სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც შემთხვევის დღეს მეორე მოპასუხე მართავდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში გ. კ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) სახელზე იყო რეგისტრირებული.

3. დაზარალებულს („ტოიოტას“ მარკის ავტომანქანის მესაკუთრეს) სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი შპს დ-ომ“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან მზღვეველი) აუნაზღაურა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 799.1.-ე, 820-821-ე მუხლები).

4. 2012 წლის 13 სექტემბერს მზღვეველმა სარჩელი აღძრა მოპასუხების წინააღმდეგ და 16 500 ლარის სოლიდარულად დაკისრება მოითხოვა (სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილი).

5. მოსარჩელის მოსაზრებით, ვინაიდან მან დამზღვევის ნაცვლად აუნაზღაურა დაზარალებულს ზიანი, სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ის უფლებამოსილი იყო, მოპასუხებისათვის მის მიერ გადახდილი თანხის სოლიდარულად დაკისრება მოეთხოვა.

6. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან მიუთითა მოთხოვნის გამომრიცხველ გარემობად იმაზე, რომ 2010 წლის ივნისში, მან მანქანა მეორე მოპასუხეს მიჰყიდა და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა არ უნდა დაპკისრებოდა. გარდა ამისა, ის ყურადღებას ამახვილებდა იმაზეც, რომ გამოსარკვევი იყო დაზღვეული მანქანის მძლოლის უფლებამოსილების საკითხიც, რადგანაც, დამზღვევსა და მზღვეველს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ავტომანქანა ავტორიზებულ მძლოლს უნდა ემართა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი არ იყო ვალდებული, აენაზღაურებინა ზიანი.

7. მეორე მოპასუხემ დაადასტურა 2010 წლის ივნისში პირველი მოპასუხისაგან ავტომანქანის შეძენა, ხოლო მზღვეველისთვის ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეუსაბამოდ მაღალი იყო, ამასთან, სადაზღვევო კომპანიამ მას არ მისცა საშუალება, დაეთვალიერებითა ავტომანქანა და ზიანი თავად აენაზღაურებინა შეკეთების ან დაზარალებულისათვის სხვა ავტომანქანის შეძენის გზით.

8. ხაშურის რაიონულმა სასამართლომ, სსკ-ის 317-ე, 464-ე, 992-ე, 999-ე მუხლებზე დაყრდნობით, 2013 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დასაბუთებულად ცნო და მოპასუხებს, მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად 13 983 ლარის გადახდა დააკისრა.

9. **სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები მოპასუხებისათვის ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრების თაობაზე შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

9.1. სადაზღვევო შემთხვევის დროისათვის სატრანსპორტო საშუალება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ირიცხებოდა პირველი მოპასუხის სახელზე. სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხეთა განმარტება იმის თაობაზე, რომ ავტომანქანაზე საკუთრება პირველმა მოპასუხემ ჯერ კიდევ სადაზღვევო შემთხვევამდე (2010 წლის ივნისში) გადასცა მეორე მოპასუხეს, ვერ აქარნებულებდა პირველი მოპასუხის სახელზე სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ფაქტს. სასამართლომ მიუთითა, რომ ამ გარემოების მტკიცებისთვის უფრო მაღალი სტანდარტი იყო საჭირო, ვიდრე მხარეთა ახსნა-განმარტებაა.

9.2. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა,

რომ პირველ მოპასუხეს, როგორც ავტომობილის მესაკუთრეს, სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მეორე მოპასუხესთან ერთად უნდა დაჰკისრებოდა (მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი).

9.3. ასამართლო დაეყრდნო შპს „ე-ის“ ექსპერტიზის აქტს, რომლის მიხედვითაც ავტომანქანის აღდგენის ლირებულება 16 500 ლარს შეადგენდა, საიდანაც 2 517 ლარი დამატებითი ლირებულების გადასახადი, დანარჩენი კი, მომსახურება და მასალების ლირებულება იყო. სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 408-409-ე მუხლების შესაბამისად, ზიანი ანაზღაურდება ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის. სასამართლოს მოსაზრებით, 2517 ლარი ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა, ვინაიდან დაზიანებული ავტომანქანა არ შეკეთებულა (ე.ი. მზღვეველს რაიმე სახის მომსახურება არ მიუღია) და, ამდენად, 2 517 ლარის – როგორც მომსახურებისთვის გადასახდელი დღგ-ის დანაკლისიც არ მიუღია.

10. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პირველმა მოპასუხემ და მზღვეველმა.

11. პირველი მოპასუხის სააპელაციის საჩივრის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები:

11.1. სასამართლომ არ დაადგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის თანხის ანაზღაურების წინაპირობების არსებობა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა და არ გამოარკვია ის გარემოება, რომ დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემოდა სატრანსპორტო საშუალების არაუფლებამოსილი (არავტოროზებული) პირის მართვის შემთხვევაში.

11.2. სასამართლომ არასწორად მიიჩნია პირველი მოპასუხე ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად, რადგანაც მან მანქანა გაყიდა შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე და აღარ წამოადგენდა მის მესაკუთრეს. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ივარაუდება, რომ მოძრავი წივთის მფლობელი არის მესაკუთრე. ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით მან სამუდამოდ დათმო ნივთზე უფლება. ამ დასკვნას ვერ აქარნებულებს ავტომობილის ფორმალური რეგისტრაცია, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება უნდა დაჰ-

კისრებოდა მხოლოდ მანქანის ახალ მესაკუთრესა და მფლობელს.

12. მოსარჩელის შეგებებული სააპელაციო საჩივარი ემყარება იმას, რომ ზიანი 16 500 ლარს შეადგენდა, სასამართლომ კი, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, დღგ-ის თანხა არ ჩათვალა ზიანის მოცულობაში, რაც არასწორია.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 იანვრის გა-დაწყვეტილება.

14. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებები და დამატებით მიუთითა შემდეგი:

14.1. „სააპტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაცლისების გარდა, მექანიურ სატრანსპორტო საშუალებებზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობა იურიდიულ ძალას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან იძენს. ამდენად, მითითებული კანონი, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ კანონს, აწესრიგებს მექანიურ სატრანსპორტო საშუალებებზე პირის საკუთრების უფლების საფუძველს. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, პირველ მობასუხეს საგზაო შემთხვევის დადგომაში უშუალო ბრალი არ მიუძლოდა, მაგრამ იგი, როგორც ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელი, პასუხს აგებდა საგზაო შემთხვევით გამოწვეული ზიანისათვის.

14.2. აპელანტის პრეტენზია იმის თაობაზე, მართავდა თუ არა ავტომანქანას ავტორიზებული მძღოლი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სცილდებოდა დავის საგანს და არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნდა დავის სწორად გადაწყვეტისთვის, ვინაიდან, არსებობდა სსკ-ის 832.1 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, რომლის საფუძველზეც დაზარალებულს (დამზღვევს) მესამე პირის მიმართ მოთხოვნის უფლება გააჩნდა.

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა:

15.1. სსკ-ის 999-ე მუხლი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირად იურიდიულ მფლობელს მიიჩნევს, ხოლო საკითხი იმის

შესახებ, თუ ვინ არის მფლობელი, უნდა გადაწყდეს სანივთო სა-მართლის საფუძველზე. სსკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებული წესის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა უნდა მოხდეს ნამდვილი უფლების საფუძველზე. ნამდვილი უფლება, როგორც წესი, წარმოიშობა ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს მხარეებს შორის შეთანხმების არსებობას ხელშეკრულების საგანზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე. მეორე მოპასუხემ პროცესზე დაადასტურა ნასყიდობის ფაქტი, ასევე, პატრულისთვის მიცემულ წერილობით ახსნა-განმარტებაში ის მიუთითებდა, რომ მართავდა მის (და არა სხვის) კუთვნილ ავტომობილს, მასვე ჰქონდა მანქანის ე.ნ ტექპასპორტი. აღნიშნული გარემოებები უდავოდ ადასტურებდნენ იმას, რომ კასატორი ალარ იყო ნივთის არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი მფლობელი, ამიტომაც დაუშვებელი იყო მისი ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

15.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ დავის საგანს სცილდებოდა იმის გამორკვევა, მართავდა თუ არა აგტომანქანას ავტორიზებული მძღოლი. მოცემულ შემთხვევაში მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული დაზღვევის პირობების თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, თუკი დაზღვეულ მანქანას არაუფლებამოსილი პირი მართავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სადაზღვევო კომპანიამ არამართლზომიერად აუნაზღაურა ზიანი დაზღვეულს, ხოლო არამართლზომიერად გადახდილი თანხის კასატორისთვის მოთხოვნის უფლება მას არ გააჩნია.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლომ საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად გამოიტანა დასკვნა, რომ საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გადაწყვეტილება გა-საჩივრებულ ნაწილში უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა კასატორისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, როგორც დაუსაბუთებელი, უარყოფილ უნდა იქნეს.

18. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საფალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ

წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაცება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო და რაიონული სასამართლოების მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაცება) წარმოადგინა.

19. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი პრეტენზია ისაა, რომ სადაზღვევო შემთხვევის დროს ის არ წარმოადგენდა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, შესაბამისად, მას პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრებოდა, ვინაიდან არ იყო შესრულებული სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტობრივი წანამდლვარი.

20. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას და ასკვნის, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასება პირველი მოპასუხისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, კერძოდ:

20.1. სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილი სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან (მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა პირს ეკისრება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის შემთხვევაში, სსკ-ის 395.1-ე და 992-ე მუხლები) განსხვავებულ წესს ადგენს. როგორც წესი, სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელი, მიუხედავად იმისა, მართავს თუ არა ის ამ საშუალებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე, თუ ზიანი მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგია. ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი გამოყენება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფ-

რთხის წყაროს მფლობელს პრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია (მდრ. სუს №ას-494-463-2010, 9 ნოემბერი, 2010 წელი, №ას-594-652, 6 ნოემბერი 2015 წელი).

20.2. წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილი უდავო ფაქტებითა (იხ. 1-5 პუნქტები) და ორივე მოპასუხის შესაგებლით (იხ. 6-7 პუნქტები) დასტურდება, რომ პირველ მოპასუხეს ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ავტომანქანაზე რაიმე უფლება აღარ გააჩნდა, ის არც მესაკუთრე და არც იურიდიული მფლობელი არ იყო, რადგანაც მან 2010 წლის ივნისში, ნასყიდობის საფუძველზე, საკუთრება გადასცა მეორე მოპასუხეს სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 186-ე მუხლით დადგენილი წესით. სააპელაციო პალატის მიერ პირველი მოპასუხის პრეტენზიის უარსაყოფად „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მოშველიება არასწორია, რადგანაც ამ კანონის მიზანს წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული საქმიანობის საფუძვლების საჯარო სამართლებრივი და არა კერძოსამართლებრივი მოწესრიგება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკაზე ამახვილებს ყურადღებას: „საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ამომწურავადაა დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივ რეჟიმს. ამავე კოდექსის 186-ე-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლები, ეს წესები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას. რაც შეეხება მითითებას, რომ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი ადგენს სატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაციას, აღნიშნული მოთხოვნა, არ წარმოადგენს და არ უკავშირდება ნივთზე საკუთრების წარმოშობის საფუძველს“ (იხ: სუს №ას-914-954-11, 27.10.2011 წელი, №ას-733-1003-05; №ას-914-954-2011; №ას-463-445-2016). ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ აეტოსატრანსპორტის საშუალებების რეგისტრაცია საჯაროსამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში განსახორციელებელი ვალდებულებაა და

დამატებით წინაპირობას ავტომობილზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის არ წარმოადგენს; რეგისტრაციის აუცილებლობა მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება, რაც თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება.

21. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა.

22. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გაიღეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მითითებული ნორმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც. ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟი, არამედ, ის ხარჯებიც, რომლებიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვისას.

23. საქმის მასალებით დასტურდება, რომ პირველმა მოპასუხემ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 559.32 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 699.15 ლარი, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩევეს პირველი მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1258.47 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1 და 1.2 პუნქტები, მოპასუხე გ. კ-ისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად 13 983 ლარის, სახელმწიფო ბაჟის – 420 ლარისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯის – 255 ლარის დაკისრების თაობაზე;
3. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. შპს „დ-ოს“ სარჩელი მოპასუხე გ. კ-ისათვის სოლიდარულად 13 983 ლარის, სახელმწიფო ბაჟის – 420 ლარისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯის – 255 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
5. შპს „დ-ოს“, გ. კ-ის სასარგებლოდ, დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის – 1258.47 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება

განვითარება საქართველოს სახელით

№ას-811-762-2015

4 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
მოსამართლები: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2011 წლის 25 თებერვალს, ქ. თბილისში, №7 სახლის მიმდევარედ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, დ. შ-ძე (შემდეგში: მოპასუხე, მონინააღმდეგე მხარე, მძღოლი) ავტომანქანით („ოპელ-ომეგა“ სახ. №....) დაეჯახა ვ. მ-ეს (შემდეგში: დაზარალებული, ფეხით მოსიარულე).

2. ავტოვარიის შედეგად დაზარალებულმა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება {სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილი}. აღნიშნული ფაქტის გამო დაიწყო გამოძიება.

3. ქ. თბილისის პროკურატურის პროკურორის 2013 წლის 14 თებერვლის დადგენილებით მოპასუხე გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე {საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ. ქვეპუნქტი“}.

4. დაზარალებულის მკურნალობის ხარჯები, 35 401.35 ლარი, გაიღო ნ. მ-ძემ (შემდეგში: მოსარჩევე, აპელანტი, ან კასატორი).

5. 2012 წლის 12 ნოემბერს დაზარალებული გარდაიცვალა.

6. მოსარჩევე დაზარალებულის ანდერძისმიერი მემკვიდრეა {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 1344-ე მუხლი}.

7. 2013 წლის 14 აგვისტოს მოსარჩევემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მამკვიდრებლის მკურნალობაზე განეულის ხარჯების, 35 401.35 ლარის, მოპასუხისათვის დაკისრე-

ბა {სსკ-ის 999-ე და 408-ე მუხლის პირველი ნაწილები, 409-ე მუხლი}.

8. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა არ იყო გამოწვეული მისი ბრალეული ქმედებით, ამასთან, არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რაც დაადასტურებდა დანაშაულის ჩადენის ფაქტს {სსკ-ის 309¹⁷ მუხლის პირველი ნაწილი და 309²⁰-ე მ, მუხლის მე-2 ნაწილი}. მოპასუხემ საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად სასამართლოში წარადგინა სიიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში ჩატარებული სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგური ექსპერტიზის დასკვნა.

9. 2014 წლის 14 იანვრის სიიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება არ იყო დამოკიდებული მძღოლის მოქმედებაზე და ის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფით არ მოქმედებდა.

10. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის, 1062.03 ლარის, გადახდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-6 და მე-9 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. მან დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 317-ე, 408-ე, 411-ე, 992-ე მუხლები.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით:

11.1. მოსარჩელის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა არ გამომდინარეობს საქმის გარემოებების რეალური შეფასებიდან. ექსპერტმა დასკვნა მოამზადა მოსარჩელის განცხადებაში მითითებული გარემოებზე, და არა საქმის მასალებზე, დაყრდნობით. გამოძიების მასალების მიხედვით, დაზარალებული ავტოსაგზაო შემთხვევის დროს არ მოძრაობდა (იმყოფებოდა სტატიურ მდგომარეობაში), ხოლო ექსპერტიზისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, ის საავარიო შემთხვევის დროს კვეთდა გზას, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს და რამაც საქმეზე არასწორი საექსპერტო დასკვნის მომზადება განაპირობა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 დეკემბრის განჩინებით განსახილველ დავაზე დაინიშნა განმეორებითი, კომპლექსური ავტოტექნიკურ-ტრასოლოგიური, კომისიური ექ-

სპერტიზა {საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 162-ე მუხლის პირველი ნაწილი}. ექსპერტიზის ჩატარება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

13. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 6 თებერვლის დასკვნის თანახმად, ავტომობილ „ოპელ-ომეგას“ მძღოლს, ტექნიკური თვალ-საზრისით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა არ აღინიშნება. ამავე დასკვნის თანახმად, ფეხით მოსიარულე გზის სავალ ნაწილს კვეთდა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაემაყოფილდა ნაწილობრივ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟის – 1062,03 ლარის დაკისრების ნაწილში, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

15. პალატამ განმარტა, რომ დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი იყო სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი წინაპირობების ერთობლივად არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნას არ გააჩნდა პერსპექტივა.

16. პალატამ დაასკვნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხებ შეძლო მტკიცების საგანმი შემავალი გარემოებების დადასტურება; კერძოდ, მის ქმედებაში მართლსაზრისალდებობისა და ბრალის არარსებობის დამტკიცება. პალატის მოსაზრებით, ასევე არ არსებობდა მოპასუხის მიმართ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებიც {სსკ-ის 999-ე მუხლი}.

17. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს დაუსაბუთებლად დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ვინაიდან იგი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის გადახდის-გან {სსსკ-ის 46-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი}.

18. აღნიშნული გადაწყვეტილება ნაწილობრივ, საკასაციო ნესით გაასაჩივრა მოსარჩელემ შემდეგი დასაბუთებით:

18.1. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 999-ე მუხლის დანაწესი. სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ არ არსებობდა განსახილველ დავაზე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირო-

ბები. სასამართლომ, სავარაუდოდ, მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარე მოქმედებდა დაუძლეველი ძალის პირობებში, თუმცა, ვინაიდან მოპასუხეს სატრანსპორტო საშუალების გაჩერება არ უცდია, სასამართლოს არ უნდა ჩაეთვალა, რომ დაუძლეველი ძალის არსებობამ გამოიწვია ზიანის მიყენება.

18.2. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 992-ე მუხლი. ამასთან, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში მძლოლი იღებს შესაბამის ზომებს მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალების სრულ გაჩერებამდე. კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებების მეორე პრეტენზიაში მითითებულია, რომ მძლოლმა 40-50 კმ/სთ-ით მოძრაობის პირობებში გზის სავალი ნაწილის კონტროლის გარეშე 20-25მ გაიარა სამუხრუჭე სისტემის გამოუყენებლად, რასაც მოჰყვა დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. შესაბამისად, ზემოთქმულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ მძლოლი მოქმედებდა დაუძლეველი ძალის პირობებში, უნდა შეეფასებინა რამდენად მიუძლოდა ბრალი მოპასუხეს შესაბამისი ხარისხის ზიანის მიღებაში.

18.3. სასამართლომ განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით არ გამოიყენა და, შესაბამისად, არ განმარტა სსკ-ის 309²⁰-ე მუხლის მე-2 ნაწილი. სასამართლოს უნდა ემსჯელა კანონიერ ძალაში შესული პროცეურორის აქტის კანონის ანალოგიის წესით, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის სახით განხილვის ან მასთან გათანაბრების თაობაზე, რაც სასამართლოს საშუალებას მისცემდა, საქმეზე ზიანის მიყენების ფაქტი დადგენილად მიეჩნია.

18.4. კასატორმა ასევე მოითხოვა ექსპერტიზის დანიშნის თაობაზე 2014 წლის 2 დეკემბრის განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და გასაჩივრებულ ნაწილში, ახალი განჩინების მიღებით, მოსარჩელის შუამდგომლობის დაკმაყოფილება ექსპერტიზის დამოუკიდებელ საექსპერტო დანესებულებაში ჩატარების ან სამი საექსპერტო დაწესებულების მონაწილეობით ჩატარებაზე.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, მიღებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივარის მოტივების შემოწმება, საკასაციო პალატას შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებული გან-

ჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით იმავე სასამართლოსათვის დაპრუნების თაობაზე, სახელფობრ:

21. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნები სსკ-ის 992-ე მუხლთან მიმართებით და ჩათვალა, რომ, რადგანაც არ არსებობდა ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წანამდღვარი, კერძოდ, ზიანის მიმყენებლის ბრალი, სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელი იყო. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება აღნიშნულ შეფასებას და იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად სასამართლოს სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის წინაპირობები უნდა გამოეკვლია და შემდეგ უნდა გამოეტანა შესაბამისი დასკვნები.

22. უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი „ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან (პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო პირს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალებული) განსხვავებულ – სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალებულობა სავალდებულო არ არის. ამ გამოწაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია“ (იხ. სუსგ №ას-494-463-2010, 9 ნოემბერი, 2010 წელი, №ას-594-652, 6 ნოემბერი 2015 წელი).

23. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ დავის მოსაწესრიგებლად სსკ-ის 992-ე მუხლის გამოყენება იმთავითვე გამორიცხული იყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლო-

ბის საფუძველი შეიძლება იყოს 999-ე მუხლის პირველი ან მეოთხე ნაწილი. საქმის ხელახლი განხილვისას პირველ რიგში უნდა შემოწმდეს მოპასუხის სამართლებრივი სტატუსი, წარმოადგენდა თუ არა იგი ავტოსატრანსპორტო საშუალების იურიდიულ მფლობელს, ანუ პირს, რომელიც კანონიერი საფუძვლით ფლობს ნივთს. ამ გარემოების გარკვევაზე დამოკიდებული მოპასუხის სათანადოობის საკითხი {სსსკ-ის, 85-ე მუხლი} და შემდგომში დადგენილი ყველა ფაქტობრივი წარმომადლობრის სამართლებრივი შეფასება. როგორც გამოძიების საქმის მასალებით ირკვევა, შემთხვევის დღეს მოპასუხე მართავდა მეგობრის, ვინმე ვ.ა-ის, კუთვნილ შანქანას, რომელიც ამ უკანასკნელმა გადასცა მას იმ მიზნით, რომ ვარკვეთილში მისი მეუღლის მმობლებთან წასულიყო. სააპელაციო სასამართლოს მისი გამო, რომ მან არასწორად განსაზღვრა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, არ გამოუკვლევია არც ეს გარემოება, და არც მტკიცების საგამაში შემავალი სხვა გარემოებები. უზრუნავსმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე ასე განმარტა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცის შედეგად წარმომაბილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურება: „პასუნისმგებლობა ზიანისათვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც კანონიერი საფუძვლებით ფლობს სატრანსპორტო საშუალებას. სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას მფლობელის ნებართვის გარეშე ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე (მძღოლები, მემანქანები და სხვა) ანდა, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი. ამასთან მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. მითითებული ნორმის თანახმად, მფლობელის პასუხისმგებლობა წარმოიშობა, თუ იგი სატრანსპორტო საშუალებას გადასცემს სხვა პირს ან, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია ავტომანქანის სამართავად, ანდა, მფლობელის ბრალის გამო, შესაძლებელი გახდა მისი ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენება. აქედან გამომდინარე,

მფლობელის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (სამოქალაქო პასუხისმგებლობა) წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა მისი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას, ე.ი. არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინ მართავს სატრანსპორტო საშუალებას. სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა არ დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალება გამოვიდა მისი მფლობელობიდან მისი ნებართვის გარეშე (სატრანსპორტო საშუალება გამოვიდა მისი მფლობელობიდან სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით). აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის სუბიექტის განსაზღვრა ეფუძნება იურიდიულ და არა ფიზიკურ მფლობელობას“ (იხ.სუსგ. საქმე №ას-311-970-03, 7 იანვარი 2003 წელი).

24. ამრიგად, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს იმ ფაქტს, რომ მოპასუხე არ იყო მანქანის იურიდიული მფლობელი და მას მანქანა მართლაც გადასცა მისმა მფლობელმა, მაშინ მიყენებული ზიანისათვის ამ უკანასკნელმა უნდა აგოს პასუხი სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი ყველა ნინაპირობის განხორციელების შემთხვევაში და არა მოპასუხემ. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მოპასუხე მფლობელის დაუკითხავად მართავდა მანქანას და მისი გამოყენება შესაძლებელი არ გამხდარა ამ უკანასკნელის ბრალით, მაშინ პასუხს აგებს მოპასუხე სსკ-ის 999-ე მუხლის მეოთხე ნაწილის პირველი ნინადადება.

25. ამასთან, მხოლოდ ამ გარემოებების დადგენა და შეფასება არ იქნება საკმარისი მფლობელისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, თუ არ იქნება სათანადოდ გამოკვლეული სსკ-ის 999-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება, კერძოდ, ზიანი ხომ არ იყო განპირობებული დაუძლეველი ძალით; დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დაუძლეველ ძალაში იგულისხმება ის, რომ: „მიუხედავად ავტომანქანის გულისყურით მართვისა, ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერჩდება. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ზიანი გამოწვეულია თუ არა დაბრკოლებით, რომელიც არ შედიოდა ტრანსპორტის მფლობელის კონტროლის სფეროში და მას გონივრულად არ შეეძლო არც მისი ნინასნარ გათვალისწინება და არც დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება ან დაძლევა, ანუ პირი მოკლებული იყო დაბრკოლებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას“ (იხ. სუსგ. №ას-494-463-2010 9 ნოემბერი, 2010 წელი).

26. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახალი განხილვისას, უნდა გამოიკვლიოს მოპასუხის სათანადოობის საკითხი, სწორად გაანაწილოს მტკიცების ტვირთი

მხარეთა შორის {სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი}, სრულ-ყოფილად გამოიკვლიოს სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი და მეოთე ნაწილებით გათვალისწინებული სამართლებრივი წარმმარტინი მათ შორის, მიყენებული ზიანის ოდენობა და მისი ანაზღაურების ფარგლები {სსკ-ის 409-ე, 414-ე მუხლები} და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

27. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა)საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

28. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განცეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძგრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 408-ე და 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. მ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაქმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის მეორე წინადადება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. 6. მ-ძე გათავისუფლებულია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად.

4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შეღებად დაგდგარიზონის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-593-568-2016

14 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

1. ა. კ-ი (შემდეგში – მოპასუხე ან კასატორი), მართავდა რა მის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანა „მერსედეს-ბენცს“, 2013 წლის 22 დეკემბერს, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა რუსთავის გზატკეცილზე. მან ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა და დაეჯახა ქვეითად მოსიარულე ლ. ქ-ის (შემდეგში – მოსარჩელის) შვილს. ეს უკანასკნელი, მიღებული დაზიანებების შედეგად, რამდენიმე დღეში (27.12.2013წ.) გარდაიცვალა საავადმყოფოში.

2. ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ჩატარდა გამოძიება. სასამართლოს განაჩენით, რომლითაც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროცურორსა და ბრალდებულს შორის, მოპასუხე ცნობილ იქნა დამნაშავედ ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისათვის. მას

მიესაჯა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა (პირობით გამოსაც-დელი ვადით) და დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა 6000 ლა-რის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, მასვე ჩამო-ერთვა ავტომანქანის მართვის უფლება ორი წლის ვადით.

3. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე, მოპასუხე და მო-სარჩელე შეთანხმდნენ, რომ მოპასუხე მოსარჩელეს აუნაზღაუ-რებდა შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ხარჯს, კერ-ძოდ, გარდაცვლილის დაკრძალვის, საფლავის მოწყობის, ორმო-ცისა და წლისთავის ხარჯს. მითითებული ხარჯი მოპასუხემ მო-სარჩელეს აუნაზღაურა.

4. მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოპასუ-ხისგან მოითხოვა შვილის გარდაცვალებით გამოწვეული მორალუ-რი ზიანის – 8 000 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელის განმარტე-ბით, მან განიცადა ტკიფილი და სულიერი ტანჯვა შვილის გარდაც-ვალების გამო, ხოლო მოგვიანებით დაკარგა შრომის უნარი.

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნას, მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სამარ-თლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. გარდა ამისა, მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, მოპასუხემ მოსარჩელეს აუ-ნაზღაურა 12 000 ლარი. ამის შემდეგ, მოსარჩელემ როგორც ზეპი-რად, ასევე წერილობით დაადასტურა, რომ მას მოპასუხის მიმართ პრეტენზია აღარ ექნებოდა. აქედან გამომდინარე, მოპასუხის მო-საზრებით, მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფ-ლება აღარ ჰქონდა და, შესაბამისად, მისი სარჩელი უსაფუძვლო იყო.

6. რესთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2014 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით: სარჩელი დაკავშიროვილდა; მოპასუხეს დაეკისრა 8 000 ლარის გადახდა მო-სარჩელის სასარგებლოდ.

7. პირველი ინსტანციის სასამართლო არ დაეთანხმა მოპასუხის მოსაზრებას სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე და მიიჩნია, რომ დაზარალებულის უფლებამონაცვლის დაკითხვის ოქმისა და გამომ-ძიებლის სახელზე დაწერილ განცხადებაში ასახული მოსარჩელის პოზიცია, მოპასუხის მიმართ პრეტენზიის არარსებობის შესახებ, არ წარმოადგენს სარჩელის დაკავშიროვილებაზე უარის თქმის სა-ფუძველს, ვინაიდან მოსარჩელის აღნიშნული ქმედება სისხლის სა-მართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების გა-ტარებაზე მის თანხმობად უნდა შეფასდეს და არა ზიანის ანაზღა-ურებაზე უარის თქმად.

8. პირველი ინსტანციის სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან, სა-

სამართლოს მოსაზრებით, მოსარჩეულეს მიადგა ტკივილი და სოცი-ალური ტანჯვა შვილის გარდაცვალების გამო. სასამართლომ გან-მარტა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მორალური ზიანის ანაზ-ლაურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართვე-ლოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 992-ე და 413-ე მუხლები.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საა-პელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებმ, რომელმაც მოითხოვა გა-საჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტი-ლებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა იმავე საფუძ-ვლებით, რაც მითითებული ჰქონდა შესაგებელში.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 10 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო სა-ჩივარი არ დაკამაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გა-დაწყვეტილება.

11. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასა-მართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩ-ნია, რომ სასამართლომ იურიდიულად სწორად შეაფასა ეს გარე-მოებები და სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

12. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 992-ე მუხლზე და განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დასა-კისრებლად აუცილებელი იყო ერთდროულად შემდეგი პირობების არსებობა: ა) მართლსაწინააღმდეგო მოქმედება; ბ) ზიანი; გ) მიზე-ზობრივი კავშირი შედეგსა (ზიანსა) და მართლსაწინააღმდეგო ქმე-დებას შორის; დ) ზიანის მიმყენებლის ბრალი. პალატის მოსაზრე-ბით, განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილი იყო მოპასუხის ბრალეული ქმედებით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა მორალუ-რი ზიანის ანაზღაურების ნაწილში საფუძვლიანი იყო და იგი მარ-თებულად დაკამაყოფილდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით.

13. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 413-ე მუხლზეც და განმარ-ტა, რომ მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებ-რივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელ-საც მატერიალურად არაფერი შეესაბამება (სულიერი ან ფიზიკუ-რი ტკივილი, განცდა და სხვა). მორალური ზიანი სულიერი გრძნო-ბებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულის-ხმობს. შვილის სიცოცხლის მოსპობა ნეგატიურ ცვლილებებს ინ-ვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერ-თად შეიძლება, არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქი-კური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკა-ში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზი-

კურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩინია და, შესაბამისად, არამატერიალიზებული ზიანია. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს. პალატამ განმარტა, ასევე, რომ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მორალური ზიანის არსებობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი არსებობა გარენულად ცალსახად გამოხატული არ არის, მისი კონკრეტული მტკიცებულებით დადასტურება რთულია და, ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელიც; შესაბამისად, დაზარალებულის მტკიცების ტვირთი არ უნდა დამძიმდეს. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედება გამოივევდა თუ არა დაზარალებულის ფსიქიკაში ნებატიურ ცვლილებებს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძველი. პალატამ აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო, რაც გონივრული და სამართლიანი უნდა იყოს, კერძოდ, ფულადი კომპენსაცია არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი და არ უნდა მოსწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ხელყოფის ხასიათსა და მის გავლენაზე პირის არამატერიალურ სიკეთებზე. პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხისათვის დაკისრებული მორალური ზიანის ოდენობა გონივრული და სამართლიანი იყო და არ არსებობდა მისი შეცვლის საფუძლი.

14. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩინო მოპასუხებ. კასატორის განმარტებით, მხარეები თავიდანვე შეთანხმდნენ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, კერძოდ, მოპასუხებ აიღო ვალდებულება, რომ მოსარჩელეს აუნაზღაურებდა შვილის გარდაცვალებით გამოწვეულ ზიანს (შეთანხმებით განსაზღვრული ოდენობით), ხოლო ამ ვალდებულების შესრულების შემდეგ, მოსარჩელეს მის მიმართ პრეტენზია აღარ ექნებოდა არც მატერიალური და არც მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. მოპასუხებ შეასრულა შეთანხმებით განსაზღვრული პირობები, კერძოდ, მოსარჩელეს გადაუხადა 12 000 ლარი, რის შემდეგაც მოსარჩელემ არაერთხელ ზეპირად დაადასტურა, რომ მას მოპასუხის მიმართ რაიმე პრეტენზია აღარ გააჩინდა. გარდა ზეპირი განცხადებისა, მოსარჩელემ ეს ფაქტი წერილობითაც დაადასტურა, კერძოდ, 2014 წლის 28 იანვრის ხელნერილით, სადაც მითითებულია, რომ მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ პრეტენზია

არ გააჩნია. კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სასამართლოს იმ დასკვნას, რომ დაზარალებულის დაკითხვისა და გამომძიებლის სახელზე დაწერილ განცხადებაში ასახული მოსარჩელის პოზიცია, მოპასუხის მიმართ პრეტენზის არარსებობის თაობაზე, არ შეიძლება, ჩაითვალოს მორალურ ზიანზე უარის თქმად სამოქალაქო სამართალნარმობის გზით. კასატორი მიიჩნევს, რომ მნიშვნელობა არა აქვს, თუ სად გამოხატავს მხარე თავის პოზიციას, მთავარია, რომ მოსარჩელემ ნათლად და გარკვევით, არაერთხელ და, მათ შორის, ნერილობითაც აღნიშნა, რომ მოპასუხის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2016 წლის 30 ივნისის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) 391-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო ამავე სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინებით – საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და მიღებულია არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

16. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთიერული.

18. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო არასწორად გამოიყენა და განმარტა მატერიალური სამართლის

ნორმები და, შესაბამისად, იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

19. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მოთხოვნის (მორალური ზიანის ანაზღაურება სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად შვილის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტკივილისა და ტანჯვისათვის) სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 992-ე და 413-ე მუხლები. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სსკ-ის 992-ე მუხლის (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) გამოყენება არასწორია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მითითებული ნორმით დელიქტური პასუხისმგებლობა შემოფარგლულია უშუალოდ დაზარალებული პირისათვის მიყენებული ზიანით და, შესაბამისად, ეს ნორმა სულიერი ტკივილის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ ანიჭებს იმ პირს, რომელიც თავად არ დაზარალებულა საკუთარი სხეულის ან საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად (შდრ. იხ. სუსგ, № 3-242-01, 06.04.2001; № 3-1218-01, 24.04.2002). გარდა ამისა, დადგენილია, რომ მოსარჩელის შვილი გარდაიცვალა მოპასუხის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად. ასეთ დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების წეს ადგენს სსკ-ის 999-ე მუხლი, კერძოდ, ამ ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

20. იმ საკითხის გასარკვევად, მოიცავს თუ არა სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანი მორალურ ზიანსაც, მნიშვნელოვანია ამ ნორმის განმარტება სსკ-ის 1006-ე და 413-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 1006-ე მუხლი (1. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. 2. სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუ-

კი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი) განსაზღვრავს, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ფარგლებს, კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებს უფლება აქვთ, ზიანის მიმყენებელს მოსთხოვონ ყოველთვიური სარჩის გადახდა ან, გამონაკლისის სახით, სარჩის ერთჯერადი ანაზღაურება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მითითებული მუხლით კანონმდებელს სურდა ამომწურავი დებულების მიღება, რაც მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს თუ, შესაძლებელია, ასევე, რომ ამ ნორმით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირებს მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებაც გააჩნდეთ. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უნდა დავადგინოთ სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზანი (არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით). კერძო სამართლით გათვალისწინებულმა სხვადასხვა სახის ურთიერთობებმა შეიძლება, გამოიწვიოს მორალური, სულიერი ტანჯვა, მაგრამ მორალური ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება, დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და ნესრიგი (შდრ. იხ. სუსგ, № 3კ-242-01, 06.04.2001; № 3კ-1218-01, 24.04.2002; № ას-14-466-05, 09.11.2006; № ას-1156-1176-2011, 20.01.2012). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 1006-ე მუხლით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებს, ამ ნორმის საფუძველზე, არ შეუძლიათ, მოითხოვონ მორალური ზიანის ანაზღაურება ოჯახის ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტკივილისათვის (შდრ. იხ. სუსგ, № 3კ-1218-01, 24.04.2002).

21. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს, ასევე სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც) მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი. ამ ნორმით დაცული სიკეთე, რომლის ხელყოფის შემ-

თხვევაში დაზარალებულმა შეიძლება, მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება, არის ადამიანის ჯანმრთელობა, შესაბამისად, მითითებული მუხლით დადგენილი შედეგის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგადაც დაზარალებული განიცდის სულიერ ტანჯვას, ფსიქიკურ სტრესს. სხეულის დაზიანებასა ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში კი, უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ზემოქმედება, რომელიც ხელყოფს დაზარალებულის სხეულს ან მისი ორგანიზმის შინაგან პროცესებს (შდრ. იხ. სუსგ, №ას-1156-1176-2011, 20.01.2012). განსახილველ შემთხვევებაში, მოპასუხემ მართლსაწინააღმდეგო, ბრალებული ქმედებით ხელყო მოსარჩელის შვილის სიცოცხლე და არა უშუალოდ მოსარჩელის ჯანმრთელობა.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამოწვეული დარღი, გულისტკივილი, შინაგანი ცხოვრების რიტმის დარღვევა, გლოვა და დეპრესია, საკმარისი წინაპირობა არაა გარდაცვლილის ოჯახის ახლობელი ადამიანებისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. მსგავს შემთხვევებში, მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დასაშვებია გამონაკლისის სახით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს მძიმე ფსიქოპათოლოგიური დარღვევები, რომლებიც არსებითად სცილდება, უბედური შემთხვევის გამო, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის მიმართ სულიერი ტკივილით მიყენებულ ზიანს (ვნებებს) და, რომელიც, ამის გამო, შეიძლება, გავაიგივოთ სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო არასწორად მიიჩნია მორალური ზიანის ანაზღაურების საკმარის საფუძვლად მხოლოდ მოსარჩელის სულიერი ტკივილი და ტანჯვა (ფსიქოლოგიური ზიანი), ისე, რომ ამას არ გამოუწვევია მოსარჩელის ავადმყოფობა (ჯანმრთელობის დაზიანება). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია ავადმყოფობის (ჯანმრთელობის დაზიანების) დამადასტურებელი მტკიცებულება, ამასთან, ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაშიც, მას უნდა წარმოედგინა, ასევე, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მოსარჩელის ავადმყოფობას შორის ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებაც.

23. საკასაციო პალატის მოსაზრებით, წინამდებარე პუნქტში მითითებული საგამონაკლისო შემთხვევის არსებობა რომც დასტურდებოდეს, სარჩელი მაინც წარუმატებელი იქნებოდა შემდეგ გარემოებათა გამო: სადავო არაა, რომ მოპასუხის მართლსაწინა-

აღმდეგო, ბრალეული ქმედებით, ამ უკანასკნელის კუთვნილი სატ-რანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად, გარდაიცვალა მოსარჩელის შვილი. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს გაუჩნდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სსკ-ის 999-ე და 1006-ე მუხლების საფუძველზე. მას, როგორც კრედიტორს, შეეძლო მთლიანად ან ნაწილობრივ უარი ეთქვა თავის უფლებაზე (სსკ-ის 448-ე მუხლი – ვალის პატივება მხარეთა შორის შეთანხმებით ინვესტიციურდებულების შეწყვეტას). მოსარჩელეს შეეძლო, ასევე, რომ მოპასუხეს შეთანხმებოდა ზიანის მოცულობაზე და მისი ანაზღაურების წესზე (სსკ-ის 319.1 მუხლი – კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებათა შინაარსი). მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ენინააღმდეგება მას). მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე და მოპასუხეს შეთანხმდნენ ზიანის მოცულობაზე, კერძოდ, მოსარჩელემ მოპასუხისან მოითხოვა თავისი შეილის დაკრძალვის, საფლავის მოწყობის, ორმოცისა და ნლისთავის ხარჯის ანაზღაურება, რასაც დაეთანხმა მოპასუხე. ამ უკანასკნელმა შეასრულა შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, შეთანხმების შესაბამისად, მოსარჩელეს გადაუხადა 12 000 ლარი და დამატებით, სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აქტით, იკისრა 2500 ლარის გადახდა ნლისთავის ხარჯის ასანაზღაურებლად. აღნიშნული გარემოებები მოსარჩელეს სადაცოდ არ გაუხდია. გარდა ამისა, საქმის მასალებით დადგენილია და სააპელაციო სასამართლომაც მიუთითა, რომ მოსარჩელემ არ წარადგინა სააპელაციო შესაგებელი მოპასუხის სააპელაციო საჩივარზე. მართალია, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, მაგრამ ამ საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგი ისაა, რომ, სსსკ-ის 201.4 მუხლის მიხედვით, მოსარჩელემ დაკარგა მოპასუხის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებთან შედავების უფლება (შდრ. იხ. სუსგ, №ას-121-117-2016, 17.03.2016; №ას-664-635-2016, 02.03.2017), შესაბამისად, ეს ფაქტები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის სსსკ-ის 407.2 მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს უფლება არა აქვს, მოითხოვოს შეთანხმებულზე უფრო მეტი თანხა, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, ზიანის მოცულობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმებით განისაზღვრა და თითოეული მხარე

ვალდებულია, შეასრულოს შეთანხმების პირობები (სსკ-ის 361.2 მუხლი).

24. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამეცნიერო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ა. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის

**პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე
მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის**

განრიცხვა საქართვის სახელით

№ას-40-37-2015

24 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სარჩოს გადახდა, მატერიალური და მორალური
ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

1. ა. ხ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც დასაქმე-
ბული, მუშაკი, მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) 2011 წლის 1
სექტემბრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე შპს „ა-ში“ (შემდეგში ტექ-
სტში მოხსენიებული, როგორც დამსაქმებელი, საწარმო, კომპანია,
მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მცხობლად მუშაობდა.

2. 2013 წლის 30 მარტს დილით, ღამის ცვლის დასრულებისას,
მოსარჩელემ ცომის საჭრელი დანადგარის (დაზგის) გასუფთავე-
ბის დროს, მარცხენა ხელის მტევნი დაზიანა, კერძოდ, მე-3 თი-
თი შუა ფალანგთან, ხოლო მე-4 თითი საფრჩხილე ფალანგთან გა-
დაიჭრა.

3. დამსაქმებელმა მოსარჩელე მიიყვანა თბილისის №1 კლინი-
კურ საავადმყოფოში, საიდანაც იგი „კ-ის კლინიკაში“ გადაიყვა-
ნეს. ვინაიდან აღნიშნულმა კლინიკებმა დაზიანებული თითების აღ-
დგენაზე უარი განაცხადეს, მოპასუხემ დასაქმებული იმავე დღეს
სომხეთში გაამგზავრა. მოსარჩელეს ქალაქ ერევნის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის №1 საავადმყოფო კომპლექს „ჰ-ში“
ჩაუტარდა პირველადი ქირურგიული მუკრნალობა, მარცხენა მტევ-
ნის მე-3 და მე-4 თითების სრული რეზექცია (გადანაჭრის ფორმი-
რება, კიდურის ნაწილის ნარმოქმნა), ხოლო 2013 წლის აპრილის

ბოლო რიცხვებში, მარცხენა მტევნის თითის დაინფიცირების გამო, საფრჩხილე ფალანგის ფუძის დონეზე ჩაუტარდა მე-4 თითის ამპუტაცია.

4. ქალაქ ერევანში მოსარჩელის მგზავრობისა და მკურნალობის ხარჯები მოპასუხემ სრულად დაფარა.

5. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მოსარჩელის ხელის მტევნის დაზიანება მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა ნაკლებად მძიმე ხარისხს, საერთო შრომის უნარის მყარი 10%-ის დაკარგვით.

6. 2013 წლის 18 იანვარს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა დამსაქმებლის ნინააღმდეგ და მოითხოვა:

6.1. მოპასუხისათვის 2013 წლის 1 აპრილიდან შრომისუნარიანობის აღდგენამდე ყოველთვიურად 300 ლარის სარჩოს დაკისრება;

6.2. შრომისუნარიანობის აღსადგენად საჭირო მკურნალობის ხარჯების 13 704.30 ლარის (საიდანაც, უშუალოდ მკურნალობის ხარჯი 5160 ევრო, საფრანგეთში მგზავრობის ხარჯი 1359.70 ლარი, ხოლო სასტუმროსი 1100 ლარია) მოპასუხისათვის დაკისრება;

6.3. მორალური ზიანის, 15000 ლარის, მოპასუხისათვის დაკისრება.

7. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ღამის ცვლა მას 8:00 საათზე უნდა დაესრულებინა, თუმცა 9:00 საათზე დამსაქმებელი კვლავ აგრძელებინებდა მუშაობას, რა დროსაც ცომის საჭრელ დაზგაში ორი თითო მოეჭრა. მართალია, მოპასუხემ უზრუნველყო მისი სომხეთში გამგზავრება თითების აღსადგენად, თუმცა უშედეგოდ. მოსარჩელის მითითებით, იგი შრომისუნარო და უმუშევარი დარჩა. ამასთან, ჯანმრთელობის დაზიანებას თან ახლდა ტკივილი, სტრესი, რომელიც დღემდე გრძელდება. მიღებული ტრავმის გამო აქვს დეპრესია. ოპერაციის გაკეთება და მკურნალობა საფრანგეთის კლინიკაში შესაძლებელი იყო, კერძოდ, მოსარჩელემ მოიძია კომპანიაც, რომელიც შეძლებდა ხელის თითების კოსმეტიკური ინდივიდუალური ფორმის პროთეზის დამზადებას, აკრილის ფრჩხილებსა და პაციენტის თანდასწრებით გაფერადებას. მისი ლირებულება ჯამში 5160 ევროს შეადგენს, რასაც ემატება საფრანგეთში მგზავრობისა და სასტუმროში 7 დღით განთავსების ხარჯიც.

8. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმობის დამბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ მოსარჩელემ ხელი სამუშაო საათების დამთავრებისას, თავისი სამუშაო სივრცის დალაგებისას დაიზიანა, რა დროსაც უსაფრთხოების წე-

სეპის მიხედვით და სამუშაო ცვლის დამთავრების გამო, დანადგარი გამორთული უნდა ყოფილიყო. მისი გამორთვა მოსარჩელის მოვალეობაში შედიოდა. დასაქმებულმა ჩართული დაზგის დასუფთავებით უსაფრთხოების წესები დაარღვია. ამასთან, დანადგარმა მას მოაჭრა ორი თითის ზედა ფალანგები და არა – მთლიანი თითები. მოპასუხე ამტკიცებდა, რომ მოსარჩელე სხეულის დაზიანების შედეგად შრომისუნარო არ გამხდარა. უცხოეთის კლინიკაში ჩასატარებელი იყო კოსმეტიკური ოპერაცია და შრომისუნარიანობის აღდგენას არ უკავშირდებოდა. კომპანიამ მოსარჩელის სომხეთის რესპუბლიკაში გამგზავრების, ცხოვრებისა და მკურნალობის ხარჯები გასწია, მიუხედავად იმისა, რომ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვოდა. ამასთან, მოპასუხემ მოსარჩელეს შესთავაზა საკანცელარიო სამუშაოს შესრულება სახელფასო სარგოს შენარჩუნებით, რაზედაც მან უარი განაცხადა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 316.1, 317.1, 992-ე, 413.2 მუხლები და საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში სშკ-ის) 35.1, 35.4 და 44-ე მუხლები.

9.1. სასამართლომ დაადგინა, რომ ცომის საჭრელი დანადგარის მოხმარების წესები თანამშრომლებს თურქეთიდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა შეასწავლეს. დანადგარი მუშაობის პროცესში არ ითხოვდა ხელის მიხმარებას. მისი ჩართვა, გამორთვა და განმენდა მასთან მომუშავე პირის, ამ შემთხვევაში, მოსარჩელის შრომით მოვალეობაში შედიოდა. დასაქმებულმა ჩართული დაზგის გასუფთავებისას დაიზიანა ხელი, რის გამოც მიყენებულ ზიანში მოპასუხეს ბრალი არ მიუძღვოდა. მოსარჩელე ცომის საჭრელ დანადგარზე მუშაობდა თითქმის ერთი წლის განმავლობაში და დაუფლებული იყო მასთან მუშაობის წესებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე გაუფრთხილებლად მოიქცა, მუშაობის დასრულების შემდეგ ჩართული დანადგარის გაწმენდას შეუდგა, სწორედ ამ დროს ხელით მოულოდნელად შეეხმ მის ძირში არსებულ მჭრელ, მოძრავ მოწყობილობას (დანას), რამაც მარცხენა მტევნის ორი თითი დაუზიანა.

9.2. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების სხვა საფუძვლების დადასტურების შემთხვევაშიც კი, მოსარჩელეს ყოველთვიურად სარჩო – 300 ლარი არ უნდა დანიშვნოდა, რადგან მან საერთო შრომის უნარი მხოლოდ 10%-ით დაკარგა, რაც, დასაქმებულის შრომის ანაზღაურების გათვალისწინებით, 30 ლარს შეადგენდა.

9.3. საქმის განმხილველმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის დაკარგული საერთო შრომის უნარის ოდენობის აღდგენა შეუძლებელი იყო, ხოლო მის მიერ მითითებული თანხა – 13704.20 ლარი ხელის თითების კოსმეტიკური პროცეზირებისა და არა მკურნალობის ხარჯია.

9.4. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ბრალი ვერ დადგინდა და ზიანი მოსარჩელის გაუფრთხილებლობამ გამოიწვია, შესაბამისად, უსაფუძვლოდ მიიჩნია სასამართლო მოთხოვნა კომპანიისათვის მოსარჩელის სასამარგებლოდ სარჩოს, მეურნალობის ხარჯებისა და მორალური ზიანის დაკისრების თაობაზე.

10. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკავყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

10.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ კომპანიის თანამშრომლებს დანადგარის ექსპლუატაციის წესები თურქმა სპეციალისტებმა შეასწავლეს. დასაქმებულებს არ ჰქონდათ დაზგის გამოყენების წერილობითი ინსტრუქცია, მხოლოდ ხელმძღვანელობამ აუხსნა მისი ფუნქციონირების წესები. უსწოროა ის გარემოებაც, რომ ცომის საჭრელი მუშაობის დროს არ მოითხოვდა ხელით დახმარებას. აპელანტის მტკიცებით, დაკითხულმა მონმება დაადასტურეს, რომ დანადგარი საჭიროებდა ცომზე ხელის დაჭრას.

10.2. აპელანტი მიიჩნევდა, რომ მას ზიანის მიადგა კომპანიის უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად. მოპასუხის ბრალეულობაზე მიუთითებდა ისიც, რომ კომპანია მოსარჩელეს ამუშავებდა მინიმუმ 12-საათიანი რეზიმით, მოსარჩელემ ჯანმრთელობა დილით, ლამის ცვლის მუშაობის შედეგად დაიზიანა. აპელანტის მითითებით, ზიანის მიყენების დღეს მოსარჩელეს სამუშაო უნდა დაემთავრებინა 08:00 საათზე, მაგრამ ისევ აგრძელებინებდნენ მუშაობას. ჯანმრთელობის დაზიანების დროს საწარმოს სასწრაფო დახმარების მანქანა და საპატრულო პოლიცია არ გამოუძახებია. დაზიარალებული მოპასუხებ საკუთრი მანქანით გადაიყვანა საავადმყოფოში, ხოლო შემდეგ სომხეთის კლინიკაში ისე გაამგზავრა, რომ დაცული არ იყო მტკიცინის დაზიანებული ნაწილი, რის გამოც ინფექციის შეჭრის საფრთხე არსებობდა.

10.3. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელის საერთო შრომის უნარის აღდგენა შეუძლებელი იყო. ოპერაციის გაკეთება და დაკარგული შრომის უნარის აღდგენა შესაძლებელი იყო უცხოეთის კლინიკებში. ამასთან, უს-

წოროდ მიიჩნია სასამართლოს მსჯელობა, რომ ფრანგული კომპანია მოსარჩელეს სთავაზობდა არა მკურნალობას, არამედ ხელის თითების კოსმეტიკური პროთეზის დამზადებას. აპელანტის მტკიცებით, კოსმეტიკური პროთეზირება მკურნალობის ერთ-ერთი სახეა.

10.4. დასაქმებულის განმარტებით, კომპანიამ იგი მკურნალობის დასრულებამდე გაათავისუფლა სამსახურიდან. კანცელარიული ტიპის სამსახური კი, როგორც მორიგების პირობა, მხოლოდ სარჩელის აღძვრის შემდგომ შესთავაზა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 ნოემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11.1. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სასამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი ვერ გახდებოდა ვერც სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება არანორმირებული სამუშაო გრაფიკისა და ღამით მუშაობის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ კომპანიაში დასაქმებული პირები მუშაობდნენ ცვლების მიხედვით, როგორც წესი, მუშაკი ერთი კვირის განმავლობაში, ღამის ცვლით დღეგამიშვებით, ხოლო მეორე კვირის განმავლობაში კი – დილის ცვლით მუშაობდა. დასაქმებულთა უმრავლესობა ღამის ცვლაში მუშაობდა თავიანთივე სურვილით, რადგან ანაზღაურება მეტი იყო. ამის გათვალისწინებით, ზოგჯერ დადგენილი გრაფიკი იცვლებოდა.

11.2. სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და მოპასუხის ქმედებას (უმოქმედობას) შორის, რაც, აპელანტის მითითებით, სასწრაფო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის გამოუძახებლობით გამოიხატა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხებ დასაქმებული მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანა, იმავე დღეს კი, ქალაქ ერევანში გამზადვა.

11.3. სააპელაციო სასამართლომ დაასკენა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგებო, ბრალეული ქმედებით (განზრახვით ან/და გაუფრთხილებლობით) მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

12. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

12.1. კასატორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად მიუთითებს სააპელაციო საჩივარში მითითებული პრეტენზის იდენტურ გარემოებებზე (იხ. წინამდებარე განჩინების პ.10) და დამატებით აღნიშნავს, რომ კომპანიის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებისას მისი უმოქმედობით გამოიხატა, კერძოდ, ესენია: უსაფრთხოების წესების დაუცველობა, დანადგარის გამოყენების ინსტრუქციის არარსებობა, ტენიკური გაუმართაობა, ღამის საათებში პერსონალის 12-საათიანი უწყვეტი მუშაობა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ დამსაქმებლის მიერ არ იყო შექმნილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობები, რისი ვალდებულებაც მას სპე-ის 35-ე მუხლის დანაწესით ჰქონდა.

12.2. კასატორი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის მიერ დადგენილ და სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ გარემოებასაც, რომ მოსარჩელე დანადგარს გამორთვის გარეშე წმენდდა. მისი მტკიცებით, აპარატს მუშაობისათვის სჭირდებოდა ხელით დახმარება, კერძოდ, ცომზე ხელის დაჭერა. შესაბამისად, ზიანი გამოწვეულია მოპასუხის მიერ და არა – მოსარჩელის გაუფრთხილებლობით.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სასკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

14. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია. პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

15. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება გათვალისწინდეს ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი

გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვდა ცომის საჭრელი დანადგარით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნები სსკ-ის 992-ე მუხლთან მიმართებით და მიზნია, რომ, რადგანაც არ არსებობდა ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წანამძღვარი, კერძოდ, მართლწინააღმდეგობა და ზიანის მიმყენებლის ბრალი, საპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელი იყო.

17. საკასაციო პალატა არ ეთანხმება აღნიშნულ შეფასებას და მიზნებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნის მთავარი დამფუძნებელი ნორმა სსკ-ის მე-1000 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებია, ხოლო ამ ნორმის განმავრცობელი სამართლებრივი წინაპირობები (დებულებები) სსკ-ის 408-ე, 409-ე მუხლებითა და 413-ე მუხლის მეორე ნაწილითაა გათვალისწინებული. შესაბამისად, სასამართლოს უნდა გამოიკვლია, სწორედ ამ ნორმებიდან გამომდინარე, რამდენად დაკმაყოფილებადი იყო მოთხოვნა. სსკ-ის მე-1000 მუხლი მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობის წესს ადგენს და, განსხვავებით დელიქტური ვალდებულების ზოგადი დანაწესისაგან, ნივთის მფლობელს, ბრალის მიუხედავად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას უდგენს, თუკი მომეტებული საფრთხის წყაროს განხორციელებამ ადამიანის სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

18. პალატა განმარტავს, რომ მე-1000 მუხლის მეორე ნაწილი გულისხმობს ნებისმიერ ისეთ ნივთს, რომელიც თავისი თვისებებით მომეტებული საფრთხის შემცველია. საფრთხე მომეტებულად უნდა ჩაითვალოს, თუ ის ქმნის ზიანის მიყენების მომეტებულ აღბათობას ადამიანის მიერ მასზე სრული კონტროლის შეუძლებლობის გამო. ცომის საჭრელი დანადგარი სწორედ ამგვარი ნივთია, რადგან იგი არ ექვემდებარება სრულ კონტროლს. ვინაიდან პოტენციური საფრთხის წყაროების გამოყენება სამართლებრივად ნებადართულია, კომპენსაციის სახით, უფრო მკაცრია იმ პირის პასუხისმგებლობა, ვინც ასეთი საგნების მოხმარებით საფრთხის წყაროს ქმნის. სსკ-ის მე-1000 მუხლი არის ნებადართული საფრთხისათვის პასუხისმგებლობის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, ერთ მხარეს დგას დასაქმებული, რომელიც მის მიერ არაკონტროლირებადი საფრთხის მსხვერპლი გახდა, მეორე მხარეს კი, სანარმო, რომელიც ამ საფრთხის წყაროს შეძენა და გამოყენებით სარგებელს ნახულობს. რადგან ეს უკანასკნელი მომეტებულ რისკს,

საშიშროებას ქმნის და ამას ხელს უწყობს, ზიანისათვის პასუხისმგებლობაც მას ეკისრება.

19. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ცომის საჭრელი დანადგარის მესაკუთრეს მოპასუხენარმოადგენს. ასევე დადგენილია, რომ ამ დანადგარით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის მოპასუხის ბრალეულობის კვლევა და დადგენა საჭირო არ არის, რადგან, როგორც უკვე ითქვა, საკითხი მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ეხება, რომელსაც კანონმდებელი მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელ პირად განიხილავს.

20. რაც შეეხება მართლწინააღმდეგობას, პალატა განმარტავს, რომ მართლსანინააღმდეგო მოქმედება არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლზომიერი ქმედება კი, არა მარტო სამართლის ნორმათა მოთხოვნების დაცვას გულისხმობს, არამედ ზოგად მოვალეობას, რომ პირმა თავისი ქმედება/ურთიერთობა ადამიანებისა და საგნების მიმართ ისე წარმართოს, რომ არავინ და არაფერი დააზიანოს. ამდენად, თუ მოქმედება არღვეს საგანგებოდ დაცულ უფლებებს (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების, პირად უფლებებს), მართლწინააღმდეგობა იმთავითვე სახეზეა. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მართლსანინააღმდეგო მოქმედება იმით გამოიხატა, რომ მან დააზიანა მოსარჩელის აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთე – ჯანმრთელობა. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უდავოა, რომ კასატორმა სხეულის დაზიანება მიიღო მოპასუხის მფლობელობაში არსებული მომეტებული საფრთხის წყაროთი, მასთან მუშაობის დროს.

21. სსკ-ის მე-1000 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, პირი მოვალეა, აუნაზღაუროს დაზარალებულს მოქმეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი გამოწვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებებით. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოპასუხე ვალდებული იქნება, კონკრეტულ შემთხვევაში, აუნაზღაუროს დასაქმებულს მიყენებული ზიანი, ვინაიდან იგი გამოწვეულია მომეტებული საფრთხის შემცველი, საწარმოს მფლობელობაში მყოფი ნივთის ზემოქმედების შედეგად და არა – დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ, თითქოს, შემთხვევა გამოიწვია მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩელის გაუფრთხილებლობამ, დაუსაბუთებელია (შდრ. სუსგ №ას-651-1301-03, 17.12.2003).

დაზარალებულის გაუფრთხილებელმა მოქმედებამ, თუ ეს დადგინდება, შესაძლოა, სსკ-ის 415-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, გავლენა მოახდინოს ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე და არა – პასუხისმგებლობის დაკისრებაზე (შდრ. სუსგ №ას-95-90-2013 14.06.2013).

22. ამდენად, პასუხისმგებლობა ნივთიდან გამომდინარე მოქმებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის ყოველთვის დგება ბრალის მიუხედავად. უზენაესი სასამართლოს მიერ დამკიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სსკ-ის მე-1000 მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ზიანის მიყენების წყარო მოქმედებული საფრთხის შემცველი მოწყობილობა ან საგანი, რომლის მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ამგვარ ობიექტსა თუ მოქმედებასთან დაკავშირებული ზიანი. მოქმედებულ საფრთხეში იგულისხმება ნებისმიერი საქმიანობა, რომლის განხორციელება შეიცავს ზიანის მიყენების აშკარა შესაძლებლობას და რომლის კონტროლირებაც აღმატება ადამიანის შესაძლებლობებს (შდრ. სუსგ №ას-1287-1208-2015, 26.02.2016).

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს კვლევის საგანი არ უნდა გამხდარიყო, პასუხისმგებელმა პირმა დაარღვია თუ არა ნივთის ექსპლუატაციის წესები და სათანადო ყურადღება გამოიჩინა თუ არა უსაფრთხოების წესების დაცვის მიმართ, ვინაიდან ზიანი გამოიწვია მოქმედებული საფრთხის წყაროზე დასაქმებულის მიერ კონტროლის შეუძლებლობამ. შესაბამისად, ამ დავის გადასაწყვეტად სასამართლოს სსკ-ის მე-1000, 408-ე, 409-ე მუხლებითა და 413-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის წინაპირობები უნდა გამოეკვლია და შემდეგ გამოეტანა სათანადო დასკვნები.

24. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ხორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; б) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცუმულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა,

რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სახეზეა დანადგარის მფლობელისათვის სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები, განმარტავს, რომ იგი მოკლებულია შესაძლებლობას, ამ საქმეზე თავად მიიღოს ახალი გადაწყვეტილება. მოსარჩევის მიერ მოთხოვნილი ზიანის სახეებსა და მათ ოდენობაზე სააპელაციო სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია ზიანის მიყენებაში მოპასუხის არაბრალებულობის მოტივით, რის გამოც მიიჩნია, რომ მკურნალობის ხარჯები, სარჩო და მორალური ზიანი მოპასუხეს არ უნდა დაჰქისრებოდა. ვინაიდან დადგინდა, რომ მოპასუხეს ეკისრება პასუხისმგებლობა დასაქმებულის სხეულის დაზიანებისათვის და აღნიშნული მოთხოვნა ნამდვილია, სააპელაციო სასამართლომ, სსკის 408-ე, 409-ე და 413-ე მუხლების საფუძველზე, ზიანის ოდენობაზე არსებითად უნდა იმსჯელოს.

25. ამრიგად, საქმის ხელახალი განხილვის დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსკ-ის 105-ე მუხლით, მხარეთა მორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით გამოარკვიოს და სათანადოდ შეაფასოს, თუ რა ზიანი მიიღო მოსარჩელემ, რას შეადგენს ზიანის ოდენობა, მისი ანაზღაურების ფარგლები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ა. ხ-ის საკასაციო საჩიგარი ნაწილობრივ დაკეთებულდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 ნოემბრის განჩინება და საქმეს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომენტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის

გადაცყვაფილება საქართველოს სახელით

№ას-543-518-2016

23 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),

ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),

ჰ. ქათამაძე

დავის საგანი: დელიქტური ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისში, ქ-ის ქუჩაზე №12 მდებარე ა-242 ტიპის სატრანსფორმატორო ელექტროელექტრული (შემდეგში: ელექტროელექტრული), 2005 წლის 31 აგვისტოს, 15 საათზე, სხვა არასრულწლოვნებთან ერთად, შევიდა 13 წლის ა. დ-ი (შემდეგში: მოსარჩევე, დაზარალებული, პირველი პპელანტი ან პირველი კასატორი), რომელმაც მაღალი ძაბვის ელექტროდენის დარტყმის შედეგად მიიღო ელექტროთერმული ტრავმა სხეულის 17%-ზე, მე-3, მე-4 ხარისხის დამწვრობა. არასრულწლოვნას ჩაუტარდა ორივე ხელის ამპუტაცია, დაკარგა შრომისუნარიანობა 2/3-ზე მეტი ნიშნით. დაზარალებულმა გაიღო მკურნალობის ხარჯები, გარდა ამისა, იგი საჭიროებს სამომავლო მკურნალობას, პროთეზირებას. დაზარალებულმა ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული სულიერი ტანჯვით განიცადა არაქონებრივი ზიანი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში: სსკ, 992-ე, მე-1000, 413-ე მუხლები; იხ. საქმის მასალები).

2. არასრულწლოვნანის დაზიანების დროისათვის, 2005 წლის აგვისტოში, ელექტროელექტრულის დამცავი ნაგებობა ჩამოქცეული იყო. ტრანსფორმატორი, დამცავი ნაგებობის გარეშე, ღია სივრცეში იყო განთავსებული. სს „ე. თ-ი“, რომლის უფლებამონაცელეა სს „თ-ი“ (შემდეგში: მოპასუხე, პირველი საწარმო, მეორე აპელანტი ან მეორე კასატორი) აწვდიდა ელექტროენერგიის შპს „ი-ს“ (შემდეგში: მოპასუხის აბონენტი) ზემოხსენებული ქვესადგურის გავლით.

3. დაზარალებულმა 2012 წლის 31 იანვარს სარჩელი აღმრა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში დასახელებული პირველი საწარმოს, სს-ის „ს-ა“ (შემდეგში მეორე საწარმო ან მეორე მო-

პასუხე) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდეგში: სამინისტრო ან მესამე მოპასუხე), მესამე პირების – ქ. თბილისის მერიისა (შემდეგში: მერია) და შპს-ის „ვ-ი“ (შემდეგში: ვეტერანთა საზოგადოება) წინააღმდეგ და მოითხოვა დელიქტური ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 992-ე, 997-ე, მე-1000, 1005-ე, 498-ე, 138-ე 408-ე, 409-ე 411-413 მუხლებზე, „ელექტროენერგიის მოხმარების დროებითი წესებზე“, „უსაფრთხოების ტექნიკის წესებზე“, „ელექტროენერგიის მიწოდების, მომსახურებისა და მოხმარების პირობების“ მე-3 და მე-4 პუნქტებზე დაყრდნობით, კერძოდ:

3.1. მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეთათვის 315 654.23 ლარის, შესაბამისი კურსით ეკვივალენტური თანხის მყარ ვალუტაში – 140 290.76 ევროს გადახდა, რაც, შესაბამისად, 190 305.59 აშშ დოლარია;

3.1.1. ამ თანხაში შედის დაზარალებულის მკურნალობაზე როგორც კლინიკაში, ისე მის გარეთ დაზარჯული თანხები; ორივე ზედა კიდურის პროთეზის, პროთეზებით აღჭურვის მომსახურების, დაზარალებულის გამცილებელთან ერთად სასტუმროში ცხოვრების, მათი კვების, გერმანიაში ტაქსით გადაადგილების, ავიაკომპანიის სამგზავრო ბილეთების, დაზარალებულის საცხოვრებელი სახლიდან, თბილისის აეროპორტამდე და გერმანიიდან ჩამოსვლისას, აერობორტიდან სახლამდე მგზავრობის ღირებულება;

3.2. დაზარალებულის სრულწლოვანების ასაკის მიღწევის დღიდან – 2009 წლის 27 დეკემბრიდან, 2011 წლის დეკემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდში, ყოველთვიური ულუფის ღირებულება, რაც „საქსტატის“ მონაცემთა საფუძველზე, საარსებო მინიმუმის ოდენობის მიხედვით, მყარ ვალუტაში შეადგენს 2 945.25 ლარს, შესაბამისი კურსით 1309 ევროს ან 1785 აშშ დოლარს;

3.3. დაზარალებულის კლინიკიდან გამოწერის დღიდან – 2005 წლის 4 ოქტომბრიდან 2011 წლის დეკემბრის ჩათვლით, განვლილ პერიოდში, ოჯახის გარეშე, სადლელამისო მოვლელის დასაქირავებელი თანხის (გასამრჯელოს) ოდენობა, რამაც 2008 წლის ჩათვლით „საქსტატის“, ხოლო 2009-2011 წლების, კოალიციის „შინ მოკლა საქართველოში“ მონაცემთა მიხედვით, დადგენილი საშუალო ხელფასის განაკვეთით შეადგინა 121 360.6 ლარი ეროვნულ ვალუტაში (არსებული კურსით, მყარ ვალუტაში 53 699.38 ევრო ან 73 551.8 აშშ დოლარი);

3.4. მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ, 2012 წლის 1 იანვრიდან, მოსარჩელის სიცოცხლის განმავლობაში, ამ უკანასკნელის სამისდღეშიო რჩენა ულუფის ღირე-

ბულების ყოველთვიურად გადახდით, „საქსტატის“ მიერ დადგენილი საარსებო მინიმუმის ოდენობით, მისი ცვალებადობის მიხედვით;

3.5. მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ, 2012 წლის 1 იანვრიდან, მოსარჩელის სიცოცხლის განმავლობაში, ამ უკანასკნელისათვის, ოჯახის გარეთ, სადღელამისო მომენტების დასაქირავებელი თანხის (გასამრჯელოს), ყოველთვიურად გადახდა კოალიციის „შინ მოვლა საქართველოში“ მიერ დადგენილი სახელფასო განაკვეთის ოდენობით, მისი ცვალებადობის მიხედვით;

3.6. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე მოზარდია, პროთეზი კი ინდივიდუალურ მორგებას საჭიროებს და, დროთა განმავლობაში, აუცილებელია მისი შეცვლა, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, მოპასუხეებს პერიოდულად წარმოუშობს პროთეზის აღდგენის ან შეცვლის ვალდებულებას, შესაბამისად, მოპასუხეებს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ ყოველ 2-3 წელინადში პროთეზების აღდგენისა – განახლებისა და, საჭიროების შემთხვევაში, ახალი პროთეზებით შეცვლის ღირებულების გადახდა;

3.7. მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ მორალური ზიანის ანაზღაურება 3 300 000 ლარის ეკვივალენტური თანხის მყარ ვალუტაში გადახდა – 1 460 176.9 ევრო (რაც არსებული კურსით 2 000 000 აშშ დოლარია) – იხ. სარჩელი თანდართული მასალებით.

4. მოპასუხეთაგან არც ერთმა არ ცნო სარჩელი, კერძოდ:

4.1. პირველი მოპასუხის მტკიცებით, მას არ მიუძღვის ბრალი არასრულწლოვანისათვის ზიანის მიყენებაში;

4.2. მეორე მოპასუხემ განმარტა, რომ იგი არასათანადო მოპასუხე იყო, რადგან სატრანსფორმატორო ელექტროექვესადგური არ იყო მის მფლობელობაში და არც ელექტროენერგიას აწვდიდა აღნიშნულ ქვესადგურს, ამასთან, მოთხოვნა განუხორციელებადი იყო ხანდაზმულობის გამო;

4.3. მესამე მოპასუხემ განმარტა, რომ ელექტროექვესადგური არ იყო სახელმწიფოს საკუთრება და, ამდენად, სამინისტრო არა-სათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგიის 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაზარალებულის სარჩელი ნანილობრივ დაკმაყოფილდა და, მოსარჩელის სასარგებლოდ, პირველ მოპასუხეს დაეკისრა:

5.1. მკურნალობაზე განეული ხარჯის – 7 046, 82 ლარის, პროთეზირებისათვის – 73 105,02 ევროსა და მეზავრობის ხარჯის – 2985,08 ევროს გადახდა;

5.2. ყოველთვიური ულუფის გადახდა 2010 წლის განმავლობა-

ში, თვეში – 597,6 ლარი, 2011 წლის განმავლობაში, თვეში – 655,4 ლარი, ხოლო 2012 წლიდან თვეში – 655,4 ლარი;

5.3. მომვლელის ხარჯების გადახდა 2009 წლის 27 დეკემბრიდან, თვეში -2557 ლარი;

5.4. მორალური ზიანის ანაზღაურება – 100 000 ლარი;

5.5. სარჩელი მეორე და მესამე მოპასუხებისადმი მიმართ მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

5.6. ამავე გადაწყვეტილებით, პირველ მოპასუხეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 3000 ლარის გადახდა.

6. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია პირველი მოპასუხის მართლსანინაალმდევო, გაუფრთხილებელმა ქმედებამ, კერძოდ, პირველი სანარმო ელექტროენერგიას აწვდიდა აბონენტებს იმ ელექტროენერგიის საშუალებით, რომლის დამცავი ნაგებობა ჩამოქცეული იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოკვეთილი იყო სსკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრული დელიქტური ვალდებულების ნარმომშობი ოთხივე წინაპირობა.

6.1. სასამართლოს დასკვნით, პირველი მოპასუხის ქმედება გამოიხატა წინდახედულობისა და უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფით, დამცავი ნაგებობის გარეშე დარჩენილ ტრანსფორმატორში, მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის გატარებაში. ქმედება მართლსანინაალმდევო იმდენად, რამდენადაც ენინაალმდეგება უსაფრთხოების სტანდარტებს, რასაც ადგენს ელექტროენერგიის მოხმარების დროებითი წესები და უსაფრთხოების ტექნიკის წესები. პირველი მოპასუხე მონოპოლისტია ელექტროენერგიის მიწოდების ბაზარზე ქ. თბილისის მასშტაბით და მას ევალებოდა, როგორც ელექტროენერგიის მომხმარებლისთვის მიწოდება, ისე – უსაფრთხოების დაცვა.

6.2. სასამართლომ, სსკ-ის 408-ე მუხლზე მითითებით, მიიჩნია, რომ პირველი მოპასუხის ქმედება ბრალეულია, არსებობს მიზეზობრივი კავშირი მის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, შესაბამისად, პირველი სანარმო წარმოადგენს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს და მოვალეა, აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა.

6.3. სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომის უნარის შეზღუდვის გამო, დაზარალებული ვერ ახერხებდა მუშაობას, რის გამოც მას არ ჰქონდა უნარი, მიეღო შემოსავალი ხელფასის სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, ყოველთვიური სარჩის დაკისრებასთან დაკავშირებით, მიყენებული ზიანის ადეკვატური იყო. სასამართლოს დასკვნით, უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ის ზიანი, რაც განი-

ცადა მოსარჩელემ, ამდენად, ამ უკანასკნელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე იმ ნაწილში, რაც არ განუცდია მხარეს, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია.

6.4. საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელისთვის საჭირო დახმარება, რაც მოიცავს სადღელმისო ძირეულ მოვლას და დახმარებას, ე.წ. ყოველდღიურ ინსტრუმენტულ აქტივობაში, თვის განმავლობაში შეადგენდა 2557 ლარს, რაც დადასტურებული იყო კოალიციის „შინ მოვლა საქართველოში“ მიერ გაცემული დოკუმენტით.

6.5. სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპანია „ო-ის“ მიერ გაცემულ ანგარიშში მითითებულია, რომ მოსარჩელისათვის აუცილებელი პროტეზირებისთვის საჭირო თანხა შეადგენს 73 105,92 ევროს, გერმანიაში მგზავრობის ღირებულება კი – 1 488,18 ევროს. თერმულ დაზიანებათა და ალდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრში, მოსარჩელისათვის განეულმა მომსახურებამ შეადგინა 7 046,82 ლარი;

6.6. საქმის მასალებში წარდგენილი საქართველოს სტატიისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) წერილის მიხედვით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2010 წლისათვის შეადგენდა 597,6 ლარს, ხოლო 2011 წლისათვის – 655,4 ლარს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხები უნდა დაპირისებოდა პირველ მოპასუხეს, ყოველთვიური ულუფის სახით, მოსარჩელის სრულწლოვანებიდან.

6.7. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის სხვა მოთხოვნები არ იყო დასაბუთებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რის გამოც მათ დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა დაზარალებულს.

6.8. საქალაქო სასამართლომ, სსკ-ის 413-ე მუხლის საფუძველზე, განმარტა, რომ ტერმინი „მორალური ზიანი“ სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებით მიღებული არასასურველი შედეგი ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად, შეიძლება არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და შესაბამისად, არამატერიალიზებული ზიანია.

6.8.1. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს ამპუტირებული ჰქონდა ორი კიდური, იყო ახალგაზრდა და უდავოდ განიცდიდა თავის ფიზიკურ მდგომარეობას. მნიშვნელოვანი იყო, რომ მოსარჩელემ მიიღო დიდი სულიერი ტრავმა, როდესაც მან სხეულის დაზი-

ანება მიიღო და გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია. ასევე მორალურ ზიანს ადასტურებდა ისიც, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა საჭიროებდა სისტემატიურ კონტროლს და შესაბამისი პროცედურების განხორციელებას.

6.8.2. სასამართლომ განმარტა, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანია ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. მიღებული შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას და მხოლოდ სულიერ ტკივილს შეუმსუბუქებს მას, ამდენად, მორალური ზიანის სახით, 100 000 (ასი ათასი) ლარის დაკაისრება, სასამართლომ გონივრულად და სამართლიანად მიიჩნია.

6.9. სასამართლომ, სსკ-ის მე-1000 მუხლის, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის „1. თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში ნარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერგიისაგან, ანდა ხანძარსაშიში ან აფეთქებასაშიში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა ადამიანის სიკედილი, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება ანდა ნივთის დაზიანება, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშბილი ზიანი. იგივე პასუხისმგებლობა გამოიყენება ხანძარსაშიში ან აფეთქებასაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელების მიმართ, როცა ამ ნივთიერებებიდან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს. 2. თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან ან ნივთიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძვლით, ვიდრე ამ მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, ნაგებობის ან ნივთის მფლობელი ვალდებულია ანალოგიურად აანაზღაუროს საფრთხის განხორციელებს შედეგად წარმოშბილი ზიანი. 3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი გამოწვეულა ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებებით. 4. რადიაციული ნივთიერების გამოყენებით გამოწვეული ზიანი უნდა აანაზღაუროს მისმა გამოყენებელმა“ საფუძველზე აღნიშნა, რომ საქმეში მოსარჩელის მიერ მითითებულ მოპასუხეთა წრიდან არ იკვეთებოდა ელექტროქვესად-

გურის მფლობელი.

6.9.1. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩევეს ზიანი მიადგა არა მხოლოდ იმის გამო, რომ მომეტებული საფრთხის წყაროზე კონტროლის განხორციელება იყო შეუძლებელი, არამედ – მოპასუხის გაუფრთხილებელი ქმედებითაც. ამიტომ მითითებულ მოპასუხეთა წრიდან ზიანისთვის პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენდა მხოლოდ პირველი მოპასუხე. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ განმარტა, რომ დელიქტური პასუხისმგებლობა, სსკ-ის 998-ე მუხლის „1. თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. 2. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით“ შესაბამისად, შესაძლებელი იყო რამდენიმე პირს სოლიდარულად დაჰკისრებოდა. სასამართლოს დასკვნით, მეორე და მესამე მოპასუხები არასათანადო მოპასუხებს წარმოადგენდნენ და მათ წინააღმდეგ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

6.10. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მოტივაციისას, მიუთითა ანალოგიურ საქმეებზე არსებულ სასამართლო პრაქტიკაზე (იხ. სუსგ № 3კ-731-01, 15.01.2001წ. განჩინება).

7. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც დაზარალებულმა (მოსარჩევემ), ისე პირველმა სანარმომ (პირველმა მოპასუხემ).

7.1. მოსარჩელემ (პირველმა აპელანტმა) მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის უარყოფილ ნაწილში და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი არგუმენტაციით (იხ. სააპელაციო საჩივრი):

7.1.1. მოპასუხეს მის სასარგებლოდ მომვლელის ხარჯების გადახდა უნდა დაჰკისრებოდა 2005 წლის 04 ნოემბრიდან, სტაციონალური კლინიკიდან განერის დღიდან და არ 2009 წლის 27 დეკემბრიდან, მოსარჩელის სრულწლოვანების ასაკიდან;

7.1.2. გაასაჩივრებული გადაწყვეტილებით პირველი მოპასუხისათვის დაკისრებული მორალური ზიანი – 100 000 ლარი არ იყო სამართლიანი, რადგან სასამართლომ არ იმსჯელა და არ შეაფასა დაზარალებულის მოთხოვნა, რომელიც ეხებოდა პროთეზის პერიოდულად შეცვლის ან აღდგენის საჭიროებას და, აქედან გამომდინარე, მოპასუხისათვის ვალდებულების დაკისრებას.

7.2. მოპასუხემ (მეორე აპელანტმა) მოითხოვა (იხ. სააპელაციო საჩივრარი): გაასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაზარალებულის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული სარჩელის უარყოფა და მოსარ-

ჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

7.2.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ პირველი მოპასუხე კონკრეტულ აბონენტს (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი) ანგდიდა ელექტროენერგიას სადაც სატრანსფორმატორ ქვესადგურის გავლით, ცალმხრივი და ტენდენციურია. აღნიშნულ ქვესადგურს ელექტროენერგია მიენიდებოდა კერძო საკუთრებაში არსებული სატრანსფორმატორ ქვესადგურით №ა1173, ხოლო №ა242 კი ელენერგიით ამარაგებდა მოპასუხის აბონენტის კუთვნილ ქვესადგურს. პირველი საწარმოს საკუთრებაში არსებული ელექტრომეურნეობის საზღვრები მთავრდება ფონიჭალაში (მარნეული ქ. №8, კ-ის რ-ნში) არსებულ ცენტრალურ გამანანილებელ ქვესადგურში, №11 ფიდერზე გამომავალ განშტოებაზე, რომელზეც დაერთებულია მაღალი ძაბვის კაბელი, რომელიც არასოდეს წარმოადგენდა მოპასუხის საკუთრებას. ამ ფიდერს იქით ქსელი მთლიანად კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში იყო და დღემდე მათ საკუთრებაშია. მოპასუხეს არც ერთი ნორმატიული აქტით არ ეკისრება პასუხისმგებლობა სხვა პირების კერძო საკუთრებაში არსებული ელექტრომეურნეობის მოვლა-პატრონბასა თუ მისი ექსპლუატაციის წესების დაცვაზე;

7.2.2. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანება გამოწვეული იყო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო, გაუფრთხილებელი ქმედებით. ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სადაც ქვესადგური იმყოფებოდა ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაში მოპასუხეს არ ჰქონია. დაუსაბუთებელია საქალაქო სასამართლოს აღნიშნული დასკენა, რადგან საქმის მასალებით საპირისპირო გარემოება დასტურდება. კერძოდ, საქმეში განთავსებული მტკიცებულების – ე.ნ. ტექნიკური პირობის თანახმად ირკვევა, რომ მოპასუხის აბონენტს (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი) ნება დაერთო, მიერთებულიყო სადაც ქვესადგურზე და მასვე დაეკისრა პასუხისმგებლობა ამ ქვესადგურიდან გამომავალი მაღალი ძაბვის კაბელის და ელექტრომეურნეობის მოვლა-პატრონობაზე. მოპასუხებმ შესაგებელში აღნიშნა, თუ ვის ევალებოდა ელექტრომეურნეობის გამართულ ფუნქციონირებაზე კონტროლი და პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პირველ რიგში, ეს იყო ქონების მესაკუთრე (მფლობელი), ხოლო კონტროლი ქვესადგურების გამართულ ფუნქციონირებაზე ენერგოზედამხედველობის დეპარტამენტის პირდაპირი მოვალეობა იყო. მოპასუხის მტკიცებით, მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება გამოწვეულია არა

ელექტროენერგიის მიწოდების გამო, არამედ სატრანსფორმატორო ქვესადგურის ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების წესების დაუცველობის გამო;

7.2.3. სასამართლოს არ გამოუკვლევია, თუ ვის საკუთრებას წარმოადგენდა ქვესადგური. იმ გარემოებაზე მითითება, რომ დღეის მდგომარეობით ეს ქონება ალარ არსებობს და ამიტომ ვერ დგინდება მესაკუთრე, სასამართლოს მიერ საკითხისადმი არასწორი მიდგომაა, ვინაიდან დადგენილია, რომ მინა, რომელზეც უძრავი ქონება იყო განთავსებული, წარმოადგენდა თბილისის მერიის (მუნიციპალური საწარმოს) მიერ დაფუძნებული საზოგადოების – შპს „თ-ი 5“-ს საკუთრებას. ამდენად, ამ ქონების მესაკუთრე და მის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი სწორედ ეს საწარმო ან მისი სამართალმემკვიდრეა. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს ქონება არც ამ უკანასკნელ საწარმოს არ ეკუთვნის, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ქონების მესაკუთრე სახელმწიფოა. ამდენად, უნდა დადგენილიყო, თუ ვის მინაზე იდგა უძრავი ქონება და იმის მიხედვით, თუ ვის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე იყო განთავსებული ქვესადგური, პასუხისმგებლობაც მასვე უნდა დაჰკისრებოდა;

7.2.4. სასამართლომ არ შეაფასა სისხლის სამართლის საქმეში არსებული ქონების მართვის სამინისტროს 22.05.2001წ. №1-3/352 ბრძანების შინაარსი, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი; 19.2.5. სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ იმსჯელა არც შპს „თ-ი 5“-ს და არც სამინისტროს (მესამე მოპასუხის) პასუხისმგებლობაზე;

7.2.6. სასამართლომ ყოველგვარ მტკიცებულებებზე მითითების გარეშე და სსსკ-ის 102-ე მუხლის უგულებელყოფით დააკისრა პირველ მოპასუხეს ზიანის ანაზღაურება.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ორივე პელანტის სააპელაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

9. სააპელაციო სასამართლოს დასახელებულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, რაც დასაშვებად ცნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 6 აპრილის განჩინებით, ხოლო იმავე წლის 16 ივნისის განჩინებით, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის საკასაციო განაცხადი და საქმე ხელახლა განსახილველად, სავალდებულო მითითებებით დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (ზე. სსსკ-ის 412-ე მუხლი).

9.1. ზემოხსენებულ განჩინებაში, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არსებობდა სსკ-ის მე-1000 მუხლის (ნორმის დეფინიცია

იხ. 6.9 ქვეპუნქტში) გამოყენების წინაპირობები, რომელიც ადგენ-და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ნაგებობაში მიწოდებული ენერგიიდან გამომდინარე ზიანისთვის. ამ განჩინებით ნაგებობის მფლობელად მიჩნეულია პირველი მოპასუხე და განმარტებულია, ბრალის დადგენა, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი არც იყო.

9.2. საკასაციო სასამართლომ, სსკ-ის 155-ე მუხლის „1. მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. 2. მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც, თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ, და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან. მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი. 3. თუ პირი ნივთს ფლობს იმ სასამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად. 4. თუ ერთ ნივთს რამდენიმე პირი ერთობლივად ფლობს, ისინი ითვლებიან თანამფლობელებად. 5. თუ ერთი ნივთის ნაწილებს რამდენიმე პირი ფლობს, ისინი ითვლებიან ცალკეული ნაწილების მფლობელებად“ გაანალიზების საფუძველზე განმარტა, რომ მფლობელობის კოდექსისეული ცნება არსებითად ორ ნიშანზე დაიყვანება. პირველი ესაა, ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობა, ხოლო მეორე – ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვება. არაა აუცილებელი, რომ ნება მიმართული იყოს ქონების საკუთრებად ფლობისაკენ. მთავარია, რომ მფლობელობა, იმისდა მიუხედავად, თუ რა უფლება დგას მის უკან, მოპოვებული უნდა იყოს მფლობელის ნების გამოვლენით, ე.ი. მას სურდეს, რომ იყოს მფლობელი. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ის გარემოება, რომ სატრანსფორმატორო ელექტროენერგიის მიმართ მოპასუხის მესაკუთრეობის ფაქტი ვერ დგინდებდა, არ გამორიცხავდა ამ ნაგებობაზე მის მფლობელობას.

9.2.1. საკასაციო სასამართლომ, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე მიუთითა, რომლის თანახმად, ელექტროენერგიის განაწილების საქმიანობა არის ორი ან ორზე მეტი, ერთმანეთი-საგან დამოუკიდებელი მიწოდების პუნქტიდან (გადაცემის ლიცენზიატისა და ელექტროენერგიის მწარმოებლის მფლობელობაში არსებული ორი ან ორზე მეტი ქვესადგურიდან) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიღება, გამანაზილებელი ქსელის ექსპლუატაცია და მიღებული ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლებზე რეალი-

ზაცია (განაწილება), აგრეთვე ელექტროენერგიის გატარება. ქონების ექსპლუატაცია ან მისი სხვა ფორმით გამოყენება წარმოადგენს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის გამოხატვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ტიპურ ფორმას. ნივთით სარგებლობა უშუალოდ არის დაკავშირებული ნივთის ფლობასთან და ხშირ შემთხვევაში მოსარგებლები და მფლობელი ერთი და იგივეა. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ელექტროენერგესადგურში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო სხეულის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სოლიდარულად დაეკისრათ სს „თ.-სსა“ და შპს „გ.-ის“, უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „მფლობელობა არ შეიძლება გაიზომოს ნივთან სივრცებრივი კავშირურთიერთობით. მფლობელობა ფაქტია და იგი გამიჯნულია საკუთრებასთან. მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე არამესაკუთრეც, ან ორივე ერთად. მფლობელობაში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც სანივთო, ისე სხვა უფლებებიც, მათ შორის, ნივთის გამოყენების უფლებაც. მოცემულ შემთხვევაში, როცა სს „თ.-ი“ მის კუთვნილ პროდუქციას, ელექტროდენს, მიაწოდებდა შპს „გ.-ის“ საკუთრებაში არსებულ ქვესადგურს და ახდენდა ამ ქვესადგურის გამოყენებას, ფაქტობრივად იგი იყო ამ ქვესადგურზე გარკვეული უფლების მატარებელიც.“ „მფლობელობის მიმართ გამოიყენება ორი სხვადასხვა დონის მფლობელობა: პირდაპირი და არაპირდაპირი. ნივთი შეიძლება ან მარტო პირდაპირი მფლობელის ბატონობაში იმყოფებოდეს, ანდა იმავდროულად არაპირდაპირი მფლობელის ბატონობის ქვეშაც. თუ ნივთის მფლობელობა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ხდება (სანივთო, ვალდებულებითი), ამ ურთიერთობაში მესაკუთრე წარმოადგენს არაპირდაპირ მფლობელს, ხოლო ის, ვინც გამოიყენებს ამ ნივთს, პირდაპირ მფლობელს. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე ანგდიდა რა ელექტროგიას ქვესადგურს და იყენებდა ამ ნაგებობას თავისი პროდუქციის სარეალიზაციოდ, იგი მისი პირდაპირი მფლობელი იყო, ხოლო მითითებული ქვესადგური იყო რა შპს „გ.-ის“ საკუთრება, მიუხედავად იმისა, რომ იგი უმეტვალყურეოდ ჰქონდა მიტოვებული, ამ ქვესადგურის არაპირდაპირი მფლობელი იყო“ (იხ. სუსგ, საქმე №3/571-01, 8.08.2001წ.).

9.2.2. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ანალოგიურ საქმეში, სასამართლომ მოპასუხე მიიჩნია ელექტროენერგესადგურის პირდაპირ მფლობელად და მას, არაპირდაპირ მფლობელთან (მესაკუთრესთან) ერთად, დააკისრა პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის. სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული დავის გადაწყვეტილისას მნიშვნელოვანია არა სადაც ელექტროენერგესადგურის ყოფილი ან მომავალი მესაკუთრის ან ბალანსთმფლობელის დადგენა, არამედ, იმის გარკვევა, თუ

ვინ არის პასუხისმგებელი ზიანზე, როდესაც მომეტებული საფრთხის წყაროს (ნაგებობის ან ნივთის) მესაკუთრე არ იკვეთება ან მას საერთოდ არა აქვს აღნიშნული ქონების დაცვისა და შენახვის ინტერესი და ენერგოგამანანილებელი კომპანია ახდენს ამ ქონების ექსპლუატაციას და სარგებლობს მისით.

9.2.3. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის თანახმად, მფლობელობა შეიძლება იყოს როგორც მართლზომიერი, ისე არამართლზომიერი, თუმცა მე-1000 მუხლის განმარტებისათვის მნიშვნელობა არა აქვს მფლობელობა მართლზომიერია, თუ არა-მართლზომიერი. აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია, თუ ვინ ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას მომეტებული საფრთხის წყაროზე. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო ორგანოს ვალდებულება, განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი კერძო პირთა განსაზღვრულ საქმიანობაზე, არ გამორიცხავს აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობას, კანონის შესაბამისად, აწარმოოს თავისი საქმიანობა და კანონით დადგენილი წესით აგოს პასუხი სხვა პირთა წინაშე“.

9.2.4. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად გადანანილება, ამასთან, სადაც ქვესადგურის მესაკუთრის დადგენის შემთხვევაშიც, მოპასუხე ვერ გათავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან, სსკ-ის მე-1000 მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, რომელიც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ადგენს.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.4 ქვეპუნქტი და ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილება მიიღო, კერძოდ:

10.1. მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა სადღელამისო მომვლელის ხარჯების გადახდა, 2005 წლის 04 ნოემბრიდან 2011 წლის დეკემბრის ჩათვლით, ჯამში 121 360.60 ლარი;

10.2. 2012 წლის 01 იანვრიდან, თვეში – 2 557.00 ლარი;

10.3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

10.4. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივი მოტივაციისას გამოიყენა: „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, მე-4 მუხლი, სსკ-ის მე-1000, 408-ე, 411-ე, 412-ე, 413-ე მუხ-

ლები, სსსკ-ის მე-4, 102-ე მუხლები.

10.5. სასამართლომ იმსჯელა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და კომპანია „ე“-ს შორის გაფორმებული მოპასუხე საწარმოს აქციათა 75 პროცენტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტრომეურნეობის პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლური ფასით, საძირი საზოგადოება „ე. თ-ისათვის“ მიყიდვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 12 მარტის №93 ბრძანებულებით დადგინდა №1 დანართში დასახელებული ორგანიზაციების ბალანსზე რიცხული ქვესადგურების და ელექტრომეურნეობის პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლური ფასით, 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით, ეროვნულ ვალუტაში, სს-თვის „ე. თ-ი“ მიყიდვის ვალდებულება. იმავე ბრძანებულებით, მითითებული ობიექტების მიყიდვა იმავე სს-თვის დაევალა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს. ზემოხსენებული №93 ბრძანებულების №1 დანართით ირკვევა, რომ სს-თვის მისაყიდი 266 ობიექტის ჩამონათვალში №14 ნომრად მითითებული იყო სადაცვო ქვესადგური №ა-242, რომელიც იმყოფებოდა „მსუბუქი ტაქსები 5“-ის ბალანსზე და მისამართად ფიქსირდებოდა ქ-ის ქ. №12. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2001 წლის 22 მაისის ბრძანებით დადგინდა №1 დანართში ასახული ორგანიზაციების ბალანსზე რიცხული ქვესადგურების და ელექტრომეურნეობის პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლური ფასით, 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში მიყიდვა სს-თვის.

10.5.1. სასამართლომ შეაფასა, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და სს „ე. თ-ს“ შორის, 2001 წლის 12 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, მისი განუყოფელი თანდართული მიღება-ჩაბარების აქტი და ბიზნეს-გეგმა, 2001 წლის 28 მაისს, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, სამინისტროს მიერ სს-თვის გადაცემული №1 დანართში ასახული ორგანიზაციების ბალანსზე რიცხული ელექტრომეურნეობა და დაასკვნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის №93 ბრძანებულებაში მითითებული ქ. თბილისში, ქ-ის ქ. 12-ში მდებარე შპს „თ-ი-5“-ის ბალანსზე არსებული სატრანსფორმატორო ქვესადგური №ა-242 სს-ას საკუთრებაში არ გადასცემია.

10.5.2. სასამართლომ შეაფასა საქმეში მოთავსებული მასალები: ქ. თბილისის მთავრობის 17.08.2000 წლის და 15.08.2003 წლის დადგენილებები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2005 წლის 20 ოქტომბრის წერილი, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 01 სექტემბრის

წერილი, შპს „თ-ის“ 2010 წლის 10 სექტემბრის წერილი, თბილისის მერიის 2010 წლის 26 აგვისტოს წერილი, სამენარმეო რეესტრიდან ამონანერები, სხვა მტკიცებულებები და დაასკვნა, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა №ა-242 სატრანსფორმატორო ელექტროკესადგურზე რეგისტრირებული საკუთრების უფლება.

10.6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ უბედური შემთხვევის დროს (ნინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი) სადავო ქვესადგური იყო მიტოვებული, დამცავი კედლები – დაშლილი, დაცული არ იყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტი. დენის დარტყმის შედეგად მიღებული თერმული დაზიანებების გამო, პირველ აპელანტს (მოსარჩელეს) ჩაუტარდა ორივე ხელის ამპუტაცია, რის გამოც დაკარგა შრომისუნარიანობა 2/3-ზე მეტი ნიშნით. აპელანტის ოჯახმა გაიღო მკურნალობის ხარჯები, დაზარალებული საჭიროებს სამომავლო მკურნალობას, მომვლელის მუდმივ მომსახურებას, პროთეზირებას, მან განიცადა მორალური ზიანი, რაც გამოიხატება ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეულ სულიერ ტანჯვაში. აღნიშნულ ფაქტზე შპს სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონულ სამმართველოში დაიწყო ნინასწარი გამოძიება, თუმცა, დღეის მდგომარეობით, ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მისაცემი პირი (პირები) დადგენილი არ არის.

10.7. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ №ა-242 სატრანსფორმატორო ელექტროკესადგურის გამოყენებით, მოპასუხე საწარმო ელექტროენერგიას აწვდიდა თავის აბონენტს “და შესაბამისად იყენებდა ამ ნაგებობას თავისი პროდუქციის სარეალიზაციოდ (იხ. საგადასახადო ანგარიშფაქტურები).

10.8. ზემოხსენებული მტკიცებულებების ერთობლივად შეჯერება და გაანალიზება დაედო საფუძვლად პირველი აპელანტის (დაზარალებულის) მოთხოვნის ნაწილობრივ დაქმაყოფილებას, ხოლო მეორე აპელანტის (პირველი საწარმოს) სააპელაციო საჩივრის უარყოფას და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლას, მოსარჩელის სასარგებლოდ (იხ. ამ გადაწყვეტილებს 10.1-10.3 ქვეპუნქტები).

11. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

11.1. პირველმა კასატორმა (დაზარალებულმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, რადგან მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხა მიაჩნია, რომ მცირეა, ასევე, შედავება წარმოდგენილია პროთეზების ცვეთის ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, მათი ალდებრის ან შეცვლის, პერიოდულად წარმომობადი ვალდებულების დაუკისრებლობის ნაწილში და, ამ ორი მოთხოვნის ნაწილში,

მოთხოვნილია ახალი გადაწყვეტილების მიღება საკასაციო სასამართლოს მიერ (იხ. საკასაციო საჩივარი), შემდეგი მოტივაციით:

11.1.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით დაკისრებული აქვს 100 000 ლარი, რაც არასამართლიანია, მისი სიმურის გამო, რადგან არადეევატურია დასახიჩრების შედეგად მოსარჩელის მიერ განცდილი ტკივილისა და უმაღლესი ხარისხის სულიერი ტანჯვისა. მორალური ზიანი, გამოხატული ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, ფულად ანაზღაურებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც ფულადი კომპენსაციის საშუალებით შესაძლებელი გახდეს მოსარჩელისათვის ფიზიკური და სულიერი ტანჯვის გარკვეული შემსუბუქება. უდავოა, – შეუძლებელია ფულით შეფასდეს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი და ლირსება, ამიტომაა, რომ მორალური ზიანი გამორიცხავს რესტიტუციას. აღნიშნულის გამო, პასუხისმგებლობას მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის საკომპენსაციო ხასიათი აქვს. ფულადი კომპენსაცია, ამ შემთხვევაში, განკუთხილია დაზარალებულისათვის მძიმე შედეგების გარკვეულწილად შესამსუბუქებლად, ასევე ზოგადი და კერძო პრევენციისათვის, სწორედ ამიტომ, კონკრეტულ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოცულობა უნდა განისაზღვროს არა ეკვივალენტურობის პრინციპით, არამედ საქმის ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე, მიყენებული ფიზიკური და მორალური ზიანისა და ხასიათის, ზიანის მიმყენებლისა და დაზარალებულის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;

11.1.2. სსკ-ის 415-ე მუხლის თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურებისას, დასაკისრებელი თანხის მოცულობის განსაზღვრისას, სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა მხარეთა ბრალეულობის საკითხზე, ვის მიუძლვის მეტად ბრალი ზიანის დადგომაში, ასევე გაერკვია, ხომ არ მიუძლოდა დაზარალებულს დამდგარ შედეგში გარკვეული წვლილი, ანუ ხომ არ იკვეთებოდა შერეული ბრალის ნიშნები. პირველი კასატიონის მტკიცებით, უდავოა, რომ განსაზიდველ შემთხვევაში მოსარჩელეს ბრალი არ მიუძლვის ზიანის დადგომაში და იგი გამოწვეულია მხოლოდ მოპასუხის მართლსანინაალმდეგო, ბრალეული ქმედებით. მოპასუხისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დასაკისრებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ არ იხელმძღვანელა ზემოთ მითითებულ, სავალდებულოდ გასათვალისწინებელ გარემოებათაგან არც ერთი გარემოებით, მათ შორის: არ გაითვალისწინა მიყენებული ფიზიკური ზიანის ხასიათი და შინაარსი, ის, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანე-

ბამ განაპირობა მისი შრომისუნარიანობის სრული დაკარგვა, რომ შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და მოსარჩევე ცხოვრების ბოლომდე ინვალიდად, ხეიბრად უნდა დარჩეს. ასეთი არაადამიანური ყოფის სანაცვლოდ მოსარჩელისათვის 100 000 ლარის მიკუთხნება უსამართლოდ და არაადეკვატურად მიაჩნია კასატორს. ჯანმრთელობის ენების ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს დაზიანებული ჯანმრთელობის სრული ან ნაწილობრივი აღდგენის შესაძლებლობა, მაგალითად, ფეხის ან ხელის მოტეხილობა, რომლის განკურნების შემდეგ ფიზიკური ნაკლი არ რჩება, მაგრამ ამ საქმეში დაზიარალებული არასრულწლოვანის შემთხვევაში, თანამდეროვე მედიცინის მიღწევების პირობებშიც კი, ფიზიკური ნაკლის აღმოფხვრის შესაძლებლობა ნულის ტოლია, ე.ი. არ არსებობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უმცირესი შანსიც კი. აღნიშნულის გამო, ახალგაზრდა კაცმა, მისი ფიზიკური ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც დელიქტის შედეგად მაღდგა მას, მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაჩაგრულად და დაპეჩავებულად უნდა იგრძნოს თავი და მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე განიცადოს უდიდესი სულიერი ტანჯვა. სწორედ მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანების ასეთი უმძიმესი ხარისხი უნდა გაეთვალისწინებინა და მხედველობაში მიეღო სააპელაციო სასამართლოს, რაც სამწუხაროდ მან არ გააკეთა;

11.1.3. სასამართლომ, ასევე, არ გაითვალისწინა როგორც ზიანის მიმყენებლის, ისე დაზიარალებულის მატერიალური მდგომარეობა – პირველ შემთხვევაში მოპასუხე სანარმოს ქონებრივი მდგომარეობა, რომლის კაპიტალბრუნვა ასეულობით მიღიონ ლარს შეადგენს და, მეორე შემთხვევაში, დაზიარალებულის უკიდურესი მატერიალური გაჭირვება და ხელმოკლეობა, რომელსაც დელიქტით დასახირების შემდეგ კიდევ უფრო მეტად შეელახს კანონიერი უფლებები და ინტერესები კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან, მისდამი გამოვლენილი გულგრილი დამოკიდებულებით. ამ ხნის განმავლობაში მოსარჩელემ არაერთგზის დაპკარგა პროტეზებით აღჭურების შესაძლებლობა, ხოლო ყოველთვიური სარჩოსა და მომვლელის მომსახურების მიღებისა კი – მრავალგზის, რამაც ფაქტიურად გაუსაძლისი გახადა მისი ყოფა და მეტად გაუმძაფრა სულიერი ტანჯვა. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მსჯელობა ბავშვის უფლებათა კონვენციის ნორმებსა და ხატოვანი მითითებები, რომ ბავშვის უფლებები უნაკლილ უნდა იქნეს დაცული, უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას და ა.შ. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არაადეკვატურია, რადგან უნდა გაეთვალისწინებინა ის უდავო ფაქტი, რომ დაზიარალებულმა მთელი

ბავშვობა სიმწარეში, უკიდურეს სიდუხჭირესა და მატერიალურ გაჭირვებაში გაატარა, რომ მისი უფლებები არაერთგზის ფეხქვეშ იქნა გათელილი და ყოველივე ამის გამო, სასამართლოს სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების (3 300 000 ლარის) ნაზილში;

11.1.4. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა პროტეზირებასთან დაკავშირებულ, სამომავლოდ, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა შესახებ, რაც იმით ახსნა, რომ მოსარჩელე უკვე სრულწლოვანი, ზრდასრული მამაკაცია და არ გაითვალისწინა ფირმა „ო-ის“ რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ფიზიკური ზრდის გამო, ყოველ ორ-სამ წელიწადში ერთხელ, დაზარალებული უნდა აღიჭურვოს ახალი პროთეზებით. ამ შემთხვევაში სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ ფიზიკური ზრდა თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურია და ზოგიერთი ინდივიდი 30 წლამდე აგრძელებს ფიზიკურ ზრდას. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ნებისმიერი სახის ტექნიკა, მათ შორის პროთეზები, რაც არ უნდა მაღალი ხარისხის იყოს ისინი, ექსპლუატაციისას განიცდის ცვეთას, რის გამოც წარმოიშობა პერიოდულად მისი აღდგენის, ან ახლით შეცვლის საჭიროება. აღნიშნულის თაობაზე მითითებულია ფირმა „ო-ის“ წერილშიც. ეს საკითხი დავას არ უნდა იწვევდეს და კასატორის მხრიდან მეტ დასაბუთებას არ საჭიროებს.

11.1.5. პირველი კასატორი ვრცელ შედავებას წარმოადგენს ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება მისი დაუკმაყოფილებელი სასარჩელო მოთხოვნის დამამტკიცებელი ფაქტობრივი გარემოებებისა და სხვა მტკიცებულებების არასათანადოდ შეფასებას, ასევე, დავობს საპროცესო ნორმების დარღვევაზე, მათ შორის იმაზე, რომ სსსკ-ის 162-173-ე მუხლების მოთხოვნათა უგულებელყოფით, საქმის ხელმეორედ სააპელაციო წესით განხილვისას, სასამართლომ მოპასუხეს მისცა შესაძლებლობა, ჩაეტარებინა ექსპერტიზა და იმ პირობებში, როდესაც არ ჰქონდა და ექსპერტის დასკვნის მიღების უფლება, კანონსაწინააღმდეგოდ მიიღო აღნიშნული დასკვნა, რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება და, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ, მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ოდენობის არასამართლიანდ განსაზღვრა.

12. მეორე კასატორმა (სანარმომ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება და, შესაბამისად, დაზარალებულის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგ არგუმენტებზე დაყდნობით მიუთითა:

12.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 155-ე და 1000-ე მუხლები. არასწორად გამოიყენა 408-ე, 409-ე, 411-ე, 992-ე, 1008-ე მუხლები. არ გამოიყენა ელექტროენერგეტიკულ სფეროში მოქმედი ნორმები. კერძოდ, არ მიუთითა „ელექტროენერგიის მოხმარების დროებითი წესების“ ის ნორმები, რაც ცალსახად მიჯნავს პასუხისმგებლობის ზღვარს მომხმარებელსა და ენერგოგამანაწილებელ კომპანიას შორის, არ მიუთითა მომხმარებელთა ელექტროდანადგართა ტექნიკური ექსპლუატაციის წესების №1.2.5, № 1.2.7 და №ე.1.2.15 პუნქტებზე, რომელთა საფუძველზე დადგენილია, რომ პასუხისმგებლობა უბედურ შემთხვევაზე, რომელიც მოხდა ელექტროული დენით დაზიანების შეფეგად, ეკისრებათ პირებს მომსახურე და ადმინისტრაციულ ტექნიკური პერსონალიდან, წესების უმუალო დამრღვევების სახით, ასევე მათ ვინც არ უზრუნველყო ირგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შესრულება, რაც გამორიცხავდა უბედური შემთხვევების წარმოქმნის შესაძლებლობას;

12.1.1. არ არის გასაზიარებელი სასამართლოს დასკვნა, რომ საქმის მასალებით არ დაგინდება სატრანსფორმატორო ქვესადგურზე საკუთრების უფლება. სააპელაციო სასამართლოს სრული სამართლებრივი საფუძველი გააჩნდა ამ საკითხის შეფასებისას გაეზიარებინა მოპასუხის პოზიცია. თუკი დადგინდებოდა, რომ ქვესადგური შპს „თ-ის“ ბალანსიდან ამოღებული იყო, ასეთ შემთხვევაში უნდა ჩათვლილიყო სახელმწიფო საკუთრებად, როგორც საპრივატიზებოდ გატანილი ქონება და მის მოვლა-პატრონობასა და უსაფრთხო ექსპლუატაციაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს უნდა დაკვისრებოდა. ის გარემოება, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, განსახილველ დავაში მისი წილი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი უნდა გამხდარიყო. მოსარჩევე თავის მოთხოვნას სწორედ ამ პოზიციაზე ამყარებდა საარჩევის მე-3 ფაქტობრივ გარემოებაში, რადგან ქონების მესაკუთრედ სახელმწიფოს მიიჩნევდა. მოსარჩევე, იმ ქონებას, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა მოპასუხის მფლობელობაში არსებულად არ განიხილავდა. ეს პოზიცია მოსარჩევემ სააპელაციო განხილვის ეტაპზე შეცვალა, მას შემდეგ, რაც გაეცნო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას;

12.1.2. იმ პირობებში, როცა საქმეში არსებობს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 12 მარტის №93 ბრძანებულება მოპასუხისათვის მისაყიდი ქონების ჩამონათვალით და ქონების მართვის სამინისტროს 2001 წ. 22 მაისის ბრძანება №1-3/352, რომლიც თანახმად ქვესადგური საპრივატიზებო ქონების ნუსხაში იყო შეტანილი, ასევე, როცა დადგენილია, რომ პირველ მოპასუხეს ქონება არც სამართლებრივად და არც ფაქტობრივად არასდროს გადაცე-

მია, იურიდიულად დაუსაბუთებელია თუ რატომ გახდა სააპელაციო სასამართლოსათვის შეუძლებელი, ქონების მესაკუთრე დაეფინა და რატომ არ მიიჩნია მომხდარზე პასუხისმგებლად მესამე მოპასუხე – სამინისტრო;

12.1.3. სასამართლომ არ შეაფასა საქმის მასალების მიხედვით დადგენილი გარემოება, რომ ქვესადგური მოპასუხეს არ გადაცემია. ეს უკანასენელი არ უწევდა მას არც მომსახურებას და არც მის უსაფრთხო ექსპლუატაციაზე აგებდა პასუხს. შესაბამისად, მოქმედი წესების თანახმად, მისი მომსახურება და უსაფრთხო ექსპლუატაცია იმ ორგანიზაციის მოვალეობა იყო, ვას ინტერესებშიც შედიოდა მისგან ელექტროენერგიის მიღება. მოპასუხეს არც ერთი ნორმატიული აქტით არ ეკისრება პასუხისმგებლობა მესამე პირების კერძო საკუთრებაში არსებულ ელექტრომეურნეობის მოვლა-პატრონობაზე, ან ექსპლუატაციის წესების დაცვაზე, თუ გაფორმებული არა მომსახურების ხელშეკრულება;

12.1.4. „ელექტროენერგიის მოხმარების დროებითი წესების“ 2.3.1 პუნქტის თანახმად: ელ. დანადგარების ენერგომომარაგებელ ორგანიზაციას შორის დგინდება მათი საბალანსო კუთვნილების მიხედვით...“ ამ შემთხვევაში, უშუალოდ შპს „თ-5“-თან ასეთი პირობითი გაყოფის წერტილიც არ გააჩნდა მოპასუხეს, რადგან იყი სხვა, კერძო საკუთრებაში არსებული ქვესადგურიდან №ა-1173-დან ღებულობდა ძაბვას. იმავე წესების თანახმად, ელექტროენერგების საბალანსო კუთვნილების საზღვარზე, საკონტაქტო მინა-ერთების მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს თუ ის სხვაგვარად არ არის შეთანხმებული ხელშეკრულებით. ის გარემოება, რომ მოპასუხე აბონენტს ახდევინებდა მოხმარებული ელ. ენერგიის გადასახადს, ვერ გამოდგება ქვესადგურის ექსპლუატაციის დამადასტურებელ და პასუხისმგებლობის განმაზლვრელ გარემოებად. სსიპ ლ. სამხარეულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვითაც, ეს საკითხი მოპასუხის სასარგებლოდა განმარტებული: „უსაფრთხოების წესები დარღვეული აქვს ელ. ენერგიის ტრანზიტულად გამტარებელ ორგანიზაციას და ელექტრომეურნეობაზე პასუხისმგებელ პირს, რამდენადაც მაღალი ძაბვის დენი გატარებული იქნა გაუმართავი გამანანილებელი მოწყობილობის მეშვეობით“. ელექტროენერგეტიკაში მოქმედი წესების თანახმად ელ. ენერგიის ტრანზიტულად გამტარებელ მოქმედი კონკრეტული შპს „თ-ი 5“ წარმოადგენდა, რომელსაც უფლება ჰქონდა ელ. ენერგიის ტრანზიტული მომსახურებისათვის მოეთხოვა შესაბამისი ანაზღაურება;

12.1.5. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წ. 27 მარტის ბრძანება №1-3/

198, რომლითაც რეგლამენტირებულია სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ქონების განმეორები იყო მაშინდელი ქონების მართვის სამინისტრო, რომლის უფლებამონაცვლე ამჟამად მესამე მოპასუხეა (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი). დებულების თანახმად, საწარმოსთან ერთად, ქონების მოვლა-პატრონობაზე და მათ შორის მის განუკარგველობაზე პასუხისმგებლობა სამინისტროს ეკისრებოდა. ამდენად, ამ უკანასკნელის პოზიცია არასათანადო მოპასუხედ მიჩნევის თაობაზე დაუსაბუთებელია. უბედურ შემთხვევაზე პასუხისმგებლობა ქონების მესაკუთრეს – სამინისტროს უნდა დაჰკისრებოდა;

12.1.6. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სრულად იყო გასაჩივრებული, მათ შორის, არასათანადო მოპასუხედ მიჩნევის ნაწილშიც, რომელზეც სასამართლო საერთოდ არ მსჯელობს;

12.1.7. კასატორის მტკიცებით, საქმის მიერძოებულად გადაწყვეტილების ის გარემოება, რომ მოპასუხე ნაგებობისათვის ელექტროენერგიის მიწოდების გამო იქნა მიჩნეული მის მფლობელად. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ტენდენციურად და არასამართლიანად გადაწყვეტის გამო დაირღვა არა მხოლოდ შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, არამედ – „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. მოცემულ შემთხვევაში, როცა სასამართლო შეგნებულად უვლის გვერდს საქმეში ჩართული მესამე მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხს, რაც სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არასამართლიანად გადაწყვეტის განცდას ქმნის;

12.1.8. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული, რომ მოპასუხეს ჩადენილი აქვს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, შესაბამისად, გამოვლენილი არაა არც მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და ქმედებას შორის, რაც ასევე გამორიცხავს მოპასუხის ბრალს. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ოთხი ელემენტიდან არ არსებობს პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი სამი ელემენტი; სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ სსკ-ის მე-1000 მუხლი ადგენს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას, იურიდიულად დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება დელიქტური ვალდებულების სამართლებრივ პრინციპებს. სსკ-ის მიხედვით, თუ სახეზე არ არის მართლწინააღმდეგობა და ბრალი, ასეთ შემთხვევაში არც დელიქტური ვალდებულების დაკისრების წინაპირობა არსებობს. განსახილველ შემთხვევაში საუ-

ბარია ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხის რეალიზების შემთხვევაზე, რაც წარმოუდგენელია მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედების გარეშე დადგეს;

12.1.9. სსკ-ის მე-1000 მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა წარმობიდან გამომდინარე საფრთხის პრაქტიკული განხორციელების შემთხვევაში ეკისრება მომეტებული საფრთხის შემცველი წაგებობის მფლობელს. წაგებობის მფლობელი კი ვალდებულია საათანადო კონტროლის დაწესებით გამორიცხოს საფრთხის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა. სატრანსფორმატორო ქვესადგურები სრულად ექვემდებარება ადამიანის კონტროლს, თუ სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვება ნეგატიური შედეგი, ეს ნებისმიერ შემთხვევაში სულ მცირე გაუფრთხილებელი მოქმედების გამო იქნება განპირობებული. თავისთავად საფრთხის დადგომა გამორიცხულია;

12.1.10. მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია არა სატრანსფორმატორო ქვესადგურისათვის ელექტროენერგიის მიწოდებით, არამედ – ს/ქვესადგურის მოვლა-პატრონობის და ექსპლუატაციის წესების დარღვევით, რაზეც პასუხისმგებლობა მოპასუხეს არასოდეს უკისრია. ამგვარი ვალდებულება მოპასუხეს არც ელექტროენერგეტიკაში მოქმედი სამართლებრივი აქტებით არ ჰქონია დაკისრებული. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში დანიშნული ექსპერტიზა ერთმნიშვნელოვნად ვერ უთითებს, რომ მოპასუხეს ევალებოდა კერძო საკუთრებაში არსებული სატრანსფორმატორო ქვესადგურის უსაფრთხო ექსპლუატაცია. უფრო კატეგორიული და დასაბუთებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 15.02.2016 წელს მომზადებული საინჟინრო-ტექნიკური დასკვნა, რომლის მიხედვით დეტალურადაა გაანალიზებული საქმეზე არსებული ყველა ნიუანსი, რომლითაც გამორიცხულია მოპასუხის პასუხისმგებლობა სააბონენტო სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან გამომდინარე საფრთხეებზე;

12.1.11. იურიდიულად დაუსაბუთებელია სასამართლოს პოზიცია მოპასუხის სატრანსფორმატორო ქვესადგურის მფლობელად მიჩნევის თაობაზე. მოპასუხის, როგორც ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის მფლობელის მიერ ამა თუ იმ ნაგებობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება არ შეიძლება სამართლებრივად განიმარტოს, როგორც ამ ნაგებობაზე უფლების წარმომშობი გარემოება. სასამართლოს მსჯელობის თანახმად თუ ნაგებობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება მის ექსპლუატაციას, მისით სარგებლობას გულისხმობს, მაშინ მოპასუხე ყველა იმ ნაგებობაზე, რომელსაც ელ. ენერგია მიეწოდება, გარკვეული უფლებების მქონედ

უნდა მივიჩნიოთ. სასამართლომ ერთმანეთისაგან ვერ გამიჯნა, რომ შენობა-ნაგებობა და მასში წარმოქმული, მოთავსებული თუ მიწოდებული ენერგია ცალ-ცალკე უფლების მატარებელი ობიექტებია. მოპასუხე სატრანსფორმატორო ქვესადგურისათვის მხოლოდ ელ. ენერგიის მიზნოდების გამო იქნა მიჩნეული ნაგებობის პირდაპირ მფლობელად, თუმცა სსკ-ის 155-ე მუხლით გათვალისწინებული მფლობელობის არცერთი ელემენტი სახეზე არ ყოფილა. უზენაესი სასამართლოს განჩინებაში და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული მსჯელობა არ ემყარება საქმის მასალების ობიექტურ შეფასებას და დაფუძნებულია კანონის ნორმის, სსკ-ის 155-ე მუხლის არასწორ განმარტებაზე;

12.1.12. არასწორია სასამართლოს მოსაზრება მოპასუხის სატრანსფორმატორო ქვესადგურის მფლობელად მიჩნევის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე, როგორც ენერგოგამანაწილებელი სუბიექტი, ანარმობდა ელენერგიის მიწოდებას. დადგენილი ფაქტია, რომ ცენტრალური გამანანილებელი პუნქტი „ფონიჭალიდან“ გამომავალი №11 ფიდერიდან ელექტროენერგია კერძო სამართლის სუბიექტების ელ. ქსელში მიწოდებულად ითვლებოდა, შესაბამისად, იგი მოპასუხის მიერ რეალიზებული პროდუქტი იყო, რომლის უსაფრთხო მოხმარებაზე პასუხისმგებელი თავად მომხმარებლები იყვნენ;

12.1.13. იურიდიულად დაუსაბუთებელია პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებს გადაწყვეტილებები მოპასუხისათვის დაკისრებული ხარჯების ნაწილში. დადგენილი გარემობაა, რომ 2005 წლის ნოემბრიდან მოსარჩელეს სადლელამისო მომვლელის დაქირავებული მომსახურებით არ უსარგებლია, მას მშობლები უვლიდნენ, რომლითაც ისედაც აკისრიათ არასრულწლოვანი შვილების მოვლის ვალდებულება სსკ-ის 1212-ე მუხლის თანახმად. ხარჯის განევის წერილობითი მტკიცებულება წარდგენილი არ ყოფილა. აღნიშნული ხარჯის განევა წარსულ პერიოდზე მოსარჩელეს უკვე აღარ შეუძლია. მოსარჩელეს არც იმის მტკიცებულება წარუდგენია, რომ დედის დაუსაქმებლობის მიზეზი მისი მოვლა გახდა და რომ იგი აუცილებლად დასაქმებული იქნებოდა, ეს შემთხვევა რომ არ დამდგარიყო;

12.1.14. სარჩელის მიხედვით მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხეებს სოლიდარულად დაპკისრებოდათ 2012 წლის იანვრიდან სამის-დღეშით რჩენა ულუფის ლირებულების გადახდით, „საქსტატის“ მიერ დადგენილი საარსებო მინიმუმის ოდენობით, რაც მის მიერ წარმოდგენილი საქსტატის წერილობითი დოკუმენტის თანახმად 166 ლარს არ აღემატებოდა. სასამართლომ კი მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიური ულუფის სახით დაქირავებით დასაქმე-

ბულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ანაზღაურების ვალდებულება დაგვაკისრა, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნა. მოსარჩელეს მიეკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე იგი მოითხოვდა, რისი უფლებაც სასამართლოს არ ჰქონდა;

12.1.15. მეორე კასატორი შუამდგომლობს საქმის არსებითად განსახილველად გადაცემას საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის სსსკ-ის 391¹-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდნ მისი მტკიცებით, საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას (იხ. საკასაციო საჩივარი).

13. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელისა (დაზარალებულის) და მოპასუხის (პირველი სანარმოს) საკასაციო განაცხადები დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ /საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის/ და „გ“ /სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა და საქმის განხილვის შედეგზე/ ქვეპუნქტის საფუძველზე არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების სამართლებრივი საფუძვლიანობის არსებითად განხილვის ეტაპზე შემოწმებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, დაზარალებულის (პირველი კასატორის) საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ საფუძვლიანია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პირველი სანარმოს (მეორე კასატორის) საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე მისი დაუსაბუთებლობის მოტივით.

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონტებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

14.1. საკასაციო სასამართლოს შეფასებით პირველი კასატორის პრეტენზიათა ნაწილი დასაბუთებულია, ხოლო მეორე კასატორის საჩივარი უსაფუძვლოა, შესაბამისად, სასამართლო თითოეული საკასაციო საჩივრის პრეტენზიების არსებითად განხილვის საფუძვლზე იმსჯელებს დაზარალებულის სარჩელის ნაწილობრივ დაკამაყოფილებისა და მოპასუხის მოთხოვნის უარყოფის არგუმენტებზე.

14.2. უნინარესად, საკასაციო სასამართლო განმარტავს მეორე კასატორის (საწარმოს) შუამდგომლობის – უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის საქმის განსახილველად გადაცემის შესახებ (იხ. 24.1.15 ქვეპუნქტი) – უარყოფის სამართლებრივ საფუძველს. სსსკ-ის 391¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ: а) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას). დასახელებული ნორმით განსაზღვრულია იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, როდესაც საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია მის წარმოებაში არსებული საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი შუამდგომლობა ეფუძნება დასახელებული ნორმის „ა“ ქვეპუნქტს. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შუამდგომლობას, რომ განსახილველი საქმე, თავისი შინაარსით, იშვიათ სამართლებრივ პრობლემას ეხება, რადგან მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მას მაღალი ძაბვის ელექტროსადგურის მიტოვებულ შენობაში (რომელიც დანგრეული /ჩამოქცეული/ იყო და არასრულნლოვანი მოსარჩელე, სხვა ბავშვებთან ერთად სათამაშოდ შევიდა) მიადგა იმგვარი თერმული დაზიანებები, რის გამოც დაზარალებულს ჩაუტარდა ორივე ხელის ამპუტაცია, 2/3-ზე მეტი ნიშნით დაკარგა შრომისუნარიანობა. დაზარალებულმა მოითხოვა მკურნალობის ხარჯები, სამომავლო მკურნალობის, მომვლელის მუდმივი მომსახურების, პროტეზირების, რომლის გამოცვლა პერიოდულად იქნება საჭირო, ხარჯების ანაზღაურება და სულიერი და ფიზიკური ტანჯვის გამო განცდილი მორალური ზიანის კომპენსაცია. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ იმსჯელა და ერთმანეთისაგან გამიჯნა დელიქტური პასუხისმგებლობის ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა. მოსარჩელის მოთხოვნის დასაბუთებულობას მეორე

კასატორი უარყოფს იმის გამო, რომ ის არასათანადო მოპასუხეა, არ არის იმ ქვესადგურის (ნაგებობის) მესაკუთრე ან მფლობელი, საიდანაც გამომდინარეობს პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის.

14.2.1. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 391¹ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ საქმის საკასაციო წესით განმხილველი კოლეგიური შემადგენლობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, რაც მოტივირებულ განჩინებაში უნდა აისახოს, და საქმე განსახილველად გადასცეს საკასაციო სასამართლოს დიდ პალატას. ცხადია, აღნიშნული დანაწესი არ უკრძალავს მხარეებს, რომ დააყენონ შუამდგომლობა ამ ნორმაზე მითითებით, თუმცა, ამგვარი შუამდგომლობა არ ავალდებულებს საკასაციო სასამართლოს, რომ გაიზიაროს მხარის მოსაზრება, თუ რომელი საფუძვლით უნდა გადაეცეს საქმე განსახილველად დიდ პალატას ან უნდა გადასცეს თუ არა საქმე, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილების მიმღები, როგორც უკვე აღინიშნა, საკასაციო საქმის განმხილველი კოლეგიური შემადგენლობაა. შესაბამისად, პროცესუალურსამართლებრივი წინაპირობებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საქმის განხილვისას არ მისულა იმგვარ დასკვნამდე, რომ განსახილველი საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის კანონით დადგენილი საფუძველი არსებობს (იხ. 14.2 ქვეპუნქტი);

14.2.2. განსახილველ საქმესთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების შესახებ საკასაციო სასამართლო იმსჯელებს თითოეული კასატორის პრეტენზიის განხილვისა და დასაბუთების კონტექსტში. ამდენად, მეორე კასატორის შუამდგომლობა, სსსკ-ის 391¹ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმის საკასაციო სასამართლოს დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

15. პირველი კასატორის პრეტენზიების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ შსჯელობისას, უწინარესად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ კასატორი ახალი გადაწყვეტილების მიღებით (იხ. 12.1-12.1.5 ქვეპუნქტები) ითხოვს პროტეზების ცვეთის ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, მათი აღდგენის ან შეცვლის პერიოდულად წარმოშობადი ვალდებულების ანუ გასაწევი მატერიალური ხარჯებისა და განცდილი მორალური ზიანის (3 300 000 ლარის ოდენობით) კომპენსაციას, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის დაკისრებული 100 000 ლარიანი კომპენსაცია არ არის მოსარჩელის მიერ განცდილი სულიერი და მორალური ტანჯვის ადეკვატური (იხ.

12.1.1-12/1/3 ქვეპუნქტები).

16. მორალური ზიანის განმარტება შემოთავაზებულია ქვემ-დგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებში, ამას-თან, საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაში და დოქტრინაშიც გან-მარტებულია, რომ მორალური ზიანის ერთ-ერთი მახასიათებელი თვისებაა ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროზე ნეგატიური ზემოქმედება, რაც ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში გამოიხატება.

17. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის მოთხოვნის ფარ-გლებში, შესაფასებელია ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მო-ჰასუხისათვის დაკისრებული მორალური ზიანის საკომპენსა-ციო თანხის ოდენობის მართებულობა და პროთეზირების, რაც დაზარალებულის ფიზიკურად ზრდის (ასაკის მატების) ბუნებ-რივი პროცესისა და პროთეზის ცვეთის გათვალისწინებით, პე-რიოდულად საჭიროებს შეცვლას, აღდგენას, მომავალში გასა-ნევი მატერიალური ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნის დასაბუთებულობა;

17.1. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩევლის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაე-კისრა მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 100 000 ლარი, რაც რო-გორც სააპელაციო წესით, ისე საკასაციო საჩივრითაც სადაც გა-ხადა დაზარალებულმა მისი ოდენობის სიმცირის გამო და ამ ნა-ნილში, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე ითხოვს ახალი გა-დაწყვეტილების მიღებას და სარჩევლის დაკმაყოფილებას, კერძოდ, მორალური ზიანის სახით 3 300 000 ლარის დაკისრებას მოპასუხე სანარმოსათვის (იხ. ამ გადაწყვეტილების 3.7, 5.4, 6.8.1-6.8.2, 6.10, 7.1.2, 12.1, 12.1.1-12.1.3 ქვეპუნქტები).

17.2. საკასაციო სასამართლოს ნაწილობრივ დასაბუთებულად მიაჩინია პირველი კასატორის (დაზარალებულის) საკასაციო პრე-ტეზია მის სასარგებლოდ დაკისრებული მორალური ზიანის სა-კომპენსაციო თანხის სიმცირის ნაწილში; მოსარჩევლის მიერ თერ-მული დაზიანების შედეგად განცდილი ფიზიკური და სულიერი ტკი-ვილი, როგორც დაზიანების დროს, ისე, შემდეგ, ოპერაციისა და მკურნალობის განევამდე და თვით ოპერაციის ჩატარების შემდე-გაც, როდესაც დაზარალებულს ორივე ხელი ამპუტირებული აქვს, დაკარგული აქვს შრომის უნარი, დამოუკიდებლად საკუთარ თავ-ზე მზრუნველობა და ყოფითი საკითხების, სხვადასხვა მოთხოვ-ნილებების დაკმაყოფილება უჭირს სხვისი დახმარების გარეშე, ბუნებრივია, რომ მას წარმოუშობს არა მხოლოდ უბედური შეგ-თხვევის დროს, დაზარალებულის არასრულწლოვანებისას, არამედ – შემდეგ პერიოდში განცდილი ფიზიკური და სულიერი ტკივილისა

და ტანჯვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, რაც, ცხადია, რთული წარმოსადგენია, რომ ფულადი თანხით იმგვარად განისაზღვროს, რომ სამართლიანად და განცდილი მორალური ზანის (რომელიც როგორც უშუალოდ ზიანის მიყენების დროს განცდილი ემოციური და ფიზიკური ტანჯვისა და ტკივილის, ისე – დაზიანების შემდეგ, ასევე, ოპერაციის შემდეგ, არა მხოლოდ პოსტოპერაციული თანმდევი შესაძლო გართულებების მაქსიმალურად მაკომპენსირებელი, არამედ – დამდგარი მძიმე შედეგის მიხედვით) ადეკვატურ კომპენსაციად იქნეს მიჩნეული. თუმცა, შესაძლო საკომპენსაციო თანხის განსაზღვროსას, საკასაციო სასამართლო, უწინარესად, ყურადღებას გაამახვილებს უმეთვალყურეოდ მიტოვებული და ჩამოქცეული ნაგებობიდან მომდინარე მომეტებული საფრთხის წყაროთ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის სიმძიმესა და ხასიათზე და მისი წარუხოცელი სახით მოსარჩელის არა მხოლოდ ფიზიკურ ნაკლად დარჩენაზე, არამედ – იმ ფიზიკურ ტანჯვასა და ტკივილზე, სულიერ განცდებზე, რაც დაზარალებულმა უნდა განიცადოს პრაქტიკულად მუდმივად, მისი ცხოვრების ბოლომდე, თუნდაც პროთეზირების შემთხვევაში, იმგვარი შეზღუდვების სახით, რაც გამოწვეულია თერმული დაზიანებითა და მისი ნაკვალევის, როგორც ფიზიკური ნაკლოვანების, ისე, ემოციური ტანჯვისა და სიმძიმის წარუშლებად დარჩებით;

17.3. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ სასამართლო პრაქტიკით ჯერ კიდევ 2003 წელს, მსგავსი კატეგორიის საქმეზე გონივრულად და სამართლიანად იქნა მიჩნეული არაქონებრივი ზიანის სახით განსაზღვრული თანხა 100 000 აშშ დოლარის /რაც იმ დროისათვის წლის დასაწყისში, დაახლოებით 1 აშშ დოლარი 2.18 ლარს შეადგენდა 2003 წლის იანვარში, ხოლო იმავე წლის ბოლოს – დეკმბერში 1 აშშ დოლარი 2.07 ლარს შეადგენდა/ ეკვივალენტი ლარში, რაც შეფასდა 9 წლის ბავშვისათვის თერმული დაზიანებით დამდგარი შედეგით: დამწერობამ მოიცვა სხეულის 25%, გამოიწვია მარჯვენა კიდურის ამპუტაცია (ამავე კიდურის რეამპუტაცია გარდაუვალია), მრავალი პლასტიკური ოპერაცია, რამაც გამოიწვია ნეგატიური ფსიქიკური ცვლილებები (შიში, არასრულფასოვნების კომპლექსი და სხვ.) – იხ. სუსგ №ას-43-745-03, 22.10.2003;:

17.4. განსახილველ შემთხვევაში, დაზარალებულისათვის თერმული დაზიანების შედეგად დამდგარი ფიზიკური შედეგის, განცდილი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სულიერი ტრავმის, მისი მუდმივი ხასიათისა და თანმდევი შედეგების გათვალისწინებით (პროთეზირების გარეშე, რაც დამოკიდებულია ინდივიდუალურ შეფასებაზე თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, დამოუკიდებლად

პირადი საჭიროებების დაკმაყოფილების შეუძლებლობის, საზოგადო ცხოვრებაში ინტეგრაციის შესაძლო პრობლემების, მათ შორის, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვის სირთულეების), ამასთან, იმ დათქმით, რომ მატერიალურად ვერ მოხდება დაზარალებულის მიერ განცდილი ზიანისა და ტკივილის ადეკვატური კომპენსაცია, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ კასატორის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა იქნეს გაზიარებული და, მის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის უკვე დაკისრებული 100 000 (ასი ათასი) ლარის გარდა, ამ უკანასკნელს დაზარალებულის მორალური ზიანის საკომპენსაციოდ, უნდა დაეკისროს დამატებით 200 000 (ორასი ათასი) ლარის გადახდა; საბოლოოდ კასატორის მიერ, მორალური ზიანის კომპენსაციის სახით, მოთხოვნილი 3 300 000 ლარიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის სასარგებლოდ უკვე დაკისრებული 100 000 / ასი ათასი / ლარის გარდა (რაც უცვლელად დარჩა საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით), საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, კიდევ 200 000 / ორასი ათასი / ლარის მოპასუხისათვის დაკისრებით, მოსარჩელემ ნაწილობრივ დაიკმაყოფილა მოთხოვნა მორალური ზიანის მიუუთვნების ნაწილში და 3 300 000 ლარიდან მის სასარგებლოდ საწარმოს, საერთო ჯამში, დაეკისრა 300 000 / სამასი ათასი / ლარი (საიდანაც 200 000 ლარის ნაწილში, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, მოსარჩელემ ნაწილობრივ მიაღწია წარმატებას). კასატორის სასარჩელო მოთხოვნა 3 000 000 / სამი მილიონი / ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში უარყოფილია, შესაბამისად, ამ ნაწილში საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

18. კასატორის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პროთეზების ცვეთის ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, მათი აღდგენის ან შეცვლის საჭიროებას, რაც, როგორც თვითონ კასატორი მართებულად უთითებს, პერიოდულად წარმოშობადი ვალდებულებაა მოპასუხე საწარმოსათვის, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ დაზარალებული უფლებამოსილია შესაბამისი გაანგარიშება პერიოდულად (მისი საჭიროებიდან გამომდინარე) წარუდგინოს მოვალეს (მოპასუხე საწარმოს), რაც ამ უკანასკნელს წარმოშობს ვალდებულებას, სრულად აუნაზღაუროს პირველ კასატორს მის მიერ განეული პროთეზირების, მისი ცვეთის ან მწყობრიდან გამოსვლის, ან პროთეზების აღდგენის ან შეცვლის საჭიროების გამო განეული ხარჯები. მოვალის (მოპასუხე საწარმოს, მეორე კასატორის) აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს იმ დელიქტური პასუხისმგებლობიდან, რომლის გამოც ჯერ კიდევ მოზარდობის პერიოდში ფიზიკური დანაკარგი-კიდურების ამპუ-

ტაციის სახით და მორალურ-ფსიქოლოგიური ტანჯვა განიცადა და-ზარალებულმა, რაც მისთვის მიყენებული დაზიანებების ფიზიკუ-რად გამოხატული სახისა და ემოციურად (ფსიქოლოგიურად) მუდ-მივად გადასალახი დაბრკოლებებიდან გამომდინარე, ყოველ კონ-კრეტულ შემთხვევაში და პერიოდულად წარმოუშობს პირველ კა-სატორს (დაზარალებულს) ზემოხსენებულ ნაწილში მოთხოვნის უფლებას, რაც შესაბამისად – მოვალეს (მეორე კასატორს) წარმო-უშობს ვალდებულებას დააკმაყოფილოს დაზარალებულის კანო-ნიერი მოთხოვნა და ინტერესი. ამ შემთხვევაში პირველი კასატო-რის მოთხოვნის ამ ნაწილში, რომელიც, როგორც თვითონვე უთი-თებს, პერიოდულად წარმოშობადი საჭიროებაა და ამ ეტაპზე არაა გამოხატული კონკრეტული მონეტარული სახით, საკასაციო სასა-მართლოს აღნიშნული მსჯელობა და დასკვნები, ვერ იქნება ასა-ხული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

19. მეორე კასატორის პრეტენზიების უარყოფისას საკასა-ციო სასამართლო საკვებით იზიარებს სააპელაციო სასამარ-თლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომელიც ასახულია მის გა-დაწყვეტილებაში (იხ. ამ გადაწყვეტილების 10.6.-10.7 ქვეპუნ-ქტები) საკასაციო სასამართლოს სამართლებრივად სავალდე-ბულო მითითების ფარგლებში (სსსკ-ის 412-ე მუხლი; იხ. ამ გა-დაწყვეტილების 10.1-10.2.4). მეორე კასატორის საკასაციო გა-ნაცხადის უარყოფისას, სწორედ ამ დასკვნებზე მიუთითებს სა-კასაციო სასამართლო და განმარტავს, რომ კერძოსამართლებ-რივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა სამოქალაქო კოდექ-სის ფარგლებში წყდება.

19.1. საკასაციო სასამართლომ განმარტა: „მფლობელობა არ შე-იძლება გაიზომოს ნივთათან სივრცობრივი კავშირურთიერთობით. მფლობელობა ფაქტია და იგი გამიჯნულია საკუთრებასთან. მფლო-ბელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე არამესაკუთრეც, ან ორივე ერთად. მფლობელობაში შეიძლება იგულისხმებოდეს რო-გორც სანივთო, ისე სხვა უფლებებიც, მათ შორის, ნივთის გამოყე-ნების უფლებაც. მოცემულ შემთხვევაში, როცა სს „თ.-ი“ მის კუთ-ვნილ პროდუქციას, ელექტროდენს, მიანიდებდა შპს „გ.-ის“ სა-კუთრებაში არსებულ ქვესადგურს და ახდენდა ამ ქვესადგურის გამოყენებას, ფაქტობრივად იგი იყო ამ ქვესადგურზე გარკვეული უფლების მატარებელიც“. „მფლობელობის მიმართ გამოიყენება ორი სხვადასხვა დონის მფლობელობა: პირდაპირი და არაპირდა-პირი. ნივთი შეიძლება ან მარტო პირდაპირი მფლობელის ბატონო-ბაში იმყოფებოდეს, ანდა იმავდროულად არაპირდაპირი მფლობე-ლის ბატონობის ქვეშაც. თუ ნივთის მფლობელობა სამართლებრი-ვი ურთიერთობის საფუძველზე ხდება (სანივთო, ვალდებულები-

თი), ამ ურთიერთობაში მესაკუთრე წარმოადგენს არაპირდაპირ მფლობელს, ხოლო ის, ვინც გამოიყენებს ამ ნივთს, პირდაპირ მფლობელს. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე აწვდიდა რა ელე-ნერგიას ქვესადგურს და იყენებდა ამ ნაგებობას თავისი პროდუქ-ციის სარეალიზაციოდ, იგი მისი პირდაპირი მფლობელი იყო, ხოლო მითითებული ქვესადგური იყო რა შპს „გ.-ის“ საკუთრება, მიუხე-დავად იმისა, რომ იგი უმეთვალყურეოდ პქონდა მიტოვებული, ამ ქვესადგურის არაპირდაპირი მფლობელი იყო“ (იხ. სუსგ, საქმე №3/571-01, 8.08.20016.).

19.3. ამდენად, მეორე კასატორის მტკიცება, რომ სააპელაციო სასამართლოს დავის განხილვისა და გადაწყვეტისას უნდა გამოე-ყენებინა ელექტროენერგეტიკაში მოქმედი წესები, ხოლო გასა-ჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ სსკ-ის მე-1000 მუხ-ლი ადგენს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას, იურიდიულად და-უსაბუთებელია და ენინაალმდეგება დელიქტური ვალდებულების სამართლებრივ პრინციპებს, არ გამომდინარეობს კანონიდან და არც – სასამართლო პრაქტიკიდან. სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლი, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პა-სუხისმგებლობის წესს ამკვიდრებს და, განსხვავებით დელიქტუ-რი ვალდებულების ზოგადი დანაწესისაგან, ბრალის მიუხედავად, ადგენს ზიახის ანაზღაურების ვალდებულებას, თუკი მომეტებუ-ლი საფრთხის წყაროს ექსპლუატაციას შედეგად მოჰყვა პირის ან ნივთის დაზიანება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მე-1000 მუხლის დანაწესით კანონმდებელი გულისხმობს ისეთ ნაგე-ბობას, რომელიც მასში წარმოებული, მოთავსებებული ან მიწოდე-ბული ენერგიის, თუ მომწამვლელი ნივთიერების გამო მომეტებუ-ლი საფრთხის წყაროს წარმოადგენს (იხ. სუსგ-ები №ას-850-1064-08, 27.04.2009წ; №ას-413-399-2011, 02.06.2011წ; №ას-88-84-2014, 07.07.2014წ; №ას-456-435-2015, 30.10.2015წ; №ას-1287-1208-2015წ; №ას-217-207, 2016წ; №ას-485-466-2016, 16.09.2016წ; №ას-646-617-2016, 30.09.2016წ).

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლე-ბათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტი-ლება, რაც არ უნდა იქნეს გაებული თითოეულ არგუმენტზე დე-ტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღ-მდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81; Hirvisaari v. Finland, §32).

21. მეორე კასატორს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ და-ეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარის გა-

დახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:

1. სს „თ-ის“ შუამდგომლობა საქმის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის, გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. ა. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმისა და სახელმწიფო ბაჟის განანილების ნაწილში და ამ ნაწილში, მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

5. ა. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

6. ა. დ-ის სასარგებლოდ, სს „თ-ს“ დაეკისროს მორალური ზიანის 200 000 (ორასი ათასი) ლარის გადახდა;

7. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

8. ა. დ-ი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;

9. სს „თ-ის“ მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს ბიუჯეტში;

10. სს „თ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს პირველი, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის, 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარის გადახდა;

11. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

12. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხადაზღულობის ვადა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხადაზღულობის ვადა

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-758-719-2013

5 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

1. 2001 წლის 6 თებერვალს დაფუძნებული შპს „რ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც კომპანია, საწარმო, მოსარჩევე, აპელაცი) 35%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია ა. გ. მ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, კასატორი), ხოლო 65%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი იყო მ. ს-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც დამფუძნებელი პარტნიორი, დირექტორი), რომელიც სასამართლოში დავის მიმდინარეობისას (2012 წლის 27 ივნისს) გარდაიცვალა. გარდაცვლილის დანაშთი ქონების (სამკვიდროს) მმართველად დაინიშნა ნ. ქ-ძე, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად – ლ. ს-ი.

2. 2001 წლის ოქტომბერში მოპასუხებ მოსარჩელისათვის შეიძინა კომპანია „გ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ტურბინა-გენერატორების მწარმოებელი ან მიმწოდებელი კომპანია) მიერ დამზადებული ავსტრიული „ფ-ის“ ტიპის ორი 255.00 კვ.ტ. სიმძლავრის ტურბინა-გენერატორი მართვის ავტომატიზებულ სისტემასთან ერთად.

3. მოსარჩელესა და სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას“ შორის 2006 წლის 22 მარტს გაფორმდა ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულება, რაც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

(სემეკმა), 2006 წლის №13/1 გადაწყვეტილებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაამტკიცა.

4. მოსარჩელე, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ 30.08.2006 წლის №77 ბრძანების შესაბამისად, 2008 წლის 21 აპრილიდან საბითუმო ვაჭრობაში დარეგისტრირდა.

5. 2009 წლის 21 დეკემბერს სანარმოს პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, 2009 წლის 18-19 ნოემბერს ჰესი ამუშავდა და ელექტროენერგიის გაყიდვა დაიწყო.

6. 2012 წლის 14 მაისს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის, როგორც კომპანიის პარტნიორისათვის, შემდეგი თანხების დაკისრება მოსარჩელის სასარგებლოდ: ა) 2008 წლის პირველი მაისიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე უკანონო ქმედებებით მიყენებული ზიანის – 525 987 ლარის, მათ შორის, 2008 წლის პირველი მაისიდან 2010 წლის პირველ იანვრამდე მისაღები მოგების თანხის – 276 514 ლარის, ბ) 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში მისაღები მოგების თანხის – 101 098 ლარის დაკისრება, გ) დაუგეგმავი საბანკო კრედიტის – 110 000 ლარისა და კრედიტის სარგებლობისათვის პროცენტის – 38 375 ლარის დაკისრება.

7. მოსარჩელის განმარტებით, კომპანია, თავისი უძრავი ქონებითა და კაპიტალით, ფაქტობრივად შექმნილია დამფუძნებელი პარტნიორის მიერ. მოპასუხებ სანარმოს მხოლოდ ორი ტურბინა-გენერატორი მიაწოდა. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხე ძირითად პარტნიორს შეგნებულად უშლიდა ხელს წარმოების ამუშავებაში, კერძოდ, მან ხსენებული ტურბინების გასაშვებად აუცილებელი ნახაზები და ელექტროსამართავი მოწყობილობები სანარმოს არ გადასცა. მოპასუხის მიერ ჰესის მართვის კოდირებული გასაღებისა და ელექტრონული ვერსიის სამართავი პულტის მიტაცების გამო წარმოება ვერ მუშაობდა, ამიტომ არხი ილექებოდა, სხვა ტექნიკურ საშუალებები მწყობრიდან გამოდიოდა, მძიმდებოდა სანარმოს ფინანსური მდგომარეობა. ამის შედეგად, პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, სანარმოს ემუშავა სხვა მიმართულებით, არაკონდირებულ სისტემაზე გადასასვლელად, რაც შესაძლებელს გახდიდა მოპასუხის სუბექტური ხელისშემსრულებლი ფაქტორის დაძლევას. კომპანიის დამფუძნებელმა პარტნიორმა მოპასუხის მონანილეობის გარეშე, საკუთარი ინიციატივით მიიღო გაუთვალისწინებელი დამატებითი სესხის აღების გადაწყვეტილება, ტურბინა-გენერატორების რემონტის, არხის განმეონდისა და მართვის ახალი სისტემის დამოწმუნებისათვის. ამდენად, მოსარჩელე მოითხოვდა მითითებული თანხებისა და მიუღებელი შემო-

სავლის სახით ზიანის ანაზღაურებას.

8. მოპასუხები სარჩელი არ ცნო. იგი არ დაეთანხმა სარჩელში მითითებულ არცერთ ფაქტობრივ გარემოებას. ამასთან, მხარემ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ გარემოებაზე, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც მიუთითა (30.08.2012 წლის სასამართლო სხდომის ოქტობრი).

9. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსახური გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 316.1, 317.1, 394.1, 128.1, 129.1, 130-ე მუხლები და დასკვნა შემდეგი:

9.1. მოსარჩელეს იმის დამადასტურებელი კანონით გათვალისწინებული დასაშვები მტკიცებულება, რომ მოპასუხეს კომპანიისათვის ტურბინების შექნის ვალდებულება ჰქონდა და ამის სანაცვლოდ მან კომპანიის 35%-იანი წილი მიიღო, არ წარმოუდგენია. არც სარჩელის წარდგენისას და არც საქმის არსებითად განხილვის დროს მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია მოპასუხის მოქმედებით საწარმოსათვის ზიანის მიყენების დამადასტურებელი მტკიცებულება. მოსარჩელემ ასევე ვერ დაადასტურა, რომ საწარმოს საკუთრებაში არსებული ტურბინა-გენერატორების ნახაზები და მათი ელექტროსამართავი მოწყობილობები მოპასუხეს ჰქონდა. მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები კი, სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ საფუძვლად ვერ გამოდგებოდა.

9.2. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სსიპ „ენერგოგენერაციის“ მიერ გაცემული „კომპანიის წარმოების საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ“ ცნობის თანახმად (2001 წლის 10 დეკემბრის მონაცემებით), ჰესში დამონტაჟებული აგრეგატები ყველა დამხმარე მოწყობილობებით დამზადებულია ავსტრიულ კომპანიაში 2001 წელს, ტექნიკურად გამართულია, მუშაობის სრული ავტომატიზაციით, სადგურის სრული მართვა და სასადგურო პარამეტრების ანათვლების მიღება შესაძლებელია დისტანციურად. სასამართლოს მითითებით, თვით მოსარჩელის მიერ წარდგენილი წერილობითი მტკიცებულებებითაც არ დასტურდებოდა გენერატორების დისტანციური მართვის მოწყობილობისა და ნახაზების მოპასუხესთან არსებობის ფაქტი. ამასთან, მოსარჩელე 2008 წლის 21 აპრილიდან ელენერგიის საბითუმო ვაჭრობაში დარეგისტრირდა. შესაბამისად, ტექნიკურად გაუმართავი ელექტროსადგური ვერ დარეგისტრირდებოდა და საბითუმო ვაჭრობაში ვერ ჩაერთვებოდა.

9.3. რაც შეეხებოდა მოსარჩელის მიერ წარდგენილ აუდიტორიულ დასკვნას, მართალია, მასში მითითებული იყო, რომ სრული სა-

ექსპლოატაციონ დატვირთვის შემთხვევაში მოსარჩევე 2008 წლის პირველი მაისიდან 2010 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში გამოიმუშავებდა 6816165 კვტ-სთ ელექტროენერგიას, ხოლო 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე პერიოდში 2647147.00 კვტ-საათს, მაგრამ დასკვნით არ დგინდებოდა აღნიშნულის მიზეზი და საფუძველი, მით უმეტეს – მოპასუხის ბრალეულობა.

9.4. სასამართლოს განმარტებით, მოვალის პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლებელია, დამდგარიყო მხოლოდ მის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას. მოცემულ შემთხვევაში კი, მოპასუხეს რაიმე სახის ვალდებულება არ დაურღვევია.

9.5. სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2008 წლის პირველი მაისიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე მიყენებულ ზიანს ეხებოდა. მოთხოვნის ნარმოშობის მომენტი იყო 2008 წლის პირველი მაისი, ხოლო სარჩელი სასამართლოს 2012 წლის 14 მაისს წარედგინა, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნებზე დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა გასული იყო.

10. პირველი ონსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციონ წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

10.1. სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილების უარის თქმის საფუძვლად დაეყრდნო სსიპ „ენერგოგენერაციის“ მიერ გაცემულ ცნობას, რომელიც გაცემულია 2001 წლის 10 დეკემბერს. სასამართლომ არ გამოიკვლია მომდევნო წლების მიხედვით ნარმოების საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა;

10.2. სასამართლომ ყოველგვარი არგუმენტების, ფაქტებისა და მტკიცებულებების გარეშე მიიჩნია, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო;

10.3. სასამართლომ არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ დამფუძნებელი პარტნიორის თავდაპირველი შენატანი იყო 100%, ხოლო მოპასუხის შენატანი მხოლოდ ორი ტურბინა-გენერატორი. სასამართლომ არ გამოიყენა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.3. მუხლი, რომლის შესაბამისად დადგინდებოდა, რომ მოპასუხეს საწარმოში შესატანის ვალდებულება დღესაც სრულად არ შეუსრულებია. შესაბამისად, არასწორია სასამართლოს შეფასება, რომ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ არ გააჩნდა არავითარი ვალდებულება.

10.4. სასამართლომ არ შეაფასა ის უდავო ფაქტი, რომ ტურბინა-გენერატორები მოსარჩელის საკუთრება იყო. მოპასუხემ კონკლუდენტური მოქმედებით, კერძოდ კი, ჰიდროელექტროსადგურისათვის გენერატორის მიწოდებით გამოხატა სადგურის ამუშავების ნება. შესაბამისად, ამით მან იკისრა ვალდებულება, მიეწოდებინა ყველა საჭირო საბუთი მისი ამუშავებისათვის. სასამართლომ არ გამოიკვლია ის გარემოებები და შეაფასა ის მტკიცებულებები, რითაც დასტურდებოდა, რომ მოპასუხე მოითხოვდა დამატებითი წილების გადაფორმებას, რის გამოც არ მიაწოდა თვითნებურად მიტაცებული საწარმოს ავტომატიზებული ელექტრონული მართვის სისტემის პულტი, სქემები, ტექნიკური ნახაზები და დოკუმენტაცია, რის შედეგადაც საწარმოს მიადგა ზიანი; სასამართლომ არ გამოიკვლია არც ის გარემოება, რომ საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიზანი ელექტროენერგიის გამომუშავება იყო, შესაბამისად, მოპასუხის მიერ გენერატორების გადაცემა განპირობებული იყო საწარმოს ძირითადი მიზნისათვის.

10.5. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ იმსჯელა, მონაწილეობდა თუ არა მოპასუხე, როგორც შუამავალი და დამფუძნებელი პარტნიორი ტურბინა-გენერატორების მწარმოებელ კომპანიასთან გარიგების დადებისას და არ დაადგინა, ნამდვილად თვითნებურად მიითვისა თუ არა მან ტურბინა-გენერატორების არსებითი შემადგენელი ნაწილები, ანუ მოქმედებდა თუ არა სხვისი დავალებით და, ასეთ ვითარებაში, შეიძლებოდა თუ არა ემუშავა ჰიდროელექტროსადგურს.

10.6. სასამართლომ არ იმსჯელა მოპასუხის მიერ საწარმოს სახელით არაგეგმიური კრედიტის აღების მიზანშეწონილებაზეც, იმაზე, თუ რამდენად აუცილებელი და საწარმოს ინტერესი იყო კრედიტის აღება და სარგებლის გადახდა, ხომ არ მოქმედებდა მოპასუხე ანგარებით.

10.7. აპელანტის მითითებით, სასამართლომ აუდიტორული დასკვნები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რადგანაც აუდიტორული, ბუღალტრული და სხვა დასკვნები, სააღრიცხვო მონაცემების საფუძველზე ადგენენ კონკრეტულ ფაქტებს, ხოლო ჰირის ბრალეულობის ხარისხის განსაზღვრა ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, სცილდება აუდიტორის უფლებამოსილებას.

10.8. აპელანტის მითითებით, სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული სპეციალისტების ჩვენებით დასტურდებოდა, რომ მათ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდათ საწარმოში არსებული გენერატორების მუშაობის, სიხშირისა და საწარმოო პარამეტრების დასადგენად და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ნახევრად ავტომატიზებული მართვის ახალი სისტემის შექმნა და

დამონტაჟება, რაც თავიდან იქნებოდა აცილებული, თუ მოპასუხე არ იმოქმედებდა საწარმოს ინტერესების საწინააღმდეგოდ ანგარებით.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

11.1. გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება;

11.2. დადგენილ იქნა მოპასუხისათვის თანხის დაკისრებისათვის ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა მოსარჩელის სასარგებლოდ;

11.3. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დასაკისრებელი თანხის ოდენობა განისაზღვრა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ;

12. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარეობდა და მოპასუხის ქმედებაში სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური პასუხისმგებლობის ყველა ნიშანი არსებობდა.

12.1. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის სადაც არ იყო მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის წყლის ორი ტურბინის გადაცემის ფაქტი. მოპასუხე განმარტავდა, რომ ეს ტურბინები მისი ინვესტიცია იყო საწარმოში. ვინაიდან მოსარჩელე მითითებული მოძრავი ნივთების მფლობელი იყო, ივარაუდებოდა, რომ მათი მესაკუთრეა.

12.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ ტურბინის ასამუშავებლად განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფა ე.წ. „გასაღები“ არ გადასცა მოსარჩელეს. აღნიშნულის დასადასტურებლად საქმეზე წარმოდგენილი იყო თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენებები, წერილობითი მტკიცებულებები – წერილები, რომელთაც მოპასუხემ საკუთარი ახსნა-განმარტების გარდა რაიმე კონკრეტული მტკიცებულება ვერ დაუპირისპირა. სასამართლოს მითითებით, გარემოება, რომ მოსარჩელე 2008 წლის 21 აპრილიდან რეგისტრირებული იყო საბითუმო ვაჭრობაში, ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ საწარმოს შეეძლო თავისი ნაწარმის – ელექტროენერგიის გაყიდვა, მაგრამ, ვინაიდან ტურბინები არ მუშაობდა, საწარმო ვერც ელექტროენერგიას ვერ ანარმოებდა და ვერც შემოსავალს ვერ იღებდა. ამრიგად, ტურბინებს ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად ესაჭიროებოდათ ამუშავება, ასამუშავებლად კი – სამართავი პულტი, რომელ

საც მოპასუხე არ გადასცემდა საწარმოს. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხემ საწარმოს ზიანი მიაყენა და მის ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი. შესაბამისად, მოპასუხეზე გადავიდა მტკიცების ტვირთი იმისა, რომ მისი ქმედება არ იყო მართლსაწინააღმდეგო და ბრალული. სასამართლოს მითითებით, საქმეში არ იყო წარდგენილი არცერთი მტკიცებულება, რომ მოპასუხეს არ მიუძღვოდა ბრალი მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებაში ან იგი მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებდა.

12.3. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით, რადგან იგი, როგორც მენარმე, აცნობიერებდა (ან უნდა გაეცნობიერებინა), რომ ტურბინების აუმჯშავებლობით საწარმო ნაწარმს ვერ შექმნიდა და, შესაბამისად, ვერც გაყიდდა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა ასეთ შედეგს.

12.4. მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა სსკ-ის 115-ე მუხლზე და განმარტა, რომ უფლების მარტოოდენ იმ მიზნით გამოყენებას, რომ სხვას მიადგეს ზიანი, უთანაბრდება ის ვითარებაც, როდესაც პირი უფლებას არ იყენებს მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას, როცა მისი უმოქმედობა მიზნად არ ისახავს უფლების განხორციელებისათვის აუცილებლობით ნაკარნახევი ინტერესის დაცვას. პალატამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევევაში, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობა გამოიხატა მოსარჩელისათვის ტურბინების სამართავი პროგრამული უზრუნველყოფის ე.წ. „გასაღების“ გადაუცემლობაში, რამაც გამოიწვია, საწარმოს არასათანადო ფუნქციონირების გამო, მისთვის ზიანის მიყენება.

12.5. რაც შეეხება მოპასუხის აპელირებას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 1008-ე მუხლით, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნის საგანი იყო არა სახელშეკრულები ზიანი, არამედ დელიქტიდან გამომდინარე ზიანი. სააპელაციო სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის ნაწილი, კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნები 2008 წლის პირველი მაისიდან 2009 წლის 14 მაისამდე (ანუ 13 მაისის ჩათვლით) ხანდაზმულად მიიჩნია, ხოლო სასარჩელო მოთხოვნაზე, რომელიც მოიცავდა დროის მონაკვეთს 2009 წლის 14 მაისიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე, მიუთითა, რომ არ იყო ხანდაზმული.

12.6. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიღო წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ, პირველ რიგში, უნდა დადგენილიყო, მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყე-

ნების შედეგად მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ფაქტობრივი საფუძვლები. მოსარჩეულები მიყენებული ზიანის ოდენობის დაანგარიშებისათვის წარადგინა მთელი რიგი აუდიტორული დასკვნები, სასამართლოს კუნდა შეეფასებინა მათში მოყვანილი მრავალი რიცხობრივი თუ ფაქტობრივი მაჩვენებელი, დაედგინა ხანდაზმული და არახანდაზმული მოთხოვნების მოცულობა, ენარმოებინა მრავალრიცხოვანი გაანგარიშებები, ამიტომ, სააპელაციო პალატამ მიიჩინა, რომ დასაკისრებელი თანხის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

13. სააპელაციო სასამართლოს წინასწარ გადაწყვეტილებაზე მოპასუხებ საკასაციო საჩივარი წარადგინა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად უარყოფა მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

13.1. კასატორის მითითებით, ერთი საფუძვლიდან გამომდინარე მოთხოვნა ვერ იქნება დროის პირველ მონაკვეთში ხანდაზმული, დროის მომდევნო მონაკვეთში კი, განხორციელებადი. კონკრეტული ქმედებისათვის მოპასუხეს ზიანის ანაზღაურება შეიძლებოდა, დაპირისრებოდა ან არა, როგორც 2008 წლის პირველი მაისიდან 2009 წლის 14 მაისამდე, ასევე, 2009 წლის 14 მაისიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე პერიოდისათვის. სარჩელიდან გამომდინარეობს, რომ მოპასუხეს საზოგადოებისათვის ზიანი უნდა მიეყენებინა 2008 წლის პირველ მაისამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუსაბუთებელია, 2008 წლის პირველი მაისიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. მოსარჩეულ სარჩელი 2012 წლის 8 მაისს წარადგინა, ე.ო. კანონით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

13.2. მოპასუხებ საზოგადოებას ტურბინები ყოველგვარი ვალდებულების გარეშე გადასცა. სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ, თუკი იგი საერთოდ არ გადასცემდა ტურბინა-გენერატორებს სანარმოს, მაშინ მას ზიანის ანაზღაურება საერთოდ არ დაეკისრებოდა. ამასთან, კასატორმა კომპანიას ისინი 2001 წელს გადასცა. სისპ „ენერგოგენერაციის“ მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ჰესში დამონტაჟებული აგრეგატები ტექნიკურად გამართულია, მუშაობს სრული ავტომატიზაციით, სადგურის სრული მართვა, სასადგურო პარამეტრების ანათვლების მიღება შესაძლებელია დისტანციურად. ამით მტკიცდება, რომ კასატორმა კომპანიას არა მხოლოდ გადასცა გენერატორები, არამედ უზრუნველყო მათი პროგრამული მუშაობაც. მოსარჩეულ კარულყოფს, რომ ისინი 2001 წელს უპრობლემოდ მუშაობდა. მართვის ტექნიკურ საშუალებათა გარეშე კი, შეუძლებელია ჰიდროელექტროსადგურის მუ-

შაობა, თუნდაც შეფერხებით. კასატორის მტკიცებით, მან სოლი-დური ინვესტიცია ჩადო კომპანიაში. ამ ქონებით საწარმო გამოი-მუშავებს ელექტროენერგიას და ენერგიას რეალიზაციას.

13.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხის დელიქტური ქმედება იმით გამოიხატა, რომ, მართალია, მან მოსარ-ჩელეს გადასცა ტურბინა-გენერატორები, მაგრამ არ გადასცა მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნახაზები, სამართვი ჰულტი. კასატორის განმარტებით, შპს-ს პარტნიორი არ არის ვალდებული, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში. მას არ ევალება, საზოგადოებას გადასცეს რაიმე ქონება, თუნდაც საზოგადოების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ქონება, თუკი ასეთი ქმედე-ბა გარიგებით არ ევალება. მოპასუხეს ზიანის ანაზღაურება დაე-კისრა ისეთი ქმედებისათვის, რაც მას, თვით სასამართლოს პოზი-ციიდან გამომდინარე არ ევალებოდა. მითითებული გარემოება გა-მორიცხავს კასატორის ქმედების დელიქტად მიჩნევას, რამდენა-დაც დელიქტური ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო.

13.4. სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, მოპასუხე მოსარ-ჩელეს ე.წ. გასაღებს არ გადასცემდა იმ მიზნით, რომ გამხდარიყო დომინანტი პარტნიორი. შესაბამისად, მისი ქმედება მიმართული იყო კონკრეტული მიზნის მისაღწევად – საზოგადოების წილის მო-საპავებლად და არა მარტო დენ იმ მიზნით, რომ სხვას მისდგო-მოდა ზიანი. სასამართლოს განმარტებით, მოპასუხის დელიქტუ-რი ქმედება უმოქმედობაში გამოიხატა, ანუ მას რაიმე უფლებით არ უსარგებლია, ეს კი გამორიცხავს სსკ-ის 115-ე მუხლის გამოყე-ნების წინაპირობების არსებობას. გასაჩივრებული გადაწყვეტილე-ბის თანახმად, მოპასუხის გამოუყენებელი უფლება ისაა, რომ მან არ უზრუნველყო საზოგადოებისათვის მის მიერვე გადაცემული ორი ტურბინის მუშაობის პროგრამული უზრუნველყოფა. ამდენად, მოპასუხებ არ გამოიყენა ის უფლება, რომლის ძალითაც მას შეეძ-ლო სხვა ქვეყნიდან საქართველოში ჩამოსვლა, საზოგადოებისათ-ვის ქონების გადაცემა და მომსახურების გაწევა (რაც, თავის მხრივ, გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული). ასეთ შემ-თხვევაში, უმოქმედობა არ უნდა იქნეს მიჩნეული უფლების ბო-როტად გამოყენებად, რადგან სსკ-ის 115-ე მუხლის თანახმად, პი-რი უფლების ბოროტად იყენებს თუ მისი მიზანი მხოლოდ სხვის-თვის ზიანის მიყენება.

13.5. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება ავტომატიზებული ელექტროენერგიული მართვის სისტემის პულტის, სქემების, ტექნიკური ნახაზებისა და დოკუმენტაციის მოპასუხე-თან არსებობის ფაქტი. საგულისხმოა, რომ წერილების ავტორია კომპანია ან მისი დირექტორი, რომელიც იმავდროულად საზოგა-

დოების 65%-ის მფლობელი იყო. ამდენად, წერილების ავტორი და-ინტერესებული პირია, რაც განაპირობებს სუბიექტურ მიდგომას განსახილველი საკითხებისადმი.

13.6. კასატორის მტკიცებით, ზიანი მოპასუხის ბრალით არ მიღებულა. სადაც პერიოდში ჰიდროელექტროსადგური ელექტროენერგიას გამოიმუშავებდა, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული მტკიცებულებები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ სადაც პერიოდში სადგური ელექტროენერგიას არ გამოიმუშავებდა, შეუძლებელია, კასატორის ქმედების შედეგი იყოს, რადგან საქმეში არსებული დოკუმენტებით დგინდება, რომ მან მოსარჩელეს ვატგისი ქონება გადასცა. მომდევნო პერიოდში ქონების დაზიანების შემთხვევაში, არ შეიძლება, ბრალი კასატორს მიუძლვოდეს.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 18 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

15. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, კერძოდ, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე, ხელახალი განხილვის მიზნით, დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონშებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის შე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩ-

ნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმების გამოყენებისა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასება-დადგენის თვალსაზრისით კასატორმა დასაშვები დადასაპუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

17. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა იმით გამოიხატა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (სსსკ-ის 393.2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები), ამასთან, ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), რასაც შედეგად მოჰყვა სარჩელის დაკამაყოფილება საკარისი არგუმენტაციის გარეშე.

18. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული შუალედური (წინასწარი) გადაწყვეტილებით დაადგინა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ფაქტობრივი საფუძვლის არსებობა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს წარმოდგენილი სარჩელის ფაქტობრივ საფუძველზე. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხებ ზეპირი გარიგების საფუძველზე საწარმოს წინაშე აღებული ექვსი ტურბინა-გენერატორის გადაცემის ვალდებულება დაარღვია, კერძოდ, გადასცა მხოლოდ ორი ტურბინა, ისიც მათ ასამუშავებლად განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის ე.წ. „გასადების“ გარეშე, რის შედეგადაც საწარმომ მიიღო ზიანი. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხეს საწარმოს 35%-იანი წილი გადაეცა სწორედ ამ ორი ტურბინის საწაცვლოდ.

19. როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან ირკვევა, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოდავე მხარეთა შორის არ არსებობდა სახელშეკრულების ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა, ამდენად, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ მითითებული სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი, რომ მოპასუხებ დაარღვია სახელშეკრულების ვალდებულება.

20. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის პასუხისმგებლობის საფუძვლად მხოლოდ დელიქტური ვალდებულება მიიჩნია. კასატორი არ ეთანხმება შუალედური გადაწყვეტილების ამ დასკვნას და მიიჩნევს, რომ სასამართლოს შეფასება საქმის მასალების სწორ ანალიზს არ ემყარება, კერძოდ, მოპასუხეს ზიანის ანაზღაურება დაეკისრა იმ მოქმედების შეუსრულებლობისათვის, რაც მას არც კანონით და რაც ხელშეკრულებით

არ ევალებოდა. კასატორის მტკიცებით, მითითებული გარემოება გამორიცხავს მისი ქმედების დელიქტად მიჩნევას, რამდენადაც დელიქტური ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო.

21. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად არ გამოიკვლია, შესრულებული იყო თუ არა სსკ-ის 992-ე მუხლის (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) წინაპირობები. დელიქტური ვალდებულების არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს მართლწინააღმდეგობა, რაც სხვისი უფლების უსაფუძლოდ დარღვევას გულისხმობს. სააპელაციო სასამართლო არ უთითებს მოსარჩელის უფლებას, რომელიც მოპასუხემ დაარღვია, მით უმეტეს, თუ სახელშეკრულებო ვალდებულებას გამოვრიცხავთ, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ გააკეთა, მოსარჩელის დარღვეული უფლება არ იკვეთება. კანონი თავისთავად, სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან განცალკევებულად, მოპასუხეს არ აკისრებს ვალდებულებას, მოსარჩელეს გადასცეს რაიმე ქონება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართლსაწინააღმდეგო თუ არამართლზომიერი მოქმედებით ვალდებულება მაშინ ირდვევა, როცა ზიანის მიმყენებელი დაზარალებულთან მიმართებით არღვევს თავის მოვალეობებს. უმოქმედობა კი, მხოლოდ მაშინ უტოლდება პოზიტიური ქმედების შედეგად წარმოშობილ შედეგს, როცა პირი ვალდებული იყო, უმოქმედა იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინა შედეგი.

22. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილეველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე – მათი დამტკიცების ტვირთიც. შესაბამისად, მოსარჩელე იყო ვალდებული, მიეთითებინა და სარწმუნოდ დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი, ასევე, ზიანის ოდენობა. მოცემულ შემთხვევაში, ისეა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება ზიანის არსებობის შესახებ, რომ გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას მართლწინააღმდეგობის თაობაზე, კერძოდ, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობამ მოსარჩელის რომელი საგანგებოდ დაცული უფლება შელახა. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება სსკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობების არსებობა.

23. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, არც სსკ-ის 115-ე მუხლის (სამოქალაქო უფლება უნდა განხორცი-

ელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტომდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს (სხვას) გამოყენების წინაპირობა არ არსებობდა. პალატა არ იზიარებს სააპელაციო სა-სამართლოს მოსაზრებას, რომ მართლწინააღმდეგობა სსკ-ის 115-ე მუხლის თვალსაზრისით იკვეთება, ვინაიდან ეს მუხლი გულის-ხმობს, რომ პირს აქეს რამე უფლება, მაგრამ ის იყენებს ამ უფლებას მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. აქ იგულისხმება აღიარებული და უდავოდ ლეგიტიმური უფლების არსებობა. უფლების გამოყენების მართლზომიერების ფარგლები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეული უფლებისა და გარემოებების შეფასების საფუძველზე დგინდება. ამასთან, უფლების ბოროტად გამოყენების შეფასება დელიქტის შემადგენლობაში მართლწინააღმდეგობის ელემენტის შემოწმების ფარგლებში არის შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო არ უთითებს, თუ რომელი უფლება ჰქონდა მოპასუხეს, რა შინაარსის იყო ეს უფლება. პირი უფლებას ბოროტად იყენებს მაშინ, როცა მისი ქმედება მიზნად არ ისახავს უფლების განხორციელების აუცილებლობით ნაკრნახევი ინტერესის დაცვას. ქმედება მიზნად ისახავს მხოლოდ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას და არ ემსახურება საკუთარი უფლების რეალიზაციას. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტი სასამართლოს არ დაუსაბუთებია.

24. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ უფლების ბოროტად გამომყენებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ პირი იმის გამო, რომ მან სხვა პირს არ გაუწია მომსახურება ან არ გადასცა ქონება. ასეთი პირი უნდა მივიჩნიოთ ვალდებულების დამრღვევად და არა უფლების ბოროტად გამომყენებლად. როდესაც საუბარია თანხის გადაცემაზე, მომსახურების გაწევაზე ან ისეთი ქმედებაზე, რომელიც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაშინ ასეთი ქმედება უნდა მივიჩნიოთ პირის ვალდებულებად და არა უფლებად. ამდენად, სსკ-ის 115-ე მუხლი მოსარჩელოსათვის ქონების გადაცემის მოთხოვნის საფუძველი ვერ იქნება. ასეთ ვითარებაში კი, მოპასუხის სუბიექტური დამოკიდებულების კვლევის საჭიროება სასამართლოს არ ნარმოებობა, რის გამოც თავად ამ ფაქტის – უფლების ბოროტად გამოყენების დადგენა სარჩელის საფუძვლიანობასთან მიმართებით არაარსებითა.

25. საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს გასაჩივრებული წინასწარი გადაწყვეტილების მსჯელობას სასარჩელო მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი საფუძვლის – ხანდაზმულობის თაობაზეც. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მოქმედი მატერიალური ნორმები კრე-

დიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას ზღუდავს გარკვეული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, მართალია, კრედიტორი უფლებამოსლია, კვლავაც მოითხოვოს მოვალისაგან შესრულება, თუმცა კრედიტორის მოთხოვნის შესრულება დამოკიდებულია მოვალის ნებაზე, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით ანიჭებს მოვალეს შესრულებაზე უარის თქმის უფლებას. დრო, რომლის განმავლობაში კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს მისი სასარგებლო მოქმედების შესრულება, წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადას, რომელიც მჭიდროდა დაკავშირებული უფლებასთან. ამ ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებით განხორციელების მატერიალურ და საპროცესო სამართლებრივ შესაძლებლობას (სსკ-ის 128-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა 1008-ე მუხლი, ვინაიდან ამ მუხლით ცალსახად დადგენილია, რომ თუკი პირმა ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაციის შეტყუბიდან 3 წლის შემდეგ მიმართა სასამართლოს, მაშინ მისი მოთხოვნა ხანდაზმულია.

26. განსახილები დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა და ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ითხოვს მისთვის მოპასუხის მიერ 2008 წლიდან მიყენებულ ზიანს. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის ქმედება, რომლითაც მას ზიანი მიადგა, უნდა შეესრულებინა 2008 წლის პირველ მაისამდე, სარჩელი კი, სასამართლოში წარდგენილია 2012 წლის 8 მაისს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხებ მართლსაწინააღმდეგოდ იმოქმედა 2008 წლის მაისამდე, რის შესახებ ცნობილი იყო მოსარჩელისათვის. გასაზიარებელი კასატორის განმარტება, რომ შეუძლებელია ერთი საფუძვლიდან გამომდინარე მოთხოვნა ხანდაზმული იყოს დროის პირველ მონაკვეთში და არ იყოს ხანდაზმული მომდევნო მონაკვეთში. ასეთ ნორმას სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, გარდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისა. სასარჩელო ხანდაზულობის გამოთვლის ასეთი ნესი არც სახელშეკრულებო და არც დელიქტური ვალდებულებებისათვის დადგენილი არ არის. ამასთან, უნდა აღინიშნოს დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დაწყების ნინაპირობაა დაზარალებულის მიერ ზიანის შესახებ პოზიტიური ინფორმაციის ფლობა, მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო მოთხოვნასთან მიმართებით, ხანდაზმულობის ვადის დინების დაწყებისათვის საკმარისია დაზარალებულის მიერ ასეთი ინფორმაციის ცოდნის სუბიექტური შესაძლებ-

ლობა („უნდა სცოდნოდა“).

27. იქნება თუ არა მოპასუხის პროტესტი ხანდაზმულობასთან დაკავშირებით წარმატებული, დამოკიდებულია როგორც მოთხოვნის შინაარსზე, ისე – სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღზე. ამდენად, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ზიანის მიყენების ფაქტთან ერთობლივად უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს ხანდაზმულობის საკითხი მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით.

28. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და არ დაადგინა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსი. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია, ევალებოდა თუ არა მოპასუხეს სანარმოს წინაშე რაიმე მოქმედების განხორციელება, რისი შეუსრულებლობაც ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი საფუძვლის დადგენის წინაპირობა გახდებოდა, შესაბამისად, უსაფუძვლოა გასაჩივრებული შუალედური გადაწყვეტილების დასკვნა, რომ ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველია მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობა – მოსარჩელისათვის ტურბინების სამართავი პროგრამული უზრუნველყოფის ე.წ. „გასაღების“ გადაუცემლობა. ეს დასკვნა, სათანადოდ არგუმენტირებული და, აქედან გამომდინარე, დამაჯერებელი არ არის.

29. ამდენად, მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ფაქტობრივი საფუძვლის არსებობის სწორად განსაზღვრის მიზნით სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს: ევალებოდა თუ არა კასატორს რაიმე მოქმედების შესრულება და თუ ევალებოდა, როდის წარმოეშვა ეს ვალდებულება? ვის ჰქონდა მოსარჩელისათვის ქონების მიწოდების ვალდებულება? ვინ გააფორმა ხელშეკრულება მიმწოდებელთან? რატომ იყო პასუხისმგებელი სანარმოს 35% წილის მფლობელი სანარმოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებაზე? ვინ მართავდა მომწოდებელთან მოლაპარაკებას? რატომ სთხოვდა მოპასუხეს სპეციალისტების ჩამოყანას სანარმოს დირექტორი და უშუალოდ რატომ არ მიმართავდა თავად მწარმოებელს? ჩამოყანა თუ არა სპეციალისტი მოპასუხებს? მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მასალებსა და განმარტებებში ზოგიერთ შემთხვევაში მოპასუხის მხრიდან ტექნიკური დოკუმენტაციის მიუწოდებლობაზეა საუბარი, ზოგ შემთხვევაში კი – უშუალოდ ტურბინების მომწოდებელ კომპანიაზე განხორციელებულ ზენტრალზე. გასარკვევია, რატომ სთხოვს ზოგიერთ წერილში მოსარჩელე მოპასუხეს, აღმოუჩინოს ფინანსური დახმარება სპეციალისტების ჩამოყანაში. ამ საკითხების გარკვე-

ვის გარეშე შეუძლებელია დავის სწორად გადაწყვეტა.

30. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უკრიტიკოდ, სათანადო და დასაშვები მტკიცებულებების არარსებობის პირობებში გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და დაადგინა ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი საფუძველი. ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას მან სწორად უნდა გაანაწილოს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები – მხარეთა ვალდებულებებს შინაარსი, კერძოდ, მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით დაადგინოს, აქვს თუ არა მოსარჩელეს უფლება, მოპასუხეს წაუყენოს მოთხოვნა, ანუ წარმოიშვა თუ არა მოთხოვნა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იმსჯელოს განხორციელებადია თუ არა წარმოშობილი მოთხოვნა.

31. სსს-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; б) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

სარეზოლუციო წანილი:

32. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3-ე, 408.3-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. გ. მ-ის საკასაციო საჩივარი წაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 05 ივნისის წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხადების გულობის ვალი

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1322-2018

04 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

სასარჩევლო მოთხოვნა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ (შემდგომ – მოსარჩევე) სარჩევლი აღძრა სასამართლოში ჯ. ლ-ის (შემდგომ – პირველი მოპასუხე), მ. ბ-ის (შემდგომ – მეორე მოპასუხე), ლ. დ-ის, ა. ძ-ისა და ზ. ჭ-ის (შემდგომ – მოპასუხები) მიმართ, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, მოსარჩევლის სასარგებლოდ სოლიდარულად 283 500,00 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ.

სარჩევლის საფუძვლები:

2. მოსარჩევლის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 აპრილის განაჩენით მოპასუხები ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, მათ ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით მიითვისეს თვითმმართველი ერთეულის სა-

კუთრებაში არსებული 945 კვ.მ მიწის ნაკვეთი მტკვრის მარცხენა სააპიროსა და ც-ის ქუჩას შორის. განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 15 აპრილს.

3. სარჩელის შეტანის მდგომარეობით ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისაგან დანაშაულის გზით მიტაცებული მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, წარმოადგენს შპს „მ-ს“ (შემდგომ – შპს) საკუთრებას.

მოპასუხის პოზიცია:

4. მოპასუხებმა წარადგინეს მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და სარჩელი არ ცნეს ხანდაზმულობისა და უსაფუძღლობის გამო. მათ მიუთითეს, რომ განაჩენში მითითებული არ არის მოპასუხების მიერ თვითმმართველის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უშუალოდ მითვისების შესახებ. სადავო ქონება ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულისაგან უშუალოდ მიიღო საკუთრებაში შპს-მ 2007 წლის 28 მარტს. თბილისის მერიას არა მოპასუხების ქმედებით მიადგა ზიანი, არამედ შპს-ს მიერ ქონების საჯარო რეესტრში საკუთრებად რეგისტრაციით, 2007 წლის 28 მარტს. უშუალო ზიანის მიმყენებელი არის შპს-ს, რომელიც შესაგებლის წარდგენის დროისათვის ფუნქციონირებდა შპს „ტ-ის“ (შემდგომ – წინამორბედი შპს) სახელწოდებით.

5. თბილისის მუნიციპალიტეტის 1997 წლის 20 ნოემბრის №25.07.1192 დადგენილება და მიწის ნაკვეთის გეგმა შედგენილია შპს-ს სახელზე. ზიანის მიყენების ფაქტი მდგომარეობს 2007 წლის 28 მარტს საჯარო რეესტრში მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების შპს-ზე გასხვისებაში. ზიანის შესახებ მოსარჩელები იცოდა ან უნდა სცოდნოდა, თუნდაც 2009 წლის 31 აგვისტოს, როდესაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დადგენილებით სახელმწიფო ცნობილ იქნა დაზარალებულად. სისხლის სამართლის კანონმდებლობით სახელმწიფო მოიაზრება ადგილობრივი თვითმმართველობებიც.

6. შესაგებელში მითითებულია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია. უტყუარად დგინდება, რომ მოსარჩელე დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეში ცნობილი იქნა 2009 წლის 31 აგვისტოდან, შესაბამისად, მას სარჩელის წარდგენის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე წარმოეშვა ამ პერიოდიდან მაინც, იმავე საქმის ფარგლებში. აღნიშნული წარმოადგენდა ბრალდების იმპერატიულ ვალდებულებას და მას ისევე უნდა ემოქმედა, როგორც აღმაშენებლის ხეივანზე მდებარე სადაცო მიწის ნაკვეთთან მიმართებით, როდესაც წარდგენილ და დაკმაყოფილებულ იქნა სამოქალაქო სარჩელი. შესაბამისად, მან გაუშვა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვა-

და. რაც შეეხება მის მითითებას 309²⁰ მუხლზე, აღნიშნული ვერ გავრცელდება ამ ურთიერთობაზე უკუქცევით, რადგან ნორმაში არ არის მითითებული, ზიანის მომტანია და აუარესებს თუ არა მოპასუხეთა მდგომარეობას.

7. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით, პირველი მოპასუხე ცნობილ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად, ხოლო მეორე მოპასუხე – პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ კანონის“ 22-ე მუხლის თანახმად, ისინი გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან. შესაბამისად, პარლამენტის ამ აქტებით მათი ბრალეულობა ჩადენილ ქმედებაში გაქართყლდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2017 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკამაყოფილდა, რაც მოსარჩელებ გასაჩინორა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივნისის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩინორი არ დაკამაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის (დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება) სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 992-ე მუხლი და 998-ე მუხლის პირველი ნაწილი.

11. სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხებმა დანაშაულებრივი ქმედებით, კერძოდ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, მ-ა და ც-ის ქუჩას შორის მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 945 კვ.მ მიწის ნაკვეთის თაღლითურად მისაკუთრებით მიაყენეს 283500 ლარის ოდენობის ზიანი.

12. ზიანის მიყენების ფაქტის და მისი ოდენობის დასამტკიცებლად მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა 2010 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის ოქტომბრის წერილი, რომლითაც დგინდება, რომ 2007 წლის 25 აპრილის მდგომარეობით სადაც მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ ფართის ნორმატიული ღირებულება

შეადგენდა 300 ლარს.

13. სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ: ზიანი; ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი; ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა ასევე წარმოადგენს სავალდებულო პირობას დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის. ამასთან, ზიანი უნდა იყოს პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი ზიანის მიმყენებლის მოქმედებისა (უმოქმედობისა). ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას.

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 309¹⁷ მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილვი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მიყენებული ზიანის გაანგარიშებას, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს შეიძლება ასევე დაერთოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მიყენებული ზიანის ოდენობა.

15. ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ განმარტა სსსკ-ის XXXIV³ თავით გათვალისწინებული სპეციალური მოწესრიგების პროცედურული მნიშვნელობა და აღნიშნა: „ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნიათ (სსსკ-ის 309²⁰ მუხლის მე-2 ნაწილი), რაც იმას გულისხმობს, რომ დამტკიცებულად და განხორციელებულად ითვლება დელიქტური სამართლის დამფუძნებელი ნორმის, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წანამძღვარი: მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, ადექვატური მიზეზობრივი კავშირი და ბრალი“ (იხ. №სა-176-163-2015, 4 ოქტომბერი, 2016 წელი).

16. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის ფაქტობ-

რივი გარემოებების დადგენას ყოველთვის წინ უძლვის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება, რაც მოიცავს მტკიცებულებების შემოწმებას დასაშვებობის, შემხებლობის და უტყუარობის კუთხით, აგრეთვე მტკიცებულებათა საკმარისობაზე მსჯელობას და მათ შეფასებას ერთობლიობაში. მტკიცებულებათა დასაშვებობა შესაძლებელია დადგენილი იყოს როგორც მატერიალური, ასევე, საპროცესო კანონით. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამარტივებული წესით განხილვის მარტივულირებელი ნორმებით (სსსკ-ის XXXIV 3 თავი) მოწესრიგებულია როგორც წმინდა პროცესუალური საკითხები (დასაშვებობა, განსჯადობა და ა.შ.), ასევე მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებული საკითხები.

17. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით სადაცო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობილია მხოლოდ პირველი მოპასუხე, ხოლო, რაც შეხება სხვა თანამოპასუხებს, ისინი კონკრეტულ ეპიზოდში (მტკიცრის მარცხენა სანაპიროსა და ც-ის ქუჩას შორის მდებარე მიწის ნაკვეთის ეპიზოდი) მსჯავრდებულნი არ ყოფილან (იხ. განაჩენი).

18. ამდენად, სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ მოპასუხების – ლ. დ-ის, მ. ბ-ის, ა. ძ-ის და ზ. ჭ-ის მხრიდან კონკრეტული დანაშაულის ჩადენა სათანადო მტკიცებულებით არ დასტურდება, შესაბამისად, უსაფუძვლოა მათ მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა ისეთი დანაშაულისითვის, რომელიც მათ არ ჩაუდენიათ.

19. სადაცო არ არის, რომ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციას, პირველი მოპასუხე ცნობილ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ, ხოლო მეორე მოპასუხე – პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად.

20. ასევე, უდავოა, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2013 წლის 13 იანვრის კანონის საფუძველზე პირველი მოპასუხე და მეორე მოპასუხე გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან.

21. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, რომლის წევრიცაა საქართველო, 2012 წლის 3 ოქტომბერს მიიღო №1900 რეზოლუცია და განსაზღვრა ის კრიტერიუმები, რომელიც საფუძვლად

უნდა დაედოს პირის პოლიტპატიმრად ცნობას, კერძოდ პირი, რომელსაც წაერთვა პერსონალური თავისუფლება, მიიჩნევა პოლიტიკურ პატიმრად: ა) თუ დაპატიმრება განხორციელდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე უფლების დარღვევის გამო, განსაკუთრებით, აზრის, სინდისისა და რელიგიის, გამოხატვისა და ინფორმაციის მიღების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ხელყოფის მიზნით; ბ) თუ დაპატიმრებას საფუძვლად დაედო მხოლოდ პოლიტიკური მიზეზი და ადგილი არ ჰქონია დანაშაულის ჩადენას; გ) თუ დაპატიმრება, როგორც ღონისძიება, აშკარად არ შეესაბამება იმ დანაშაულის სიმძიმეს, რომლის ჩადენაშიც იქნა პირი ბრალდებული ან მსჯავრდებული და დაპატიმრების გადაწყვეტილება პოლიტიკურადაა მოტივირებული; დ) პოლიტიკური მიზეზით, პირის დაპატიმრება შეეფარდა დისკრიმინაციულად, სხვებისაგან განსხვავებით; ე) დაპატიმრება აშკარად უსამართლო და უკანონო სამართლარმოების შედეგია, რაც ხელისუფლების მოქმედების პოლიტიკურ მოტივებს უკავშირდება.

22. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი ხანდაზმულია და განმარტა, რომ ხანდაზმულობის საკითხი მატერიალურ-სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადების გამოთვლაც მატერიალური სამართლით – სსკ-ით წესრიგდება.

23. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველი დავა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხზე მსჯელობისას პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით, რომელიც, დელიქტიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნებისთვის სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას ანესებს, კერძოდ, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

24. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ხსენებული სამართლებრივი ნორმის დანაწესით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა დაკავშირებულია დაზარალებულის მიერ ზიანის, ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შეტყობასთან.

25. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის №-... საქმეზე გამოძიება ლ. თის, გ. ბ-ის, ი-ის, რ. ე-ის, ლ. ზ-ის, ნ. ო-ის, ა. ო-ის, ი. ჩ-ის, გ. გ-ის, ა. გ-

ის, ჯ. ლ-ის, მ. ბ-ის, კ. დ-ის, ა. ძ-ი, ლ. დ-ისა და ზ. ჭ-ის მიმართ დაიწყო 2009 წლის 20 სექტემბერს და დასრულდა 2009 წლის 21 სექტემბერს. ასევე, დადგენილია, რომ 2009 წლის 31 აგვისტოს, გამომძიებლის, გ. ბ-ის დადგენილებით სისხლის სამართლის №-... საქმესთან დაკავშირებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს სახელმწიფო ცნობილ იქნა დაზარალებულად.

26. შესაბამისად, მოსარჩელისათვის ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პირების შესახებ 2009 წლის აგვისტოს თვეში უკვე ცნობილი იყო.

27. საქმეში წარმოდგენილია ასევე, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის ოქტომბრის წერილი, რომლითაც სადაც მინის ნაკვეთის ნორმატიული ღირებულებაა განსაზღვრული, ხოლო წერილის ადრესატი კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამსახურელოს უფროსი გამომძიებელია, რომელსაც ინფორმაცია მიენოდა სისხლის სამართლის №-... საქმესთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოსარჩელისათვის ზიანის ოდენობის შესახებაც კი ცნობილი იყო, ჯერ კიდევ 2009 წლის ოქტომბერში.

28. ამასთან, სააპელაციო პალატამ უურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების და სასამართლო განხილვის მიმდინარეობის პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ დაზარალებულის მხრიდან სამოქალაქო სარჩელები სხვა ეპიზოდებზე აღმოჩენილია 2009 წლის სექტემბერსა და ამავე წლის ნოემბერში, ხოლო 2010 წლის 15 აპრილის სისხლის სამართლის განაჩენით დაკავილფილებულია მოთხოვნები ზიანის ანაზღაურების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს შეეძლო სამოქალაქო სარჩელის აღძვრით დაეკავილებინა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სადაც ეპიზოდთან დაკავშირებითაც, რაც მან არ განახორციელა.

29. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მართალია, სამოქალაქო სარჩელები სხვა ეპიზოდებზეა აღძრული, მაგრამ მოთხოვნის უფლების წარმოშობის სამართლებრივი წინაპირობები მოცემულ შემთხვევაშიც იგივეა, გამომდინარეობს იმავე საქმიდან, სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენებიდან, მათ შორის მოცემულ ეპიზოდში ბრალდებული პირის, პირველი მოპასუხის მიერ სხვა ეპიზოდით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნიდან. აღნიშნული კი,

დამატებით, იმაზე მიანიშნებს, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პირების შესახებ და მას გააჩნდა შესაძლებლობა, მოცემულ ეპიზოდთან დაკავშირებითაც სისხლის სამართლის საქმეზე წარედგინა სამოქალაქო სარჩელი.

30. სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებში განვითარებული მსჯელობა, რომ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ვადის ათვლა დაიწყება ზიანის შეტყობის და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ფაქტობრივი იდენტიფიკაციის მომენტიდან, თუ საკმარისად განსაზღვრადია ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობა. ზიანის მიყენების ფაქტის (ანუ უფლების დარღვევის ფაქტის) და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ვინაობის შეტყობა ვადის ათვლის დაწყების კუმულატიურ წინაპირობებად უნდა იქნეს განხილული.

31. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2013 წლის 15 აპრილს, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სარჩელი ხანდაზმულია.

32. იმ შემთხვევაშიც კი, თუ წარმოდგენილი სარჩელი ხანდაზმულად არ ჩაითვლება, სააპელაციო პალატამ სასარჩელო მოთხოვნა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ პირველი მოპასუხის მიმართ მაინც უსაფუძვლოდ მიიჩნია.

33. როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველი მოპასუხე საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად იქნა მიჩნეული იმ განაჩენის საფუძველზე, რომელზე დაყრდნობითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს მოპასუხისაგან დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

34. ამდენად, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დაადგინა, რომ 2010 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენით პირველი მოპასუხის მსჯავრდება განხორციელდა პოლიტიკური ნიშნით, გამოგონილი ბრალდებით და სინამდვილეში მას დანაშაული არ ჩაუდენია.

35. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამო, ვინაიდან სახელმწიფო უმაღლესმა ხელისუფლების ორგანომ დაადგინა, რომ პირველ მოპასუხეს დანაშაული არ ჩაუდენია და იგი გასამართლდა პოლიტიკური ნიშნით, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი არსებული დანაშაულით სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

პირველი კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

36. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ (პირველი კასატორი) შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

37. კასატორმა მიუთითა სსკ-ის 992-ე, 1008-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი არის ის ერთადერთი დოკუმენტი, რომლითაც მოცემულ შემთხვევაში დგინდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი, სწორედ გამოძიებისა და შესაბამისი სასამართლო წარმოქმნის პროცესში დგინდება ზიანის ოდენობა და, ამასთან, ხდება იმ პირის იდენტიფიცირება, რომლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულმა ქმედებამაც გამოიწვია ზიანი.

38. კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 2009 წლის 20 სექტემბერს და დასრულდა 21 სექტემბერს, ასევე, 2009 წლის 31 აგვისტოს გამომძიებლის დადგენილებით სისხლის სამართლის №-.... საქმესთან დაკავშირებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფთლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე სახელმწიფო ცნობილ იქნა დაზარალებულად, შესაბამისად, მოსარჩელისათვის ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პირების შესახებ 2009 წლის აგვისტოში უკვე ცნობილი იყო, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, რომლის მე-40 მუხლის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

39. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფარგლებში შესაბამისი ორგანოების კვლევის საგანს წარმოადგენს სწორედ ის ფაქტობრივი გარემოება, არის თუ არა პირი დამნაშავე ანუ ჩაიდინა თუ არა მან მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას კი ადასტურებს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. შესაბამისად, მინის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე საქართველოს სახელმწიფოს დაზარალებულად ცნობა არ წარმოადგენს იმ მომენტს, საიდანაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა აეთვალოს დელიქტიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადა. ვინაიდან პირის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათსა და ბრალეულობას ადასტურებს არა სისხლის სამართლის საქმის აღმრა ან/და დაზარალებულად ცნობის დადგენილება, არა-მედ სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ეფუძვნება მხოლოდ ვარაუდს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და ზიანის არსებობის შესახებ. სწორედ სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფარგლებში დგინდება და დასტურდება კონკრეტული ქმედება არის თუ არა დანაშაულის ნიშნების შემცველი და ზიანის გამომწვევი. ასევე დგინდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების განმახორციელებელი სუბიექტიც.

40. კასატორმა ყურადღება გაამახვილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის №28/3418-15 განჩინებაზე, სადაც განხილულ იქნა ანალოგიური დავა, რომლითაც ქ.თბილისის მერიას უარი ეთვეა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, სწორედ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არარსებობის გამო, და სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ სააპელაციო საჩივარში დასახელებული პირი მოხსენიებული იყო საბრალებო დასკვნასა და განაჩენში.

41. კასატორის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა მოხდეს ზიანის შეტყობის და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ზუსტი იდენტიფიკაციის მომენტიდან, ანუ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დადგომის შემდეგ, ვინაიდან სწორედ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არის შესაძლებელი დადგინდეს ზიანისა და ზიანის მომყენებელი პირის არსებობა. კანონი ხანდაზმულობის ვადის დაწყებას პირდაპირ უკავშირებს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღების დროს, რაც დანაშაულის არსებობის შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

42. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მითითებული განმარტებასთან და №ას-584-552-2012 საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის განჩინებასთან წინააღმდეგობაშია, რადგან სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის ათვლის დროს აქცენტი გააკეთა ჯერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ხოლო შემდეგ ქ.თბილისის მერიის დაზარალებულად ცნობის დადგენილების მიღების დღეზე.

43. საქალაქო სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის ვადის ათვლა 2009 წლის 31 აგვისტოდან (რაც შემდგომში გაზიარებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო განჩინებით), როდესაც მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილ იქნა ქ.თბილისის მერია, წინააღმდეგობაში მოდის ზემოთ მითითებულ როგორც მოქმედ კანონმდებლობასთან, ასევე, მითითებულ სასამართლო პრაქტიკასთან. დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ასე-

თი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტი-დან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაუ-რებაზე ვალდებული პირის შესახებ.

44. დასახელებული დანაწესი გამორიცხავს ხანდაზმულობის ზოგადი წესით გამოთვლისათვის გათვალისწინებულ ისეთ პირობებს, როგორიცაა მოთხოვნის ნარმოშობის დროის დადგენისას მოთხოვნის მქონე პირის მიერ უფლების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღებულად ცნობა, ინფორმაციის მიღების ან იმ დროის გათვალისწინებით, როცა პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (სსკ-ის 130-ე მუხლი). ხაცვლად ამისა, კანონი ხანდაზმულობის ვადის დაწყებას პირდაპირ უკავშირებს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღების დროს, რაც დანამაულის არსებობის შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. განსახილველ შემთხვევაში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასეთი ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობა დადგინდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 აპრილის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

45. კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადასტურდა, რომ ქ.თბილისის მერიას მოპასუხეთა მართლასანინააღმდეგო ქმედებით მიადგა ზიანი, ვინაიდან ვერ ხერხდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რადგან მინის ნაკვეთები, რომელებიც წარმოადგენდა ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას, დღეის მდგომარეობით გასხვისებულია, მოპასუხები ვალდებული არიან, აანაზღაურონ მათ მიერ თბილისის მერიისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი, რამაც 283 5900 ლარი შეადგინა.

46. სააპელაციო სასამართლო სადავო განჩინებაში განმარტავს, რომ მოსარჩევეს შეეძლო სამოქალაქო სარჩელის აღქვრით დაეკმაყოფილებინა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. დადგენილია, რომ სამოქალაქო სარჩელები სხვა ეპიზოდებზე აღძრულია 2009 წლის სექტემბერსა და ამავე წლის ნოემბერში, ხოლო 2010 წლის 15 აპრილის სისხლის სამართლის განაჩენით დაკმაყოფილებულია მოთხოვნები ზიანის ანაზღაურების შესახებ.

47. კასატორის განმარტებით, გაუგებარია, თუ რა კავშირშია მოცემულ დავასთან 2010 წლის 15 აპრილის განაჩენის მიღების დროისათვის სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე დავა და სხვა ეპიზოდებზე წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი. მართალია, განაჩენის დადგენის დროისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა სამოქალაქო სარჩელის აღძრას სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვისას ამავე კოლეგიაში, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავდა სამო-

ქალაქო წესით დავას. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელის აღდვრაც პიდაპირ იყო დაკავშირებული განაჩენის დადგომასთან და სამოქალაქო სარჩელი კმაყოფილდებოდა მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის შემთხვევაში.

48. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 84-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე კასატორმა მიჩნია, რომ ერთადერთი უფლებამოსილი ორგანო, ვისაც შეეძლო პირველი მოპასუხის მიმართ გამოტანილი განაჩენის გაუქმება იყო და არის სასამართლო და არა პარლამენტი, რაზეც მითითებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს სადავონ განჩინებაში. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია, მხოლოდ შექმნას საკანონმდებლო ბაზა, რომელიც სასამართლოს მისცემს საშუალებას, თავად მოახდინოს თავისივე მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა.

49. რაც შეეხება პირველი მოპასუხის „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილების თანახმად, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად მიჩნევას, მითითებული დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად, „მიჩნეულ იქნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებად საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №8) დამტკიცებულ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირთა სიაში დასახელებული მსჯავრდებულები (დანართი №1). ამავე დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად: „საქართველოს პარლამენტმა უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ პირთათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლების სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა“.

50. კასატორმა განმარტა, რომ პირველი მოპასუხე, „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილების თანახმად, მიჩნეულ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად და ამავე ნორმატიული აქტით განისაზღვრა მისი უფლება, მიმართოს სასამართლოს განაჩენის გადახედვის მიზნით, რაც დღემდე არ მომხდარა, შესაბამისად, 2010 წლის 15 აპრილის განაჩენი ძალაშია, ხოლო „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირველი მოპასუხე გათავისუფლდა მხოლოდ, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან, რაც არ გულისხმობს სამოქალაქო სამართლებრივი პა-

სუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

მეორე სარჩელის სასარჩელო მოთხოვნა:

51. ქ. თბილისის მერიამ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღ-
ძრა სასამართლოში ჯ. ლ-ის (შემდგომ – პირველი მოპასუხე), მ. ბ-
ის (შემდგომ – მეორე მოპასუხე), ლ. დ-ის, ა. ძ-ის (შემდგომ – მოპა-
სუხები), ზ. ჭ-ის და ა. გ-ის მიმართ დანაშაულით მიყენებული ზია-
ნის – 1 570 650 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

52. მოსარჩელის განმარტებით, 2010 წლის 15 აპრილის თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლე-
გის განაჩენით მოპასუხები ცნობილი იქნენ დამნაშავეებად სა-
ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული
დანაშაულის ჩადენისათვის, კერძოდ, მათ ყალბი ოფიციალური დო-
კუმენტების გამოყენებით მითვისეს თვითმმართველი ერთეულის
საკუთრებაში არსებული 5 501 კვ.მ მიწის ნაკვეთი ქ. თბილისი, ი-...
რაიონში, 3-სა და მ-ს შორის. აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალა-
ში შევიდა იმავე დღეს.

53. მოპასუხეთა ბრალეული ქმედებით მიტაცებული მიწის ნაკ-
ვეთი არის სს „ვ-ას“ საკუთრება.

54. მოსარჩელეს მოპასუხეთა ზემოაღნიშნული მართლსაწინა-
აღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად შიადგა დიდი მოცუ-
ლობის მატერიალური ზიანი. შესაბამისი უძრავი ქონების ნორმა-
ტიული ღირებულება არის 1 570 650 ლარი.

მოპასუხის პიზიცია:

55. მოპასუხებმა ნარადგინეს მოთხოვნის განხორციელების
შემაფერხებელი შესაგებელი და სარჩელი არ ცნეს ხანდაზმულო-
ბისა და უსაფუძვლობის გამო. მათ მიუთითეს, რომ უშუალო ზია-
ნის მიმყენებელი არის გ. გ-ი, რომელმაც 2007 წლის 10 აგვისტოს
საკუთრებაში დაირეგისტრირა სახელმწიფო საკუთრებაში არსე-
ბული მიწის ნაკვეთი. მოსარჩელეს არა მათი ქმედებით, არამედ გ.
გ-ის მიერ ქონების 2007 წლის 10 აგვისტოს საჯარო რეესტრში რე-
გისტრაციით შიადგა ზიანი. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 1994
წლის 17 ივლისის №-... დადგენილება და მიწის ნაკვეთის გეგმა შედ-
გენილია გ. გ-ის სახელზე.

56. ზიანის შესახებ მოსარჩელემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა
თუნდაც 2009 წლის 31 აგვისტოს, როდესაც საქართველოს ფინან-
სთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დადგენილებით
სახელმწიფო ცნობილ იქნა დაზარალებულად.

57. შესაბამისი ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებით გ.
გ-ი გასამართლებულია და მის მიმართ დამდგარია გამამტყუნებე-
ლი განაჩენი.

58. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით, პირველი მოპასუხე ცნობილ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად, ხოლო მეორე მოპასუხე – პოლიტიკური ნიშნით დავინილ პირად. ამავე დადგენილების თანახმად, ისინი გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან. ამ აქტით გაქარჩყლდა მათი ბრალეულობა მართლადნინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

59. მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია. უტყუარად არის დადგენილი, რომ მოსარჩელე დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეში ცნობილ იქნა 2009 წლის 31 აგვისტოდან, შესაბამისად, მას სარჩელის წარდგენის უფლება იმუამად მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე წარმოეშვა ამ პერიოდიდან მაინც, იმავე საქმის ფარგლებში. აღნიშნული წარმოადგენდა ბრალდების იმპერატიულ ვალდებულებას და მას ისევე უნდა ემოქმედა, როგორც აღმაშენებლის ხეივანზე მდებარე სადაც მინის ნაკვეთთან მიმართებით, როდესაც წარდგენილი და დაკმაყოფილებულ იქნა სამოქალაქო სარჩელი. შესაბამისად, მოსარჩელეს გაშვებული აქვს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. რაც შეეხება მის მითითებას 309²⁰ მუხლზე, აღნიშნული ვერ გავრცელდება ამ ურთიერთობაზე უკუქცევით, რადგან ასეთი დათქმა არ არის მითითებული ამ ნორმაში, მისი მოქმედება ზიანის მომტანია და აუარესებს მოპასუხეთა მდგომარეობას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

60. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩინო სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

61. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 მარტის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

62. სააპელაციო პალატის განმარტებით, საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხეებმა წარდგენილ შესაგებელში მიუთითეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეთა მიმართ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების

თაობაზე არ არის ხანდაზმული.

63. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვა-დის სწორად გამოსათვლელად მნიშვნელოვანია მისი დენის დაწ-ყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. გარ-და კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, რო-დესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესი-საგან განსხვავებულადაა რეგულირებული, მისი წარმოშობა და-კავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე.

64. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 130-ე მუხლის თანახმად, ნორმის ალერილობითი ნაწილის მითითება – „როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო“, არ შეიძლება გაგებულ იქ-ნა იმგვარად, რომ გარემოების შეტყობა რაიმე განსაკუთრებულ ფაქტს ან მოვლენას უნდა უკავშირდებოდეს, კანონის ზემოაღ-ნიშნული დანახესი, პრაქტიკულად, ერთმანეთის თანმხვედრია და ორიენტირებულია კრედიტორის ობიექტურ აღქმაზე ვალდებულე-ბის დარღვევის მიმართ. ამასთან, მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორ-ზე – უნდა შეეტყო, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაყრდნობა, თუ სა-მართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტური ფაქტორის განსაზღვრა.

65. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 128-ე მუხლზე, 144-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 130-ე მუხლზე და განმარტა, რომ სა-სარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომ-ლის განმავლობაშიც პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი უფლებე-ბი დარღვეულია, შეუძლია მოითხოვოს უფლების სასამართლო წე-სით დაცვა. ამ ვადის გასვლა გავლენას ახდენს მატერიალური სარ-ჩელის დაკამაყოფილებაზე, თუმცა მატერიალური უფლება, ხან-დაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად, ავტომატურად არ ქარ-წყლდება. ამისთვის დაინტერესებულმა პირმა სასამართლოს უნ-და განუცხადოს მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ, რომლის შე-მოწმების გარეშე, სასამართლოს მხრიდან ისეთი მოქმედებების განხორციელება, როგორიცაა მტკიცების საგანში შემავალი ფაქ-ტების დადგენა, აზრს კარგავს.

66. სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შემოღე-ბით, კანონმდებელმა განსაზღვრა სამოქალაქო უფლების დაცვის გარკვეული ვადებით შეზღუდვის აუცილებლობა, რომელიც მყარ სამოქალაქო ბრუნვაზეა ორიენტირებული და მოთხოვნის ხანდაზ-მულობის ამა თუ იმ ვადის გასვლით მხარე კარგავს იმ სამართლებ-რივ ბერკეტებს, რომელთა საშუალებითაც მას შესაძლებლობა ჰქონდა, მოეხდინა მისი მოთხოვნის იძულებით აღსრულება. ხან-

დაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვა-დის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვ-ნის უფლება.

67. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 1008-ე მუხლზე, რომ-ლის შესაბამისად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მო-მენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზ-ღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

68. ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმა სპეცი-ალურად განსაზღვრავს დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღა-ურებისათვის სასამართლოსთვის მიმართვის სამნლიან ვადას.

69. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა აპელანტის პოზი-ცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ დავაში არსებობს და-ნაშაულის გზით მიყენებული ზიანი, რომლის ხანდაზმულობის ვა-დის ათვლაც უნდა მოხდეს ზიანის შეტყობის და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ზუსტი იდენტიფიკაციის მომენტიდან, ანუ და-ნაშაულის ჩადენის შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული განა-ჩენის დადგომის შემდეგ, ვინაიდან სწორედ კანონიერ ძალაში შე-სული განაჩენით არის შესაძლებელი ზიანისა და ზიანის მიმყენე-ბელი პირის დადგენა.

70. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სასაჩრჩელო ხანდაზმულობის ვა-დის ათვლა 2009 წლის 12 მარტიდან – მოცემულ სისხლის სამარ-თლის საქმეზე დაზარალებულის დაკითხვის მომენტიდან უნდა განხორციელდეს, რამდენადაც ხსენებული გარემოება წინააღმდე-გობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან; კერძოდ, დელიქტუ-რი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. დასახელე-ბული დანაწესი გამორიცხავს ხანდაზმულობის ზოგადი წესით გა-მოთვლისათვის გათვალისწინებულ ისეთ პირობებს, როგორიცაა მოთხოვნის წარმოშობის დროის დადგენისას, მოთხოვნის მქონე პირის მიერ უფლების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღებუ-ლად ცნობა ინფორმაციის მიღების ან იმ დროის გათვალისწინე-ბით, როცა პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (სსკ-ის 130-ე მუხლი). ნაცვლად ამისა, კანონი ხანდაზმულობის ვადის დაწყებას პირდაპირ უკავშირებს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდე-ბული პირის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღების დროს, რაც და-ნაშაულის არსებობის შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მხოლოდ

კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

71. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობა, დადგინდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 აპრილის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

72. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ-სებულ შეფასებას სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხს თაობაზე და დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირთა წრის შესახებ ცნობილი გახდა საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 აპრილის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

73. შესაბამისად, მოსარჩელეს სასამართლოსთვის უნდა მიე-მართა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან 3 წლის განმავლობაში – 2013 წლის 15 აპრილამდე, რაც მან განახორციელა კიდეც, კერძოდ, აღძრა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სწორედ 2013 წლის 15 აპრილს, ანუ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით განსაზღვრული სამწლიანი ვადის ფარგლებში, რაც გამორიცხავს ხანდაზმულობის მოტივით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობას.

74. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

75. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად, აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა ინვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) მე-4 მუხლით, რომლითაც მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

76. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ე.ი. მხარეს ეკისრება როგორც ფაქ-

ტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანა-დო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს.

77. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი მსჯელობის საგანს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელზეც დამყარებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ამ გარემოებების დამა-დასტურებელი მტკიცებულებები და მათი სამართლებრივი თვალ-საზრისით შეფასების სისწორე. ამდენად, სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულე-ბების ფარგლებში უნდა შემოწმდეს.

78. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სასამარ-თლომ სარჩელი ხანდაზმულობის მოტივით არ დააქმაყოფილა და, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის საკითხი არსებითად არ განიხილა. ვინაიდან, ნინამდებარე განჩინებით საა-პელაციო პალატამ არ გააიზიარა პირველი ინსტანციის სასამარ-თლოს მსჯელობა სასაჩივრებული მოთხოვნის ხანდაზმულობის თაო-ბაზე, აღნიშნული გარემოება, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მიზანმენობილს ხდის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლო-ში განსახილველად დაბრუნებას, რათა გამოკვლეულ იქნას სასარ-ჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები და გათვალისწინე-ბულ იქნეს მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი პოზიცია, რა-თა მათ არ შეეზღუდოთ შეჯიბრებითობის პრინციპით გათვალის-წინებული უფლებამოსილების რეალიზაციის შესაძლებლობა. პა-ლატის შეხედულებით, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ განსახილველ დავაზე მხარეებმა არ დაკარგონ ფაქტობრივი გარე-მოებების დამდგენი პირველი ინსტანციის სასამართლო სამართალ-წარმოებაში მოხაზილეობის მიღების უფლება.

79. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლება უნდა გაუქმებულიყო და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს. თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს საქმის ხელახლი განხილვისას ქალაქ თბი-ლისის მუნიციპალიტეტის მერიის სასარჩელო მოთხოვნის საფუძ-ვლიანობის საკითხი უნდა განეხილა არსებითად, რა დროსაც უნდა დადგენილიყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გა-რემოებები და მათი სამართლებრივი შეფასების საფუძველზე გა-დაწყვეტილიყო დავა.

მეორე კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

80. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხეებმა (მე-ორე კასატორი) შეიტანეს საკასაციო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილე-

ბაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

81. მეორე კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არას-ნორად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგე-ნილად, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენით დასტურდება მოპასუხეთა ბრალეულობის ფაქტი მოსარჩელის მი-მართ დადგარ ზიანში.

82. პირველი ინსტანციის სასამართლო საქმის არსებითი ნაწილის განხილვაში არ შესულა, შესაბამისად, ასეთ ფაქტსაც ვერ და-ადგენდა, რადგან სარჩელს უარი ეთქვა ხანდაზმულობის საფუძ-ვლით. სააპელაციო პალატამ მოახდინა პირველი ინსტანციის სასა-მართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სადავო ფაქტობრივი გა-რემოვებების არასწორი ინტერპრეტაცია, როდესაც მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეთა მიმართ ხანდაზმულია. პირ-ველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენის შესახებ მიუთითა სულ სხვა კონტექსტში, კერძოდ, რომ სასამართლო განაჩენის კანონი-ერ ძალაში შესვლას ვერ დაუკავშირდება ისეთი მატერიალურ სა-მართლებრივი ინსტიტუტის განხორციელება, როგორიცაა ხანდაზ-მულობა.

83. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 1008-ე მუხლი, როდესაც სრულად გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ შეძობს დანაშაულის გზით მიყენე-ბული ზიანი, რომლის ხანდაზმულობის ვადის ათვლაც უნდა მოხ-დეს ზიანის შეტყობინებისა და ანაზღაურებაზე ვალდებული პი-რის ზუსტი იდენტიფიკაციის მომენტიდან, ანუ დანაშაულის ჩა-დენის შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დადგო-მის შემდეგ, ვინაიდან სწორედ კანონიერ ძალაში შესული განაჩე-ნით არის შესაძლებელი, ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პირის დადგენა.

84. კასატორის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაუდგენია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განა-ჩენით დასტურდება მოპასუხეთა ბრალეულობის ფაქტი მოსარჩე-ლეთა მიმართ დამდგარ ზიანში, სასამართლო საქმის განხილვის არსებით ნაწილში არ შესულა და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდე-ბა, შემოიფარგლა მხოლოდ ხანდაზმულობის საკითხის განხილვით და მხოლოდ ამ მოტივით უთხრა უარი მოსარჩელეს სარჩელის დაკ-მაყოფილებაზე.

85. აღნიშნულს ადასტურებს თავად სააპელაციო სასამართლოც, რომლის დასაბუთება წინააღმდეგობაშია საკუთარ თავდაპირველ მსჯელობასთან, კერძოდ, საქმის პირველი ინსტანციის სასამარ-თლოში განსახილველად დაბრუნების მოტივად მან მიუთითა, რომ ვინაიდან, წინამდებარე განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არ

გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, აღნიშნული გარემოება სააპელაციის პალატის მოსაზრებით, მიზანშეწონილად ხდის საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად დაპრუნებას, რათა გამოკვლეულ იქნეს სასამარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები და გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი პოზიცია.

86. კასატორის განმარტებით, სსკ-ის 1008-ე მუხლის პირობა ალტერნატიულია. ტერმინებს: „ზიანის შეტყობასა“ და „ანაზღაურებაზე ვალდებული პირის“ შორის არის კავშირი „ან“ და არა კავშირი „და“.

87. ამასთან, ზიანის ანაზღაურება, როგორც მატერიალურ სამართლებრივი ინსტიტუტი ვერ დაუკავშირდება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს. ეს უაღრესად დააკნინებდა ამ სამართლებრივ ინსტიტუტს, ხოლო ზიანის მიმყენებელი პირისა და „ზიანის ანაზღაურების ფაქტის დადგენა“ მხოლოდ ასეთი განაჩენით უაღრესად შეზღუდვდა საზოგადოდ ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივ გაებასა და არარად აქცევდა ასეთი მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას სისხლის სამართლის პროცედურისა და კანონიერი განაჩენის გარეშე. ზუსტად იგივე ვითარებაა ასეთი საქმეები-დან გამომდინარე, ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებითაც.

88. მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით არ არის შესაძლებელი ზიანის მიყენების ფაქტის ან ზიანის მიყენებული პირის დადგენა. მოცემულ შემთხვევაში ზიანის მიყენების ფაქტი არის ქონების სახელმწიფო საკუთრებიდან გასვლა – ნივთათ სამართლებრივი კავშირის დაკარგვა, რაც დგინდება საჯარო რეესტრში დაცული ცნობებით და ცნობილი გახდა მოსარჩელისათვის სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე მისი დაზარალებულად ცნობით.

89. რაც შეეხება ზიანის მიმყენებელ პირს, მისი გამოკვეთა იმავე რეესტრის პრეზუმირებული ჩანაწერით უდავოდ შესაძლებელი იყო, ხოლო სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული პირებიც შესაძლოა, ჩათვლილიყვნენ „ზიანის მიყენებელ პირებად“, რადგან საქმე ეხება სპეციფიკურ შემთხვევას, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა სისხლის სამართლის საქმის ფარგალში სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას. ეს უკანასკნელი გარემოება არსებითი ხასიათისაა მოცემულ საქმეში ხანდაზმულობის საკითხზე მსჯელობისას. თუ ამ დროისათვის არ არსებობს „ფაქტის“ ან/და „პირის“ დადგენის შესაძლებლობა, მამინ გაურკვეველია, საერთოდ როგორ გაითვალისწინა კანონმდებელ-

მა სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესის ფარგალში.

90. მეორე კასატორმა მიუთითა სსკ-ის 128-ე, 130-ე, 131-ე, 144-ე, 992-ე და 1008-ე მუხლები, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისა და განაჩენის დადგენის პერიოდში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე, 31-ე, 33-ე, 37-ე, 38-ე, 39-ე მუხლები.

91. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლას კანონმდებელი უკავშირებს სსკ-ის 1008-ე მუხლით განსაზღვრული 2 პირობიდან ერთ-ერთის არსებობას: ა) როდესაც შეიტყო ზიანის შესახებ; ბ) როდესაც შეიტყო ზიანის ანაზღაურების ვალდებული პირის შესახებ.

92. ზიანის ფაქტი არის მესაკუთრე ქ.თბილისის მერიისაგან ქონების საკუთრებიდან გასვლის ფაქტი - ნივთთან სამართლებრივი კავშირის დაკარგვა, რომელიც სსკ-ის 311-ე მუხლის თანახმად, დგინდება საჯარო რეესტრში ქონებაზე საკუთრების სხვა პირზე რეგისტრაციით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ზიანის ფაქტი არის 2007 წლის 10 აგვისტოს სადაც ქონების გასხვისების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ხოლო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი კი - გ. გ-ი, რომლის საკუთრებადაც იქნა დარეგისტრირებული აღნიშნული ქონება.

93. მეორე კასატორის მოსაზრებით, უტყუარად დგინდება, რომ მოსარჩელე მისი წარმომადგენლის სახით დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეში დაკითხულია 2009 წლის 12 მარტს, რომელმაც მიუთითა, რომ გ. გ-ის საკუთრებაში გადაცემულია 5501 კვ.მ უძრავი ქონება, რომლის ღირებულება არის 1 კვ.მ-ზე 350-500 აშშ დოლარი, რომ სახელმწიფოს გ. გ-ის ქმედებით მიადგა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი. შესაბამისად, სწორედ მისგან მოითხოვს მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. ამავე დროს, 2009 წლის 12 მარტს თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის მიერ პროკურატურას ეცნობა ზიანის ოდენობაც (ერთი ნაწილის (2130 კვ.მ) ღირებულება: 1 კვ.მ – 320 ლარი, მეორე ნაწილის (3371 კვ.მ). ღირებულება: 1 კვ.მ – 96 ლარი.

94. 2009 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით გ. გ-ი ამ ფაქტზე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მასთან დამტკიცებულ იქნა საპროცესო შეთანხმება საპელაციო სასამართლოში. ამ განაჩენის მიხედვით, დაზარალებულის სტატუსით სასამართლო განხილვებში მონაწილეობდა იგივე ქ.თბილისის მერიის წარმომადგენელი. შესაბამისად, მოსარჩელემ ამავე განაჩენითაც შეიტყო ზიანის მიყენების ფაქტის, პირის და ოდენობის შესახებ. მეტიც, ამავე განაჩენით მისთვის ცნობილია ზიანის მიმყენებელი პირების (მოპასუხების) შე-

სახებ, გ. გ-ის განმარტებით.

95. ამასთან, მოცემული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში სხვა ეპიზოდებზე 2009 წლის 9 სექტემბერსა (ზ. ჭ-ისა და გ. კ-ის მიმართ) და 4 ნოემბერს (პირველი მოპასუხის მიმართ) წარდგენილი იქნა ორი სარჩელი, რომლებიც დაკმაყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 აპრილის განაჩენით.

96. საქართველოს კანონმდებლობა დელიტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას არ უკავშირებს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარ განაჩენს. ასეთი განაჩენი მოთხოვნის უფლების მქონე პირს ათავისუფლებს მხოლოდ მტკიცების ტვირთისაგან. სისხლის სამართლის საქმის წარმოება არ გამორიცხავს, არ აქარწყლებს პირის უფლებას, სამოქალაქო-სამართლებრივი პრეტენზიის წაყენების შესახებ მანამდე, მისი მსვლელობისას ან მის გარეშე.

97. ამასთან, იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არათუ უფლებას აძლევდა მოსარჩელეს, არამედ ავალდებულებდა კიდევაც სახელმწიფოს, ენარმობინა სამოქალაქო დავაზიანის ანაზღაურების შესახებ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-39-ე მუხლების საფუძველზე, როგორც გ. გ-ის, ისე მოპასუხების სისხლის სამართლის საქმეებში. მეტიც, ამ ნორმების თანახმად, აღნიშნული ბრალდების იმპერატიულ ვალდებულებას წარმოადგენდა და სახელმწიფო ბრალდებაზე პირს ისევე უნდა ემოქმედა, როგორც მოპასუხეთა წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში იმოქმედა აღმაშენებლის ხეივანზე მდებარე სადავო მიწის ნაკვეთან მიმართებით, როდესაც საქმეში არსებული 2009 წლის 31 აგვისტოს დაზარალებულად სახელმწიფოს ცნობის შესახებ დადგენილების საფუძველზე წარდგენილ და დაკმაყოფილებულ იქნა სამოქალაქო სარჩელი.

98. მეორე კასატორმა აღნიშნა, რომ სსსკ XXXIV (ტერცია) თავი არ წარმოადგენს რაიმე საკანონმდებლო ნოვაციას. სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ადრეც იძლეოდა ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას იმავე საპროცესო უფლებებით, საერთო წესით. ამ შემთხვევაში მოსარჩელეს მტკიცების ტვირთისაგან ათავისუფლებდა სსსკ-ის 106-ე „გ“ მუხლი. აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობა კანონმდებელმა მოაქცია მხოლოდ გამარტივებული საქმის წარმოების ფარგლებში და გაავრცელა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზეც.

99. წარმოდგენილ განაჩენთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით პირველი

მოპასუხე ცნობილ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად, ხოლო მეორე მოპასუხე პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად. ამასთან, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით „ამნისტიის შესახებ“ 22-ე მუხლის თანახმად, ისინი გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და სასაჯელისაგან. შესაბამისად, პარლამენტის ამ აქტებით გაქარწყლებულია მათი ბრალეულობა და მართლწინააღმდეგობა ჩადენილ ქმედებაში. კანონი ემყარება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის № 1900 (2012) რეზოლუციით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რომელთაგან პირველი და მეორე მოპასუხებულ ესადაგება მე-3 „ე“ მუხლი: „პატიმრობა აშკარად სამართლიანობას მოკლებული სასამართლო განხილვის შედეგია და დაკავშირებული ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან“.

100. არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა ამ მნიშვნელოვან გარემოებაზე არ იმსჯელეს.

101. კასასტორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოს განუხილველად უნდა დაეტოვებინა სსკ-ე, 63-ე, 309²¹-ე მუხლების საფუძველზე, რასაც ადასტურებს სასამართლო პრაქტიკაც (სუსგ, 18 ივნისი, 2012 წელი, საქმე №ას-856-803-2012).

102. ქ.თბილისის მერია წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს. ის ვალდებულია და ივარაუდება კიდეც, რომ მან იცის კანონი, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი მას აკისრებს კანონის საფუძველზე უფლებამოსილების განხორციელების ვალდებულებას.

103. კასასტორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო ხანდაზმულობის განხილვისას სსკ-ის 128-ე, 130-ე, 131-ე, 144-ე, 1008-ე მუხლებთან ერთობლიობაში არ გამოიყენა და არ განმარტა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისა და განაჩენის დადგენის პერიოდში მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 30-38-ე მუხლებით დადგენილი სამოქალაქო საარჩელის წარდგენის უფლებისა და შესაძლებლობის მკაფიოდ განსაზღვრული რეგულაციები და არ უპასუხა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაზიარებულ არსებითი ხასიათი არგუმენტებს, რითაც დაარღვია მოპასუხეების სამართლიანი სასამართლო უფლების უმნიშვნელოვანესა პრინციპები მხარეთა შეჯიბრებითობის და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობის შესახებ.

104. აღნიშნული დარღვევა არსებითი ხასიათისაა და მას შეეძლო, ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. აღნიშნულის დასტურია იმავე სისხლის სამართლის საქმის სამ ეპიზოდზე პირველი ინსტანციის სასამართლოს და ერთ ეპიზოდზე სააპელაციო სასამარ-

თლოს გადაწყვეტილებების მოპასუხეების სასარგებლოდ.

105. პოლიტპატიმრის – პირველი მოპასუხისა და პოლიტდევნილის – მეორე მოპასუხის მიმართ სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლსა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1900 (2012) რეზოლუციაზე, როგორც მათ მიმართ სარჩელზე უარის თქმის არსებით საფუძველზე.

106. მეორე კასატორმა მოითხოვა აგრეთვე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 05 დეკემბრის განჩინების გაუქმება, რომლითაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილებული (იხ. საკასაციო მოთხოვნა).

107. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 04 ოქტომბრის განჩინებით პირველი საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. საკასაციო პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების მიზნით საქმის ზეპირი განხილვა დაინიშნა 2018 წლის 18 დეკემბერს, სადაც მხარეებს მიეცათ ვად საქმის მორიგებით დასრულებისათვის 2018 წლის 28 დეკემბრამდე.

108. 2018 წლის 18 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე პირველი კასატორის მონინაალმდეგე მხარის წარმომადგენელმა მ. პ-ამ შუამდგომლობით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა საკასაციო პალატის წარმოებაში არსებული ორი საქმის (საქმე № ას-1322-2018 და საქმე №ას-1584-2018) გაერთიანება სსსკის 182-ე მუხლის საფუძველზე.

109. 2018 წლის 28 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე მხარეებმა განაცხადეს, რომ ვერ შეძლეს დავის მორიგებით დასრულება. საკასაციო პალატამ იმსჯელა საქმეთა გაერთიანების შესახებ წარმოდგენილ შუამდგომლობაზე, გაიზიარა შუამდგომლობის ავტორთა პოზიცია, რომ განსახილველი საქმეები ერთგვაროვანი და ურთიერთდაკავშირებულია, შესაბამისად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საკითხის განხილვა მათი ერთ წარმოებად გაერთიანების პირობებში, ამიტომ სსსკის 182-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ერთ წარმოებად გააერთიანა სამოქალაქო საქმეები №ას-1322-2018; №ას-1584-2018 და მიანიჭა ერთი ნომერი. საკასაციო პალატამ სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე – საქმე მოიცავს სამარ-

თლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, საკასაციო საჩივრები დასაშვებად მიიჩნია. ამავე განჩინებით გადაწყდა, რომ სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმის არსებითად განხილვა მოხდებოდა ზე-პირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

110. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელე კასატორის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

111. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

112. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

113. მოსარჩელემ სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა, რომ 2010 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მოპასუხეები ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, კერძოდ, მათ ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით მიითვისეს თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, მ-ა და ც-ის ქუჩას შორის მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 945 კვ.მ მინის ნაკვეთი, რითაც სახელმწიფოს მიაყენეს 283500 ლარის ოდენობის ზიანი.

114. ზიანის მიყენების ფაქტის და მისი ოდენობის დასამტკიცებლად მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა 2010 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის წერილი, რომლითაც დგინდება, რომ 2007 წლის 25 აპრილის მდგომარეობით სადაც მიზის ნაკვეთის 1 კვ.მ ფართის ნორმატიული ღირებულება შეადგენდა 300 ლარს.

115. მოპასუხებმა წარადგინეს მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და სარჩელი არ ცნეს სანდაზმულო-

ბისა და უსაფუძვლობის გამო. მათ მიუთითეს, რომ განაჩენში მითითებული არ არის მოპასუხეების მიერ თვითმმართველის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უშუალოდ მითვისების შესახებ. სადაცო ქონება ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულისაგან უშუალოდ მიიღო საკუთრებაში შპს-მ 2007 წლის 28 მარტს. თბილისის მერიას არა მოპასუხეების ქმედებით მიადგა ზიანი, არამედ შპს-ს მიერ ქონების საჯარო რეესტრში საკუთრებად რეგისტრაციით, 2007 წლის 28 მარტს. უშუალო ზიანის მიმყენებელი არის შპს, რომელიც შესაგებლის ნარდგენის დროისათვის ფუნქციონირებდა შპს „ტ-ის“ (შემდგომ – წინამორბედი შპს) სახელწოდებით. თბილისის მუნიციპალიტეტის 1997 წლის 20 ნოემბრის №25.07.1192 დადგენილება და მინის ნაკვეთის გეგმა შედგენილია შპს-ს სახელზე. ზიანის მიყენების ფაქტი მდგომარეობს 2007 წლის 28 მარტს საჯარო რეესტრში მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების შპს-ზე გასხვისებაში. ზიანის შესახებ მოსარჩელემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, თუნდაც 2009 წლის 31 აგვისტოს, როდესაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დადგენილებით სახელმწიფო ცნობილ იქნა დაზარალებულად. სისხლის სამართლის კანონმდებლობით სახელმწიფოში მოიაზრება ადგილობრივი თვითმმართველობებიც. სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან უტყუარად დგინდება, რომ მოსარჩელე დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეში ცნობილი იქნა 2009 წლის 31 აგვისტოდან, შესაბამისად, მას სარჩელის ნარდგენის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე წარმოეშვა ამ პერიოდიდან მაინც, იმავე საქმის ფარგლებში. აღნიშნული წარმოადგენდა ბრალდების იმპერატიულ ვალდებულებას და მას ისევე უნდა ემოქმედა, როგორც აღმაშენებლის ხეივანზე მდებარე სადაცო მინის ნაკვეთთან მიმართებით, როდესაც წარდგენილ და დაკმაყოფილებულ იქნა სამქალაქო სარჩელი. შესაბამისად, მოსარჩელეს გაშვებული აქვს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. რაც შეეხება მითითებას სსკ-ის 309²⁰ მუხლზე, აღნიშნული ვერ გავრცელდება სადაცო ურთიერთობაზე უკუქცევით, რადგან ნორმაში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ ზიანის მომტანია და აუკარესებს თუ არა მოპასუხეთა მდგომარეობას. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით, პირველი მოპასუხე ცნობილ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად, ხოლო მეორე მოპასუხე – პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ კანონის“ 22-ე მუხლის თანხმად, ისინი გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან. შესაბამისად, პარლამენტის ამ აქტებით მათი ბრალეუ-

ლობა ჩადენილ ქმედებაში გაქარწყლდა.

116. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ოქტობრის გადაწყვეტილებითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივლისის განჩინებით, მოსარჩელის სარჩელი არ დაკამყოფილდა უსაფუძვლობის, ასევე ხანდაზმულობის გამო.

117. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით, კასატორი (მოსარჩელე) მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას. საკასაციო საჩივარი ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევას.

118. კასატორის პირველი პრეტენზია შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევას. კასატორი მიუთითებს, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს განმარტება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმე ალიდრა 2009 წლის 20 სექტემბერს და დასრულდა 21 სექტემბერს, ასევე, 2009 წლის 31 აგვისტოს გამომდიებლის დადგენილებით სისხლის სამართლის №.... საქმესთან დაკავშირებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე სახელმწიფო ცნობილ იქნა დაზარალებულად, შესაბამისად, მოსარჩელისათვის ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პირების შესახებ 2009 წლის აგვისტოში უკვე ცნობილი იყო. კასატორის აზრით, ეს მსჯელობა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციისათვის, კერძოდ, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტეკცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. კასატორის მოსაზრებით, სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფარგლებში შესაბამისი ორგანოების კვლევის საგანს წარმოადგენს სწორედ ის ფაქტობრივი გარემოება, არის თუ არა პირი დამნაშავე ანუ ჩაიდინა თუ არა მან მართლასანინაღმდეგო და ბრალეული ქმედება. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას კი ადასტურებს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. შესაბამისად, მინის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე სახელმწიფოს დაზარალებულად ცნობა არ წარმოადგენს იმ მომენტს, საიდანაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა აეთვალის დელიტიდან გამომდინარე ხანდაზმულობის გადა. ვინაიდან პირის ქმედების მართლსანინაღმდეგო ხასიათსა და ბრალეულობას ადასტურებს არა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

ან/და დაზრალებულად ცნობის დადგენილება, არამედ სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ეფუძვნება მხოლოდ ვარაუდს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და ზიანის არსებობის შესახებ. სწორედ სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფარგლებში დგინდება და დასტურდება კონკრეტული ქმედება, არის თუ არა დანაშაულის ნიშნების შემცველი და ზიანის გამომწვევი. ასევე დგინდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების განმახორციელებელი სუბიექტიც. კასატორის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა მოხდეს ზიანის შეტყობის და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ზუსტი იდენტიფიკაციის მომენტიდან, ანუ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დადგომის შემდეგ, ვინაიდან სწორედ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არის შესაძლებელი დადგინდეს ზიანისა და ზიანის მომყენებელი პირის არსებობა. კანონი ხანდაზმულობის ვადის დაწყებას პირდაპირ უკავშირებს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღების დროს, რაც დანაშაულის არსებობის შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მითითებული განმარტებასთან და №ას-584-552-2012 საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის განჩინებასთან წინააღმდეგობაშია, რადგან სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის ათვლის დროს აქცენტი გააკეთა ჯერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ხოლო შემდეგ ქ.თბილისის მერიის დაზარალებულად ცნობის დადგენილების მიღების დღეზე.

119. მოსარჩევე კასატორის საკასაციო საჩივართან მიმართებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩევე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღნერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღნერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელ

საც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთი-თებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობ-რივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გა-მორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

120. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გა-რემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერ-თობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგული-რებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთი-ერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითო-ბის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

121. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნის საფუძვე-ლი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორ-მა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძვლებ-თან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქა-ლაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოლონიგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქ-მეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მე-თორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო-სამართლებრივი ურთიერ-თობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებე-ბის განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთ-ხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შე-საძლებლობაა.

122. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნე-ბას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რო-მელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებ-რივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვე-ტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვე-ლი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათ-ვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შეს-

რულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

123. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შერის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ ზარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შერის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა (იხ. პ.პ.ბოელინგი, ლ.ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

124. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

125. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაციის სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსს-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგნია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსს-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსს-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

126. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული

სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

127. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიღლოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავისი სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი ნესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

128. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

129. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომ-

ლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატრიალურ სამართლებრივი ნორმა.

130. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელებმ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხებმ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელებ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხებ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. პ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64).

131. საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა, აგრეთვე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება და სადაცვო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადაწყვეტილებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემოწმების შედეგად ზემდგომი ინსტანციის სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმდების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

132. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია

სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

133. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ განჩინების პპ. 2-3 მითითებულ სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებზე და მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღნერილობა) სამართლებრივ მოწესრიგებას საჭიროებს დელიქტური ვალდებულებებით გათვალისწინებული საფუძვლებიდან – სსკ-ის 992-ე მუხლი, 408-ე მუხლის პირველი ნაწილი.

134. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულების დარღვევა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა სხვა ფორმების გამოიყენებაზე პირდაპირ უთითებს კანონი ან ხელშეკრულება კონკრეტული სამართალდარღვევისას. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ერთი კონტრაპენტისა მეორეს წინაშე, სამართალდამრღვევისა – დაზარალებულის წინაშე, დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვასთან, როგორც ისტორიულ წარსულში, არამედ მოვალის მხოლოდ ქონების შემცირებასთან.

135. ქონებრივი პასუხისმგებლობის ვალდებულ პირზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა. შემადგენლობის ორგანიზმს ჰქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ამ შემადგენლობის ელემენტებია: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლისანიაალმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლისანიაალმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდარღვევის ბრალი.

136. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. არასახელშეკრულებო ზიანის უზოგადესი და ცენტრალური ნორმაა სსკ-ის 992-ე მუხლი, რომელიც განამტკი-

ცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და დაზარალებულს (კრედიტორს) ვალდებული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ალნიშნული მუხლის გამოყენების წინაპირობებია: ზიანი; ქმედების მართლწინააღმდეგობა; მიზეზობრივი კავშირი და ბრალი (ე.წ. „გენერალური დელიქტი“).

137. სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს.

138. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წესრჩეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით. როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა, ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს. ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება. არაქონებრივი ზიანი ეტიმოლოგიურად მორალური ზიანის იდენტურია. ქონებრივ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც. სსკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

139. როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმ სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის აანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. ზიანის აანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმ სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის აანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრუ-

ლად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადექ-ვატურობა.

140. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხას-ათზე ანუ აცნობიერებდა თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხსიათს. მთავარია, რომ მოვალის ქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს სამოქალაქო სამართალში მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა. მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წე-სების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.

141. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების უშუალო შედეგს. თუ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, არსებული ზიანი ანაზღაურდება სრულად, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა ეს ზიანი ან რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობა დამდგარ შედეგში. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც კრედიტორი თავადაც არის პასუხისმგებელი დამდგარ შედეგისათვის (სსკ-ის 415-ე მუხლი); პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევა ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.

142. ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. ბრალის სამართლებრივი კატეგორია განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემაში. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (დოლუს) და გაუფრთხილებლობა (ცულპა), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია.

143. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხების მართლსაწინააღმდეგო მოქმედება იმით გამოიხატება, რომ თბილისის საქალა-

ქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 აპრილის განაჩენით, მოპასუხეები მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლენ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, შესაბამისად, გამოვლინდა დელიქტის ერთ-ერთი მთავარი პირობა – მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. არსებობს დელიქტური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი დანარჩენი სამი ელემენტიც, კერძოდ: ზიანი – მოსარჩელემ ქონებრივი დანაკლისი განიცადა; ბრალეულობა; მიზეზშედეგობრიობა – მოპასუხეთა ქმედებამ გამოიწვია მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება.

144. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებებზე:

145. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2010 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, V კარს დაემატა ახალი XXXIV3 თავი – ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი. განხორციელებული ცვლილების პროცესუალურ სამართლებრივი ანალიზის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV3 თავით გათვალისწინებული წესები გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, ანუ როდესაც დანაშაულის ჩადენის შედეგად პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი დასატურდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე აღარ იკვლევს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტსა და მიზეზბრივ კავშირს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დადასტურებულად ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მიზეზბრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. აღნიშნული დასკვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგა-

ნოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

146. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმდებული იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს აღარ გააჩნიათ პრეიუდიციული ძალა, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, თუმცა სსსკ-ის 309²⁰ მუხლის, ფორმულირებით, დანაშაულის მიყენების ფაქტი პრეიუდიციის რანგშია აყვანილი ანუ მიჩნეულია ფაქტად, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. „საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 106-ე მუხლზე მითითება ამავე კოდექსის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუთვალისწინებლად არ შეიძლება. მართალია, სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი („ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება“) 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით (№4075.სსმ1, №76) განხორციელებული ცვლილებით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების განხილვისას მოქმედებს განსხვავებული წესი, რაც იმას გულისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ხელახლა არ დგინდება, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა (სსსკ-ის XXXIV თავი).“ (შდრ. სუსგ №ას-638-605-2014, 22 პარილი, 2016).

147. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. კანონით მინიჭებული შესაძლებლობა, საქმე განხილულ იქნას გამარტივებული წესით შემტკიდროვებულ ვადებში, მოსარჩელე მხარის დისპოზიციური უფლებაა და მას არ ეკრძალება სარჩელის წარდგენა საერთო საფუძველზე. გამარტივებული წარმოებით საქმის განსახილველად

კი, მოსარჩელეს კანონი ვალდებულებას აკისრებს, სარჩელს თან დაურთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი (თუ დანაშაული გვაქვს სახეზე) ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რითაც სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიუწევების ფაქტს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

148. გამარტივებული წარმოების თავისებურება იმაშია, რომ საქმე განიხილება დაჩქარებულად და მარტივად, რაც უპირველესად საქმის განხილვის ვადებში აისახება. კონკრეტულად, სარჩელის შეტანიდან 3 დღის ვადაში წყდება მისი წარმოებაში მიღების საკითხი, მოპასუხისათვის შესაგებლის წარმოსადგენად დადგენილი ვადა კი, არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს. სასამართლო ვალდებულია, საქმე განიხილოს სარჩელის წარმოებაში მიღებიდან ერთი თვის ვადაში (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁹-ე, 309²⁰-ე მუხლები).

149. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, გამარტივებული წესით განსახილველ საქმეთა კატეგორია კანონით ზუსტად არის განსაზღვრული და იგი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს, ანუ კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, სარჩელი ამ წესით საქმის განხილვაზე მხარემ უნდა წარადგინოს და, შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია საქმის გამარტივებული წესით განხილვის თაობაზე. (შდრ. სუსგ №ას-1319-1245-2012, 22 ოქტომბერი, 2012.)

150. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, მიიჩნევა თუ არა დადასტურებულად ზიანის ოდენობა და სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს თუ არა ზიანის ოდენობით, როგორც დადასტურებული ფაქტით. სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო ამავე კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე-

ზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მიყენებული ზიანის გაანგარიშებას, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს შეიძლება ასევე დაერთოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მიყენებული ზიანის ოდენობა.

151. აღნიშნული ნორმები განხილულ უნდა იქნეს სისტემური, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელზე დასართავ მტკიცებულებათა წრეს, კერძოდ, სარჩელი უნდა შეიცავდეს ზიანის ოდენობის ამსახველ მტკიცებულებას. აღნიშნულს შეიძლება მოიცავდეს თვით განაჩენი ან კიდევ, შესაძლებელია, მითითებული მტკიცებულების დამოუკიდებლად შექმნა და სარჩელზე დართვა. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰-ე მუხლს, აღნიშნული ნორმა ადგენს დელიქტით მიყენებული ზიანის თაობაზე წარდგენილი სარჩელის განხილვის ნესს. მითითებული მუხლი იმპერატიულად ადგენს ასევე, თუ რა უნდა ჩაითვალოს დადასტურებულად ანუ ე.წ. პრეიუდიციად. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში ნათლად და მკაფიოდ იკითხება: ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობა მხოლოდ ზიანის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს გააჩნია. „საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ამ სპეციალური წარმოების არსი სწორედ იმში მდგომარეობს, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს აღარ უნევს ზიანის მიყენების ფაქტის, ე.ი. თავად მიყენებული ზიანის, ზიანის მიმყენებლის ბრალის, მის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის კვლევა. თუკი ზიანი დანაშაულის შედეგად დადგა, ყველა აღნიშნული გარემოება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დასტურდება. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, აღნიშნულთან მიმართებით მსჯელობას შესაძლებელია შეიცავდეს თავად განაჩენი/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, სხვა შემთხვევებში, კი, ზიანის გაანგარიშება დასაშვებია უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტით (საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის მე-2 ნაწილი). (შდრ. სუსგ ქას-937-888-2012, 13 დეკემბერი, 2012.)

152. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნულ ნორ-

მათა სისტემური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება, იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ოდენობა განაჩენით/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტით არ არის დადგენილი, ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამ ნაწილში მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს შეაფასებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე.

153. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რაც შეეხება განსხვავებას დელიქტით მიყენებული ზიანის გამარტივებული და ჩვეულებრივი სასარჩელო წესით განხილვას შორის, აღნიშნულთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ გამარტივებული წესით საქმის განხილვის დროს სახეზეა კანონიერ ძალაში არსებული განაჩენი, რომ-ლითაც უტყუარად დასტურდება ზიანის ფაქტი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, შესაბამისად, სასამართლო აღარ იკვლევს აღნიშნულ საკითხებს და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე დადასტურებულად მიიჩნევს მათ. სასამართლო კვლევისა და შეაფასების საგანია მხოლოდ ზიანის ოდენობა იმ შემთხვევაში, როდესაც განაჩენით/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტით იგი არ არის დადგენილი. ასეთ დროს ზიანის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელე უნდა წარადგინოს. ჩვეულებრივი სასარჩელო წესით დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ სარჩელის განხილვის დროს კი, მხარეები სსსკ-ის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად წარუდგენებ, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ასევე ზიანის ფაქტის, მიზეზობრივი კავშირისა და ზიანის ოდენობის ამსახველ მტკიცებულებებს, ხოლო სასამართლო წარმოდგენილ მტკიცებულებებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად აფასებს.

154. მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა წესით უნდა იქნეს განხილული დანაშაულით მიყენებული ზიანის თაობაზე წარმოდგენილი სარჩელი. აღსანიშნავია, რომ მითითებული საკითხი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით პირდაპირ მონესრიგებული არ არის, თუმცა, საპროცესო ნორმათა ერთობლივი ანალიზი იძლევა გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, კერძოდ, აღნიშნული საკითხი წყდება სარჩელის შეტანის ეტაპზე. გარდა ამისა, ამავე ეტაპზე წყდება სახელმწიფო ბაჟის საკითხიც. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები დანა-

შაულით მიყენებული მატერიალური ზარალის (ზიანი) ანაზღაურების სარჩელებზე. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე მხოლოდ მაშინ თავისუფლდება ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ მას დანაშაულის შედეგად მიადგა მატერიალური ზიანი. ამდენად, თუ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, შესაბამისად, არ არსებობს დანაშაულის ჩადენისა და დანაშაულის შედეგად ზიანის მიყენების პრეიუდიცია, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს საქმის გამარტივებული წესით განხილვისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მოსარჩელის გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

155. საპროცესო სამართლებრივი ნორმის ამგვარი ფორმულირებით მოსარჩელის ბაჟისაგან გასათავისუფლებლად უნდა არსებობდეს შემდეგი კუმულატიური პირობები: 1. დანაშაული დადასტურებული უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით; 2. მოთხოვნა მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას უნდა ეხებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულით მიყენებულ მორალურ ზიანთან დაკავშირებული მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟისაგან არ თავისუფლდება.

156. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის (დაზარალებული) მიერ მართლსანინაალმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა სასარჩელო და არა გამარტივებული წარმოების წესით, შეიძლება განპირობებული იქნეს სხვადასხვა გარემოებით, კერძოდ, ჯერ ერთი, ყოველთვის ვერ ხერხდება სავარაუდო დამნაშავის დროული იდენტიფიცირება, რაც აბრკოლებს მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგომას. შესაძლოა, პირი კიდევაც იქნას ცნობილი ბრალდებულად, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლის არსებობისას შეწყდეს გამოძიება ან/და სისხლისამართლებრივი დევნა, მაგალითად, პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე, ბრალდების მხარემ პირის მიმართ გამოიყენა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ან განრიდების შეკანიზმი და ა.შ.

157. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ შესაძლებელია, სისხლის სამართლის საქმემ არსებითი განხილვის ეტაპამდეც მიაღწიოს, მაგრამ ბრალდებამ ვერ შეძლოს გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა სტანდარტით ბრალდებულის დამნაშავეობის დამტკიცება და ამის გამო გამოტანილი იქნას გამამართლებელი განაჩენი. სწორედ ამიტომაც, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში დაუცველი არ დარჩეს კონკრეტული დაზარალებული, მისი ინტე-

რესეპტი და ანაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგ გო ქმედებით იქნა მიყენებული. ცხადია, თუკი დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის არსებობისას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელ წინაპირობად, ზიანის მიმყენებლის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგომას ჩავთვლიდით, ამით უხეშად დაირღვეოდა დაზარალებულის უფლებები. გამოვიდოდა, რომ უფრო უპირატეს მდგომარეობაში იქნებოდა ის დაზარალებული, რომელსაც ზიანი არა დანაშაულებრივი, არამედ სხვაგვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით/სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტით მიადგა.

158. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამამავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვეციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

159. საკასაციო პალატა ყურადღებას გამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე „რინგერლდი ნორვეგიის წინააღმდეგ“. მომჩივანი სწორედ ეპროკონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტზე დაყრდნობით ასაჩივრებდა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, მას დაზარალებულის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა დაეკისრა. კერძოდ, მომჩივანს ბრალი დასდეს არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით ქმედების განხორციელებაში, თუმცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო და გაამართლა. მიუხედავად ამისა, იმავე წარმოების ფარგლებში, განმცხადებელს დაეკისრა დაზარალებულისათვის კომპენსაციის გადახდა, რაც, გამამართლებელი ვერდიქტის არსებობის პირობებში, მომჩივანმა უდანაშაულობის პრეზუმაციის დარღვევად მიიჩნია. ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა მომჩივანის პოზიციის კომპენსაციის დაკისრების დაუმვებლობასთან დაკავშირებით და მიუთითა შემდეგი: მართალია, გარკვეულ შემთხვევებში, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებსა და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს შორის შესაძლოა თანხვედრა ხდებოდეს, მაგრამ განსაზიღველ საქმეში მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე სამოქალაქო (კონკრეტულად, დელიქტური) სამართლის პრინციპების მიხედვით უნდა განხილულიყო. სისხლის სა-

მართლის საქმის წარმოების შედეგი არ თამაშობდა გადამწყვეტ როლს კომპენსაციის დაკისრებასთან დაკავშირებული სამართალ-ნარმოებისათვის. მსხვერპლს უფლება ჰქონდა მოეთხოვა კომპენ-საცია, იმის მიუხედავად, ბრალდებულს გაამტყუნებდნენ თუ, რო-გორც ამ შემთხვევაში მოხდა, გაამართლებდნენ. საკითხის გადაწყვეტა კომპენსაციის მინიჭების თაობაზე, დამოუკიდებელ სამარ-თლებრივ შეფასებას მოითხოვდა იმ კრიტერიუმებისა და მტკიცე-ბით სტანდარტის საფუძველზე, რაც განსხვავდებოდა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას გამოსაყენე-ბელი კრიტერიუმებისა და სტანდარტებისაგან. (იხ. Ringvold v Norway, no. 34964/97, 11/02.2003, § 38).

160. სხვა შემთხვევებშიც ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერ-თხელ დაადასტურა მის მიერ დადგენილი პრაქტიკა მსგავს საქმე-ებზე და განმარტა, რომ დელიქტთან დაკავშირებული სამოქალა-ქო სამართალნარმოების ფარგლებში, პირისათვის (რომელიც სა-სამართლომ დამნაშავედ არ ცნო) პასუხისმგებლობის დაკისრება, თუნდაც ამ პირის მიერ ჩადენილი ქმედება ფარავდეს რომელიმე დანაშაულის დამტურებელ ელემენტებს (შემადგენლობას), არ არ-ღვევს უდანაშაულობის პრეზუმეციას. თავისითავად კომპენსაცი-ის დაკისრების ფაქტი არ უთანაბრდება სისხლისსამართლებრივ სანქციას, მის მიზანს არ წარმოადგენს პასუხისგებაში მიცემული პირის დასჯა. სისხლისსამართლებრივი სანქციისაგან განსხვავე-ბით, კომპენსაციის მინიჭების მთავარი არსი სწორედ დაზარალე-ბული მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა და, ამდე-ნად, ეს პროცესი არ შეიძლება განიმარტოს, კონვენციის გაგებით, როგორც პირის დადანაშაულება კონკრეტული ბრალეული ქმედე-ბის ჩადენაში. საქმეზე „ლაგარდერი საფრანგეთის წინააღმდეგ“ მომჩინას ქონებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა მამამისის მი-ერ ერთ-ერთი სანარმოს დირექტორად ყოფნის პერიოდში კომპა-ნის ქონების მითვისების გამო. მამკვიდრებელი გარდაიცვალა მის მიმართ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტა-ნამდე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ცალკე აღებული საკომპენსაციო თანხის დაკისრება მემკვიდრისათვის (მომჩივანი) მამკვიდრებლის სამკვიდროს აქტივის ფარგლებში, არ ხელყოფდა არც გარდაცვლილი მამკვიდრებლის და არც მემკვიდრის უდანა-შაულობის პრეზუმეციას. აღნიშნულ მიზანს არა სისხლისსამარ-თლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა და დადგენა, არამედ, დაზარალებული კომპანიის მიერ განცდილი დანაკარგის ანაზღაუ-რება წარმოადგენდა. ამრიგად, საკომპენსაციო თანხის დაკისრე-ბით ადგილი არ ჰქონია გარდაცვლილი პირისათვის ბრალის წაყე-ნებას დანაშაულის ჩადენის გამო, ევროპული კონვენციის მე-6 მუხ-

ლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის (იხ. Lagardere v France, no. 18851/07, 12/04/2012, § 61.).

161. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ევროკონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს არ ეწინააღმდეგება არც ის გარემოება, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ბედი შეიძლება გადაწყდეს სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან მოპოვებული მტკიცებულებებით. ევროპული სასამართლოს შეფასებით, საწინააღმდეგო განმარტების პირობებში, ერთი მხრივ, არაპროპორციულად შეიზღუდება თავად მსხვერპლის უფლება სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე (კონვენციის 6.1-ე მუხლი), ვინაიდან, მას აღარ ექნებოდა საშუალება მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება სისხლის სამართლის საქმეზე უდანაშაულოდ (ცნობილი პირისაგან, მეორე მხრივ კი, თვითონ ბრალდებული აღმოჩნდებოდა პრივილეგირებულ მდგომარეობაში, იმის მიუხედავად, რომ იარსებებდა სამოქალაქო წესით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისი მტკიცებულებები. (იხ. Diacenco v. Romania, no. 124/04, 07/02/2012, § 58).

162. საკასაციო პალატა დასკვნის სახით მიუთითებს, რომ დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით გააჩნია შესაძლებლობა, დარღვეული უფლების დასაცავად (ზიანის ანაზღაურება) მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საქმის განხილვა ჩვეულებრივი სასარჩელო წესით ან გამარტივებული წარმოების წესით. ამასთან, გამარტივებული წესით საქმის განსახილველად აუცილებელია მოსარჩელის შუამდგომლობა და სარჩელზე მოპასუხის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის დართვა. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოპასუხის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი ან მოპასუხის მიმართ სახეზე არა სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი შემაჯამებელი აქტი, აღნიშნული არ წარმოადგენს საერთო სასარჩელო წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დამაბრკოლებელ გარემოებას, თუკი მოსარჩელის (დაზარალებეული) მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სსს-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საკმარისია სამოქალაქო დაგის ფარგლებში ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოთ აღნიშნული პრაქტიკაც წათლად ადასტურებს, რომ ცალკე აღებული, დაზარალებულის სასარგებლოდ კომპენსაციის დაკისრება იმ პირისათვის, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი იქნა გამამართლებელი განაჩენი, არ წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმაციის დარღვევას და არ ეწინააღმდეგება კონ-

ვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს.

163. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემო-ებაზეც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კო-დექსის ამოქმედებამდე (2010 წლის 1-ლი ოქტომბერი) მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის IV-ე თავი ითვალისწინებდა სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელის წარ-დგენის შესაძლებლობას. კერძოდ, სსსკ-ის 30-ე მუხლის თანახმად (2010 წლის 1-ელ ოქტომბრამდე მოქმედი რადაქციით), პირს, რო-მელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფი-ზიკური ან მორალური ზიანი, უფლება ჰქონდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება და ამ მიზ-ნით წარედგინა სამოქალაქო სარჩელი.

164. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელის აღძვრა იყო დაზარალებული პი-რის უფლება და არა ვალდებულება. მას შეეძლო როგორც სისხლის სამართლის საქმეში ჩაბმულიყო სამოქალაქო მოსარჩელის სტატუ-სით, ან სისხლის სამართლის საქმისაგან დამოუკიდებლად სარჩე-ლით მიემართა სასამართლოსათვის და მოეთხოვა მართლსაწინა-აღმდეგო, ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზრაუ-რება. ერთადერთი გამონაკვლისი ამ წესიდან, გათვალისწინებული იყო სსსკ-ის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, (2010 წლის 1-ელ ოქტომ-ბრამდე მოქმედი რედაქციით), რომლის თანახმადაც, პროკურორი ვალდებული იყო წარედგინა სარჩელი, თუ იმ პირის დანაშაულის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებდა სისხლის სამართლის საქმე, ზიანი მიადგა სახელმწი-ფოს.

165. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკანონმდებლო მო-წესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პრო-ცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, რო-დესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ად-გენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემ-თხვევაში კანონმდებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები ერთის მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორეს მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინ-ტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნას სხვადასხვა დე-ბულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში.

166. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არ-გუმენტების შერჩევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში

მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტრუქციაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

167. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშენილი დაკავშირებება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვირცობის პროცესში. სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, ნარმოადგენს კანონის განვირცობის საჭიროების შემოწმებას.

168. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონის ინტერპრეტაციის მიზნის მისაღწევად ანუ კანონის აზრის გასაგებად, გამოიყენება განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული და სისტემური ხერხები. „გრამატიკული“ ინტერპრეტაციის მიზანია, დაადგინოს, ენობრივი თვალსაზრისით, რა მნიშვნელობით იხმარება კანონის სიტყვები ამ ენის მატარებელთა საზოგადოებაში და რა მნიშვნელობით იყენებს მათ კანონმდებელი. (რაინპოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 10-ე გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, 53).

169. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მოწესრიგებასა და ოპტიმალურ დაკავშირებულებას უნდა იწვევდეს. კანონის ინტერპრეტაცია არ ნიშნავს მხოლოდ სიტყვებს მიღმა მდგომი აზრის ახსნას, არამედ იგი ნიშნავს სხვადასხვა მნიშვნელობებიდან ყველაზე სწორი და გადამწყვეტი მნიშვნელობის შერჩევას. „ინტერპრეტაციას აქვს მსჯელობითი ხასიათი, როდესაც არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენა ხდება, რომელთაგან უკეთეს მოტივაციას უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიერიყოს. (რაინპოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 10-ე გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, 59). გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, ე.ი. ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში სამართლის სხვა ნორმებთან. სამართლის ნორმა ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ლოგიკურად თავსებადი იყოს უფრო მაღალი ან იგივე რანგის ნორმათა კონტექსტში.

170. გასათვალისწინებელია აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევ-

როპული სასამართლოს დამკვიდრებული მიდგომა კანონის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის აუცილებლობასთან მიმართებით. საქმეში თუდორ თუდორ ვ. ლომანია (Application no. 21911/03, 24 მარტი, 2009 წელი), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ეროვნული კანონმდებლობს განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევა. მითითებული გადაწყვეტილებიდან საგულისხმო სწორედ ის არის, რომ მასში ხაზი გაესვა პრეცედენტული სამართლის (case law) კონფლიქტს კანონის ნორმის განსაზღვრულობის (ინტერპრეტაცია) საკითხში (§ – 27) და ერთგვაროვანი პრაქტიკის შექმნის გზით მისი დაძლევის საჭიროებას, მანამ სანამ აღნიშნული კანონის დონეზე მოწესრიგდებოდა. კანონის ნორმის ასეთივე განსხვავებული ინტერპრეტაციის პრობლემა დადგა სხვა საქმეშიც ALBU AND OTHERS v. ROMANIA (Applications no. 34796/09), 10 მაისი, 2012 წელი) წჯ: 34 (III, IV), რომელშიც აღნიშნა, რომ სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები უნდა დაეფუძნოს სამართლის განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც იმპლიმენტირებულია კონვენციის ყოველ მუხლი და ადგენს კანონისმიერი წესრიგის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს (მსგავს საკითხებზე აგრეთვე იხ., Iordan Iordanov and Others, §-47; ^a tefanică and Others, §-31). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ სხვა საქმეში აღნიშნა, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებმა უნდა შექმნან მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლებრივ განსაზღვრულობას (Nejdet ^a ahin and Perihan ^a ahin v. Turkey [GC] (Application no. 13279/05), 21 ოქტომბერი, 2011 წელი, წჯ59-96) და ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენას კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის (სამართლიანი სასამართლოს უფლება). საქმეში ALBU AND OTHERS v. ROMANIA (Applications no. 34796/09), 10 მაისი, 2012 წელი) § – 34 (V) სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, დასახელდა სამართლებრივი სტაბილურობის ინტერ ალია, გარანტიად, რომელიც იმავდროულად, უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობას სასამართლოების მიმართ. სასამართლო გადაწყვეტილებათა კონფლიქტი არაერთგვაროვნების კონტექსტში კი, პირიქით საზოგადოების ნდობის ხარისხს ამცირებს სასამართლოს მიმართ, მაშინ როდესაც ამგვარი ნდობა წარმოდგება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად.

171. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2010 წლის 15 დეკემბერს განხორცილებული ცვლილების შესაბამისად, V-ე კარს – გამარტივებული წარმოება, დაემატა ახალი XXXIV³ თავი – ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის

გამარტივებული წესი, კერძოდ, ამ თავით დადგენილი წესით შეიძლება განხილული იქნეს სარჩელი დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართლდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. მაშასადამე, აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე, დანაშაულის ან მართლსაზინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის წარდგენა შესაძლებელი იყო ორი წესით: სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის წარდგენით ან საერთო სასარჩელო წესით. ამ წესიდან გამონაკლისი იყო დადგენილი, როცა დავა ეხებოდა იმ პირის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც წარმოებდა სისხლის სამართლის საქმე, სახელმწიფოსათვის დანაშაულის ან მართლსაზინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას, რომელიც პროკურორს სავალდებულო წესით უნდა აღეძრა 2010 წლის 1-ელ ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი წესით და ასეთი შემთხვევების მიმართ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება (სსკ-ის 1008-ე მუხლი) უნდა მოხდეს იმ დღიდან, როდესაც სახელმწიფო დაზარალებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საქმეზე და მისთვის ცნობილი გახდა ზიანის მიმყენებლისა და ზიანის ოდენობის შესახებ.

172. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე (2010 წლის 1-ლი ოქტომბრი) მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68¹ მუხლის მიხედვით, დაზარალებულად მიიჩნეოდა სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქრისტიანული ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულად მიჩნეული შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფო, იურიდიული პირი, ან ფიზიკური პირი. სსკ-ი მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს უკავშირებდა დაზარალებულის ნების გამოვლენას და ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებდა დაზარალებულის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის შეტანის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ი დაზარალებულის სტატუს უკავშირებდა ზიანის არსებობას, საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობით ასეთი პირი პროცესში დაზარალებულის სტატუსს იძენდა მხოლოდ პროცესის მნარმოებელი ორგანოს მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანის შემდეგ. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებას გამოსცემდა გამომძიებელი ან პროკურორი, ხოლო განჩინებას კი – სასამართლო. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება (განჩინება) გამოტანილი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სის-

ხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ და მასში სავალ-დებულოდ უნდა ყოფილიყო აღნიშნული მიყენებული ზიანის სახე. პირი დაზარალებულად შეიძლება მიჩნეულიყო: წინასწარი გამო-ძიებისას; სასამრთლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილის; ასევე სასამართლო გამოძიებისას. სასამრთლოში საქმის წარმოებისას დაზარალებულად ცნობის უფლება გააჩნდა მხოლოდ პირები ინ-სტანციის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმის განხილვი-სას და ისიც სასამრთლო კამათის დაწყებამდე. პირის დაზარალე-ბულად ცნობა არ იყო დამოკიდებული მის ნება-სურვილზე. შესა-ბამისი ზიანის სავარაუდო მიყენების ფაქტის დადგენისთანავე პროცესის მწარმოებელი ორგანო დაუყონებლივ დებულობდა გა-დაწყვეტილებას პირის პროცესში დაზარალებულად მოწვევის შე-სახებ. პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველს წარმოადგენ-და – ინფორმაცია სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენის შესახებ; ამ ქმედებით ზიანის მიყენების ფაქტი; მიზეზობრივი კავშირის არსე-ბობა ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. (იხილეთ დამატებით: სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექ-ტივი, თბ., 2008, გვ. 213-227).

173. საკასაციო პალატა გამარტავს, რომ სარჩელისაგან მოპა-სუხის თავდაცვის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს შესაგებე-ლის წარდგენა. შესაგებლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს შოთ-ხოვნის შემწყვეტი ან განხორციელების შემაფერხებელი შესაგებ-ლები. მოპასუხის მიერ მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლის განხორ-ციელების შემთხვევაში უპირველესად უნდა იქნეს მოძიებული მა-ტერიალურ-სამართლებრივი ნორმა, რომელიც შესაძლოა უპირის-პირდებოდეს მოსარჩელის (სამართლებრივ) მოთხოვნის უფლებას; აღნიშნული სამართლებრივი ნორმა, ისევე, როგორც მოსარჩელის სტადიაზე მოსაძიებელი მოთხოვნის საფუძველი, უნდა გამომდი-ნარეობდეს კანონიდან (მაგალითად, ვალდებულების შესრულების შესაგებელი სსკ-ის 427-ე ან 434-ე მუხლის საფუძველზე, ურთი-ერთმოთხოვნათა გაქვითვა სსკ-ის 442-ე მუხლის საფუძველზე, ვა-ლის პატიების შესაგებელი სსკ-ის 448-ე მუხლის საფუძველზე, კონფუზის შესაგებელი სსკ-ის 452-ე მუხლის საფუძველზე). მოთ-ხოვნის განხორციელების შემაფერხებელი – ხანდაზმულობის შე-საგებელის შემოწმება უნდა მოხდეს სსკ-ის 144-ე მუხლის პირვე-ლი ქვეპუნქტის საფუძველზე.

174. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ხანდაზ-მულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიც-

ხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: а) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აღლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლების დაუყონებლივ აღდგენის სტიმულიზაციას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ.63; შდრ. სუსგ 11.06.2012 საქმე №ას-547-515-2012).

175. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმომიშვას. ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში.

176. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა. ამ ვადის გაცდენა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოპსპობას, გაქარწყლებას. „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლღ სუმბათაშვილი და იგოგ ხაროვი საქართველოს პარლამენტის ნინააღმდეგ“).

177. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ასევე მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარ-

გისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გაართულებს სადაცოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დრო გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადაცო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მონქმეთა მეხსიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტილისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიერქური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისაგან.

178. ზემოთ ჩამოთვლილი ლეგიტიმური მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. 1996 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო განმარტავს: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (პარ.51).

179. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ანევს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშვას. ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. მოთხოვნის ხანდაზმულობაზე სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ შემ-

თხვევაში, თუ ამის შესახებ მოპასუხეს შესაგებელში აქვს მითი-თებული ან მიუთითებს პირველ ინსტანციაში საქმის მომზადების დასრულებამდე. (იხ. დამატებით: პ.ბოლინგი, ლ. ჭანტურია, სამო-ქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეო-რე გამოცემა, თბ., 2004, 170).

180. საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება სააპელაციო პალა-ტის მოსაზრებას, რომ განსაზილველი დავა დელიქტური ვალდე-ბულებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვ-ნის ხანდაზმულობის საკითხზე მსჯელობისას სააპელაციო პალა-ტამ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექ-სის 1008-ე მუხლით, რომელიც, დელიქტიდან გამომდინარე, სასარ-ჩელო მოთხოვნებისთვის ხანდაზმულობის ვადას აწესებს, კერ-ძოდ, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

181. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმის დანაწესით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის ათ-ვლა დაკავშირებულია დაზარალებულის მიერ ზიანის, ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შეტყობასთან. განსაზილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის №... საქმეზე გამოძიება ლ. თ-ის, გ. ბ-ის, ი-ის, რ. ე-ის, ლ. ზ-ის, ნ. ო-ის, ა. ო-ის, ი. ჩ-ის, გ. გ-ის, ა. გ-ის, ჯ. ლ-ის, მ. ბ-ის, კ. დ-ის, ა. ძ-ი, ლ. დ-ისა და ზ. ჭ-ის მიმართ დაიწყო 2009 წლის 20 სექტემ-ბერს და დასრულდა 2009 წლის 21 სექტემბერს. ასევე, დადგენი-ლია, რომ 2009 წლის 31 აგვისტოს, გამომძიებლის, გ. ბ-ის დადგე-ნილებით სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, სახელ-მწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშ-ნულების მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს სახელმწიფო ცნობილ იქნა დაზარალებულად. შე-საბამისად, მოსარჩელისათვის ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პი-რების შესახებ 2009 წლის აგვისტოს თვეში უკვე ცნობილი იყო. საქ-მეში წარმოდგენილია ასევე, თბილისის არქიტექტურის სამსახუ-რის 2009 წლის 26 ოქტომბრის წერილი, რომლითაც სადაც მიწის ნაკვეთების ნორმატიული ლირებულებაა განსაზღვრული, ხოლო წერილის ადრესატი კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შე-მოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს გამომძიებელია, რომელსაც ინ-ფორმაცია მიეწოდა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირე-ბით. 2009 წლის 29 ოქტომბრის სასამართლოს ბრძანებით საქარ-თველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სა-

გამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი გამომძიებელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველ-საყოფად ყადაღა დაედო უძრავ ქონებებს, შესაბამისად, მოსარჩევისათვის ზიანის ოდენობის შესახებაც კი ცნობილი იყო, ჯერ კიდევ 2009 წლის ოქტომბერში. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემობაზეც, რომ მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, დაზარალებულის მხრიდან ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სარჩელები სხვა ეპიზოდებზე აღძრულია 2009 წლის სექტემბერსა და ამავე წლის ნოემბერში, რომელიც 2010 წლის 15 აპრილის განაჩენით დაკმაყოფილებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მოსარჩელეს შეეძლო სამოქალაქო სარჩელის აღძრით დაკმაყოფილებინა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სადაც ეპიზოდთან დაკავშირებითაც, რაც მან არ განახორციელა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მართალია, სამოქალაქო სარჩელები სხვა ეპიზოდებზე აღძრული, მაგრამ მოთხოვნის უფლების წარმოშობის სამართლებრივი წინაპირობები მოცემულ შემთხვევაშიც იგივეა, გამომდინარებს იმავე სისხლის სამართლის საქმიდან, სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენებიდან, მათ შორის მოცემულ ეპიზოდში ბრალდებული პირის, პირველი მოპასუხის მიერ სხვა ეპიზოდით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნიდან. აღნიშნული კი, დამატებით, იმაზე მიანიშნებს, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პირების შესახებ და მას გააჩნდა შესაძლებლობა, მოცემულ ეპიზოდთან დაკავშირებითაც სისხლის სამართლის საქმეზე წარედგინა სამოქალაქო სარჩელი. საკასაციო პალატა იზიარებს საპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობას, რომ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ვადის ათვლა დაიწყება ზიანის შეტყობის და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ფაქტობრივი იდენტიფიციაციის მომენტიდან, თუ საკმარისად განსაზღვრადია ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობა. ზიანის მიყენების ფაქტის (ანუ უფლების დარღვევის ფაქტის) და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ვინაობის შეტყობა ვადის ათვლის დაწყების კუმულატიურ წინაპირობებად უნდა იქნეს განხილული. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2013 წლის 15 აპრილს, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩელი ხანდაზმულია, ამიტომაც არ უნდა იქნეს გაზიარებული კასატორის მოსაზრება მოთ-

ხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით (იხ. წინამდებარე განჩინების პპ. 38-44).

182. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რაც შეეხება 2010 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ (ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედება, რომელიც აღარ ითვალისწინებს სამოქალაქო სარჩელის აღძერის შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმეზე), სახელმწიფოსათვის ან სამართლებრივი ურთიერთობის სხვა სუბიექტისათვის დანაშაულით ან სხვა მართლსანინააღმდეგო მოქმედებით (ადმინისტრაციული სამართალდარღვევა) მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების მიმართ, სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დაწყება, დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, თუ რა წესით ითხოვს დაზარალებული მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. თუ დაზარალებული ითხოვს მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას გამარტივებული წესით, მაშინ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა ზიანის მიმყენებლის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული მოითხოვს დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას საერთო სასარჩელო (და არა გამარტივებული სამართალწარმოების წესით) წესით, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

183. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის იმ პრეტენზიასაც, რომელიც ეხება მოპასუხებისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრებას სსკ-ის 992-ე და 998-ე მუხლების საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით სადაც მინის ნაკვეთთან დაკავშირებით დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობილია მხოლოდ პირველი მოპასუხება, ხოლო, რაც შეეხება სხვა თანამოპასუხებებს, ისინი კონკრეტულ ეპიზოდში (მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ც-ის ქუჩას შორის მდებარე მინის ნაკვეთის ეპიზოდი) მსჯავრდებულნი არ ყოფილან (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 აპრილის განაჩენი). შესაბამისად, საკასაციო პალატა სრულად ეთან-

ხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოპასუხების – ლ. დ-ის, მ. ბ-ის, ა. ძ-ის და ზ. ჭ-ის მხრიდან კონკრეტული დანაშაულის ჩადენა სათანადო მტკიცებულებით არ დასტურდება, შესაბამისად, უსაფუძვლოა მათ მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც მათ არ ჩაუდენიათ.

184. მოსარჩევე კასატორის შემდეგი პრეტენზია შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებულ მსჯელობას (იხ. წინამდებარე განჩინების პპ. 32-35), კერძოდ, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ აღნიშნა – იმ შემთხვევაშიც კი, თუ წარმოდგენილი სარჩელი ხანდაზმულად არ ჩაითვლება, სასარჩელო მოთხოვნა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ პირველი მოპასუხის მიმართ მაინც უსაფუძვლოა, რადგან პირველი მოპასუხე საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად იქნა მიჩნეული იმ განაჩენის საფუძველზე, რომელზე დაყრდნობითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს მოპასუხისაგან დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დაადგინა, რომ 2010 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენით პირველი მოპასუხის მსჯავრდება განხორციელდა პოლიტიკური ნიშნით, გამოგონილი ბრალდებით და სინამდვილეში მას დანაშაული არ ჩაუდენია. ამიტომაც, უსაფუძვლოა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი არსებული დანაშაულით სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

185. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობას და მიუთითებს, რომ ერთადერთი უფლებამოსილი ორგანო, ვისაც შეეძლო პირველი მოპასუხის მიმართ გამოტანილი განაჩენის გაუქმება, იყო და არის სასამართლო და არა პარლამენტი. რაც შეეხება პირველი მოპასუხის „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილების თანახმად, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად მიჩნევას, მითითებული დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად, „მიჩნეულ იქნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებად საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №8) დამტკიცებულ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირთა სიაში დასახელებული მსჯავრდებულები (დანართი №1). ამავე დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად: „საქართველოს პარლამენტმა უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების პირ-

ველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ პირთათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლების სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა“. ზემოაღნიშნული დადგენილებისა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, კასატორმა განმარტა, რომ პირველი მოპასუხე „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილების თანახმად, მიჩნეულ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად და ამავე ნორმატიული აქტით განისაზღვრა მისი უფლება, მიმართოს სასამართლოს განაჩენის გადახედვის მიზნით, რაც დღემდე არ მომზდარა, შესაბამისად, 2010 წლის 15 აპრილის განაჩენი ძალაშია, ხოლო „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირველი მოპასუხე გათავისუფლდა მხოლოდ სისხლის – სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან, რაც არ გულისხმობს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

186. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს კასატორის ამ პრეტენზიას და განმარტავს, რომ ერთადერთი უფლებამოსილი ორგანო, ვისაც შეუძლია პირველი მოპასუხის მიმართ გამოტანილ განაჩენის გაუქმება იყო და არის სასამართლო და არა ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო – პარლამენტი. სადაც არ არის, რომ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციას, პირველი მოპასუხე ცნობილ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ, ხოლო მეორე მოპასუხე – პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად. ასევე, უდავოა, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2013 წლის 13 იანვრის კანონის საფუძველზე პირველი მოპასუხე და მეორე მოპასუხე გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, რომლის წევრიცა საქართველო, 2012 წლის 3 ოქტომბერს მიიღო №1900 რეზოლუცია და განსაზღვრა ის კრიტერიუმები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს პირის პოლიტპატიმრად ცნობას, კერძოდ პირი, რომელსაც წაერთვა პერსონალური თავისუფლება, მიიჩნევა პოლიტიკურ პატიმრად: ა) თუ დაპატიმრება განხორციელდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეფროპული კონცენტრით გათვალისწინებული რომელიმე უფლების დარღვევის გამო, განსაკუთრებით, აზრის, სინდისისა და რელიგიის, გამოხატვისა და ინ-

ფორმაციის მიღების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ხელყოფის მიზნით; ბ) თუ დაპატიმრებას საფუძვლად დაეფილი მხოლოდ პოლიტიკური მიზეზი და ადგილი არ ჰქონია დანაშაულის ჩადენას; გ) თუ დაპატიმრება, როგორც ღონისძიება, აშკარად არ შეესაბამება იმ დანაშაულის სიმძიმეს, რომლის ჩადენაშიც იქნა პირი ბრალდებული ან მსჯავრდებული და დაპატიმრების გადაწყვეტილება პოლიტიკურადაა მოტივირებული; დ) პოლიტიკური მიზეზით, პირის დაპატიმრება შეეფარდა დისკრიმინაციულად, სხვებისაგან განსხვავებით; ე) დაპატიმრება აშკარად უსამართლო და უკანონო სამართალწარმოების შედეგია, რაც ხელისუფლების მოქმედების პოლიტიკურ მოტივებს უკავშირდება. ანსამბლეამ მოუნოდა ევროსაბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, გადაეხედათ ნებისმიერი სავარაუდო პოლიტიკური პატიმრის საქმისათვის ზემოთაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით და გაანთავისუფლონ ისინი ან ხელახლა განიხილონ მათი საქმეები (იხ.ევროპის საბჭოს საპარლამენტო ანსამბლის 2012 წლის 03 ოქტომბრის №1900 რეზოლუცია).

187. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლებს. ასევე, ამავე კოდექსის 332¹-ე პრიმა მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებთან ერთად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯვა ასევე „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-II დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ან პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად მიჩნეული მსჯავრდებულის მიმართ, თუ ეს განაჩენი გამოტანილია აღნიშნული დადგენილების მიღებამდე და შესაბამისი შუამდგომლობა სასამართლოს წარეგინა 2018 წლის 01 ივლისამდე. (რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, შესაბამისობაშია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ანსამბლეის 2012 წლის 03 ოქტომბრის №1900 რეზოლუციასთან).

188. განსახილველ შემთხვევაში, პირველი მოპასუხის მიერ არ არის წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმებით, თუმცა აღნიშნული ვერ მოახდენს გავლენას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რადგან როგორც უკვე აღინიშნა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი ხანდაზმულია, ამიტომაც არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

189. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩიტოებული განჩინება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, არ არსებობს გასაჩიტოებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

190. რაც შეეხება მეორე კასატორის საკასაციო საჩივარს, საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს იმავე შემადგენლობას შემდეგი გარემოებების გამო:

191. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

192. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

193. მოსარჩევემ სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა, რომ 2010 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, მოპასუხეები ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, კერძოდ, მათ ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით მიითვისეს თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 5501 კვ.მ მინის ნაკვეთი, მდებარე ქ.თბილისი, ი. რაიონი, 3-ს შორის, რითაც სახელმწიფოს მიადგა 1570650 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი.

194. ზიანის მიყენების ფაქტის და მისი ოდენობის დასამტკიცებლად მოსარჩევემ სასამართლოს წარუდგინა 2010 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და თბილისის პროკურატურისადმი გაგზავნილი თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 12 მარტის წერილი, რომლითაც დგინდება, რომ 2009 წლის 27 თებერვლის მდგომარეობით სადაც მიინის ნაკვეთის ერთი ნაწილის (2130 კვ.მ) 1 კვ.მ-ის ლირებულება შეადგენ-

და 320 ლარს, ხოლო მეორე ნაწილის (3371 კვ.მ) 1 კვ.მ-ის ნორმატი-ული ორგებულება შეადგენდა 96 ლარს.

195. მოპასუხეებმა წარადგინეს მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და სარჩელი არ ცნეს ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო. მათ მიუთითეს, რომ განაჩენში მითითებული არ არის მოპასუხეების მიერ თვითმმართველის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უშუალოდ მითვისების შესახებ. სადაც კონცება ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულისაგან საკუთრებაში მიიღო გ. გ-მა, რომელმაც 2007 წლის 10 აგვისტოს საკუთრებაში დაირგებისტრირა სადაც მინის ნაკვეთი. თბილისის მერიას არა მოპასუხეების ქმედებით, არამედ სწორედ გ. გ-ის ქმედებით მიადგა ზიანი. თბილისის მუნიციპალიტეტის 1994 წლის 17 ივლისის №-...დადგენილება და მინის ნაკვეთის გეგმა შედგენილია გ. გ-ის სახელზე. სადაც მინის ნაკვეთის პრივატიზაციისთან დაკავშირებით გ. გ-ის მიმართ უკვე დამდგარია გამამტყუნებელი განაჩენი.

196. მოპასუხეებმა მიუთითეს, რომ ზიანის შესახებ მოსარჩეულებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, თუნდაც 2009 წლის 31 აგვისტოს, როდესაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დადგენილებით სახელმწიფო ცნობილ იქნა დაზარალებულად. სისხლის სამართლის კანონმდებლობით სახელმწიფო-ში მოიაზრება ადგილობრივი თვითმმართველობებიც. სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან უტყუარად დგინდება, რომ მოსარჩელე დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეში ცნობილი იქნა 2009 წლის 31 აგვისტოდან, შესაბამისად, მას სარჩელის ნარდენის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე წარმოეშვა ამ პერიოდიდან მაინც, იმავე საქმის ფარგლებში. აღნიშნული წარმოადგენდა ბრალდების იმპერატიულ ვალდებულებას და მას ისევე უნდა ემოქმედა, როგორც აღმაშენებლის ხევანზე მდებარე სადაც მინის ნაკვეთან მიმართებით, როდესაც წარდგენილ და დაკმაყოფილებულ იქნა სამოქალაქო სარჩელი. შესაბამისად, მოსარჩელეს გაშვებული აქეს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. რაც შეეხება მითითებას 309²⁰ მუხლზე, აღნიშნული ვერ გავრცელდება სადაც ურთიერთობაზე უკუქცევით, რადგან ნორმაში არ არის მითითებული, ზიანის მომტანია და აუარესებს თუ არა მოპასუხეთა მდგომარეობას. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით, პირველი მოპასუხე ცნობილ იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად, ხოლო მეორე მოპასუხე – პოლიტიკური ნიშნით დეკვილ დეკვილ პირად. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ კანონის“ 22-ე მუხლის თანახმად, ისინი გათავისუფ-

ლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისა-გან. შესაბამისად, პარლამენტის ამ აქტებით მათი ბრალეულობა ჩადენილ ქმედებაში გაქარწყლდა.

197. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2016 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

198. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2018 წლის 22 მარტის განჩინებით, მოსარჩელის საა-პელაციო საჩივარი ნანილობრივ დაკმაყოფილდა და საქმე ხელახ-ლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამარ-თლოს.

199. მეორე კასატორის ძირითადი საკასაციო პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად იმსჯელა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ამიტომაც არ არსებობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამარ-თლებრივი საფუძვლები. მეორე კასატორის მოსაზრებით, პირვე-ლი ინსტანციის სასამართლო საქმის განხილვის არსებით ნანილში არ შესულა და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, შემოიფარგლა მხოლოდ ხანდაზმულობის საკითხის განხილვით და მხოლოდ ამ მო-ტივით უთხრა უარი მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულს ადასტურებს თავად სააპელაციო სასამართლოც, რომ-ლის დასაბუთება წინააღმდეგობაშია საკუთარ თავდაპირველ მსჯელობასთან, კერძოდ, საქმის პირველი ინსტანციის სასამარ-თლოში განსახილველად დაბრუნების მოტივად მან მიუთითა, რომ ვინაიდან, წინამდებარე განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა სასარ-ჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, აღნიშნული გარე-მოება სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მიზანშეწონილად ხდის საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად დაბრუნებას, რათა გამოკვლეულ იქნეს სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები და გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა მატერიალურ- სამართლებრივი პოზიცია. (იხ. წინამდებარე განჩი-ნების პპ. 55-57).

200. საკასაციო პალატა წინამდებარე განჩინების პპ. 171-182 განვითარებული მსჯელობების გათვალისწინებით, დასაბუთებუ-ლად მიჩნევს კასატორის პრეტენზიას მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და ამ ნანილში არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებს (იხ. წინამდებარე განჩი-ნების პპ. 72)

201. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა

განსახილველად დაბრუნების საფუძვლებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს [გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები], სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვეტოს იგი. ამრიგად, აღნიშნული მუხლი, ერთის მხრივ, უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დაბრუნების საფუძვლებზე, ხოლო, მეორეს მხრივ, სასამართლოს აძლევს უფლებას, ამ საფუძვლების არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების სტანდარტიდან გამომდინარე, შეაფასოს, რა უფრო მართებულია – მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა, თუ საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება (იხ. სუსგ №ას-1234-1175-2014, 2015 წლის 23 თებერვალი).

202. ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი, ერთის მხრივ, უთითებს პირველ ინსტანციაში საქმის დაბრუნების საფუძვლებზე, ხოლო, მეორეს მხრივ, სააპელაციო სასამართლოს აძლევს უფლებას, ამ საფუძვლების არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების სტანდარტიდან გამომდინარე, შეაფასოს რა უფრო მართებულია – მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა, თუ საქმის ხელახლა განსახილველად პირველ ინსტანციაში დაბრუნება.

203. ზემოაღნიშნული განპირობებულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და თავის თავში მოიცავს ადამიანის უფლებას მისი საქმე გონივრულ ვადაში, სწრაფად და ეფექტიანად განიხილოს სასამართლომ (Profitis and Others v. Greece, §93; Tierce v. San Marino, §31; Surmeli v. Germany [GC], §129; Capuano v. Italy, §§30-31; Versini v. France, §29), რაც ნარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ისე მოაწყოს თავისი სამართლებრივი სისტემა, რომ სასამართლოებმა უზრუნველყონ თითოეული პირის უფლება გონივრულ ვადაში მიაღწიოს საბოლოო გადაწყვეტილებას დავაზე, რომელიც მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებას ეხება (Scordino v. Italy (no.1) [GC] §183, Surmeli v. Germany [GC], § 129).

204. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა,

რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტური, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სა-თანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.

205. სამართლიანი სასამართლოს უფლებით დადგენილი სტან-დარტის ჭრილში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხ-ლით გათვალისწინებული, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქ-მების აპსოლუტური საფუძვლების განხილვა, თვალსაჩინოს ხდის, რომ რამდენიმე მათგანი, კერძოდ: ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; ბ) სასამართლომ საქმე განიხი-ლა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტ-ყობინება კანონით დადგენილი წესით, ან მისი კანონიერი წარმო-მადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული; გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც უწყებრივად სასამართლოს არ ეკვემდებარება; დ) გა-დაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველ-ზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესე-ბი; ე) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლები, რომ-ლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნული; ვ) გადაწყვეტილე-ბა გამოტანილია იმ მოსამართლების მიერ, რომლებიც საქმის გან-ხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; ზ) საქმეში არ არის სასამართლოს სხდომის ოქმი – პირდაპირ გამომდინარეობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების პრინციპიდან, მათ შორის, საქმის გან-ხილვაში მხარის მონაწილეობის და სამართლიანი და საჯარო გან-ხილვის ფუნდამენტური უფლებიდან, და ქმნის იმ შემთხვევას, რო-დესაც ცალსახაა, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა და-უბრუნდეს იმ სასამართლოს, სადაც მოხდა აღნიშნული დარღვე-ვა.

206. თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული კიდევ ორი საფუძველი, კერძოდ: ა) გადაწყვე-ტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; და ბ) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სა-მართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია – წარ-მოადგენს ისეთ საფუძვლებს, რომლებიც, საკასაციო სასამარ-თლოს აზრით, იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილს შესაბამისად, საქმის გარემოებების სრულ-ყოფილი ანალიზის შედეგად და სამართლიანი სასამართლოს უფ-ლების ჭრილში, საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების მართე-ბულობა-არამართებულობის შეფასების საშუალებას.

207. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამარ-

თლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნების მართებულობის შეფასებისას, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს: (1) რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; (2) ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშენონილია საქმის უკან დაბრუნება, და (3) ხომ არ გამოიწვევს ეს საქმის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას (იხ. სუსგ №ას-1118-1145-2011, 2012 წლის 10 იანვარი).

208. აღნიშნულს მოითხოვს, აგრეთვე, რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპები, რომლებიც გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლომ, რომელიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით მართლაც მიზანშენონილია საქმის უკან დაბრუნება (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები №ას-402-764-05 23 ივნისი, 2005 წელი; №ას-657-618-2012, 10 დეკემბერი, 2012 წელი; №ას-1308-1234-2012, 4 თებერვალი, 2013 წელი)

209. გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნების საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹“ პუნქტზე (გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია), სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მითითებული თითოეული პროცესუალური გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო საქმის უკან დაბრუნებას, უნდა შეფასდეს ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად.

210. პირველი პროცესუალური გარემოება, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების აუცილებლობა დაასაბუთა, მდგომარეობს შემდეგში: სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის პოზიცია და მიიჩნია, რომ მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული.

211. მეორე პროცესუალური გარემოება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ პირველ ინსტანციაში საქმის დაბრუნების საფუძვლად მიუთითა, მდგომარეობს შემდეგში: სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დადგენილად იქნა მიწნეული, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა ხანდაზმულობის გამო, ხოლო სასარჩელო მოთხოვ-

ნის საფუძვლიანობის საკითხი კი არსებითად არ განიხილა. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა პირ-ველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ამიტომაც მიზანშეწონილად მიიჩნია საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად, რათა გამოკვლეული ყოფილიყო სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები და გათვალისწინებული ყოფილიყო მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი პოზიცია.

212. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე საპელაციო პალატის მიერ პირველ ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდა, რადგან სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება. რადგან განსახილველი შემთხვევა შეეხება დანაშაულით მიყენებულ მატერიალურ ზიანს, ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნიათ (სსკ-ის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილი), რაც იმას გულისხმობს, რომ დამტკიცებულად და განხორციელებულად ითვლება დელიქტური სამართლის მთავარი ნორმის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წანამდღვარი: ქმედების მართლისანიააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი. თუმცა მოთხოვნა განუხორციელებული დარჩება, თუ მოპასუხე წარადგენს მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ შესაგებელს (ხანდაზმულობა) სსკ-ის მე-4 მუხლისა და სსკ-ის 144-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

213. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მეორე კასატორმა ამ ნაწილში წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

214. რაც შეეხება მეორე კასატორის მოთხოვნას თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 05 დეკემბრის განჩინების, რომლითაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილვე-

ლად (იხ. საკასაციო მოთხოვნა), გაუქმებას იმ საფუძვლით, რომ აპელანტმა გაუშვა გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი 7 დღიანი ვადა, საკასაციო პალატა კასატორის ამ პრეტენზიას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ როგორც ეს საქმის მასალებითაა დადგენილი, მოსარჩელეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება ჩაბარდა 2016 წლის 15 ნოემბერს, ხოლო სააპელაციო საჩივარი კი შეტანილი იქნა 2016 წლის 21 ნოემბერს ანუ კანონით დადგენილ 7 დღიან ვადაში – სსსკ-ის 309²¹-ე მუხლი.

215. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გთვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. რადგან მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა საქმის ქვემდგომი ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოში განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, ამიტომაც საკასაციო პალატა სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე (გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია), მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს წინამდებარე განჩინებაში განვითარებული საკასაციო პალატის მოსაზრებები მოთხოვნის წარმოშობასთან, ასევე მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ შესაგებელთან – ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და ისე გადაწყვიტოს დავა.

216. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. ვ. ლ-ის, მ. ბ-ის, ლ. დ-ისა და ა. ძ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 მარტის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 82 08
www.supremecourt.ge